



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ვლადიმერ მაჭარაშვილი

საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები

სადოქტორო პროგრამა - სამართალი

წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0192, საქართველო

საავტორო უფლება © 2018 წელი, „ვლადიმერ მაჭარაშვილი“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ვლადიმერ მაჭარაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„27,, თებერვალი, 2018 წელი

ხელმძღვანელი: **გია მეფარიშვილი**

სამართლის დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტი: **ჯემალ გახოკიძე**

სამართლის დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტი: **თეა შაყულაშვილი**

სამართლის დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2018 წელი

ავტორი: ვლადიმერ მაჭარაშვილი

დასახელება: „საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები“

ფაკულტეტი: სამართალი

აკადემიური ხარისხი: „27 „ თებერვალი, 2018 წელი

ინდივიდუალური პროცნების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული დანიშნულებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტირებებისა, რომლებიც მოითხოვს მხოლოდ სპეციფიკურ მიმართულებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის პროცესის ისეთ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელსაც საადვოკატო გამოძიება ეწოდება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წელს და მოქმედებს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ითვალისწინებს ადვოკატის მიერ საადვოკატო გამოძიების ჩატარების ფართო უფლებამოსილებას.

ნაშრომში დასმული და პასუხგაცემულია შემდეგი კითხვა - სისხლის სამართლის პროცესში, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის ჩამოყალიბებით, ხომ არ შეიქმნა ახალი საგამოძიებო ორგანო? ამას გარდა, ნაშრომში განხილულია ისეთი საინტერესო საკითხები, როგორცაა გამოძიების ტრადიციული ფორმის თანაფარდობა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებაში, მათ შორის მსგავსებები და განსხვავებები.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეგვესწავლა საადვოკატო გამოძიების, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის იურიდიული ბუნება, მოვახდინეთ ამ უკანასკნელის მცირე ელემენტებად დაშლა და შეძლებისდაგვარად დავადგინეთ სისხლის სამართლის პროცესში საადვოკატო გამოძიების ცნება და მნიშვნელობა, გამოვიკვლიეთ მისი მიზნები, ამოცანები, შინაგანი სტრუქტურა და ა.შ.

ნაშრომში მიმოხილულია საადვოკატო გამოძიების თანაფარდობა ჭეშმარიტებისა და შეჯიბრებითობის საკითხთან მიმართებაში. ასევე შესწავლილია ის სამართლებრივი ბაზა, რომლის საფუძველზეც აღმოცენებული და დაფუძნებულია საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი.

კვლევის თანახმად დადასტურებულია, რომ საადვოკატო გამოძიება - ეს არის დაცვის მხარის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი

სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის გარეშეც ფაქტობრივად აზრს დაკარგავდა შეჯიბრებითობის პრინციპი. ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ იმ თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებზე, რომლებიც წარმოშობენ გარკვეული სახის სირთულეებსა და დაბრკოლებებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა საადვოკატო გამოძიების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ეტაპები. მიმოხილულია საადვოკატო გამოძიების წარმოშობის ნიშნები ანტიკურ ხანაში, რომლის თანახმადაც მტკიცდება, რომ ჯერ კიდევ უძველეს ცივილიზაციაში არსებობდა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ჩანასახები. ასევე კვლევა იძლევა ინფორმაციას ძველ საქართველოში საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის განვითარების შესახებ, სადაც მიმოხილულია საქართველოს სხვადასხვა ისტორიული ეტაპი და მონაკვეთი.

ნაშრომში ვრცლად არის საუბარი საბჭოთა საქართველოში, ზოგადად ადვოკატურის ინსტიტუტზე და მის ფუნქციონირებაზე, საიდანაც სათავეს იღებს ადვოკატურის, როგორც პროფესიონალთა გაერთიანების ჩამოყალიბება. ნაშრომი იძლევა ინფორმაციას იმ სირთულეებისა და პრობლემატიკის შესახებ, რისი გადატანაც მოუხდა ქართულ ადვოკატურას საჭოთა პერიოდში.

საადვოკატო გამოძიების შესწავლისას აუცილებლად მივიჩნიეთ ყურადღება გაგვემახვილებინა საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე, რომლის საფუძველზეც, საქართველოში პირველად ჩამოყალიბდა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი, სადაც გათვალისწინებული იყო დაცვის მხარის ისეთი საგამოძიებო უფლებამოსილებანი, როგორიცაა „კერძო გამოძიების“ ჩატარება და „კერძო დეტექტივის“ გამოყენება.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გამოძიების ტრადიციული ფორმის იურიდიული ბუნების შესწავლას. საადვოკატო

გამოძიების ინსტიტუტის მსგავსად, მოვახდინეთ მისი დაშლა შემადგენელ ელემენტებად, რათა პარალელი გაგვევლო საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან. სწორედ ამის გამო, ნაშრომში განხილულია ტრადიციული გამოძიების არსი, მნიშვნელობა, მისი სისტემა და ყოველივე ამის შემდგომ, მოვახდინეთ ამ ორი სამართლებრივი ინსტიტუტის შეპირისპირება.

სადისერტაციო ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა საადვოკატო გამოძიების ისეთ მნიშვნელოვან ეტაპს, რასაც მტკიცებულებების მოპოვება ეწოდება. ნაშრომში განხილულია მტკიცებულებათა მოპოვების ხერხები და საშუალებები, ის პრაქტიკული და პრობლემატური საკითხები, რომლებსაც ადვოკატები ყოველდღიურ საქმიანობაში აწყდებიან.

საკვლევი საკითხის სრულყოფისათვის, ნაშრომში შევვხეთ ინსტიტუტს, რომელსაც კერძო-დეტექტივის სააგენტო ეწოდება. ჩვენი აზრით, შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში მოცემული ინსტიტუტის არსებობა აუცილებელია, რადგან იგი არის ერთგვარი ბალანსი და გარანტორი მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპის არსებობისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგვიწევს საუბარი ბრალდების მხარის პრივილეგიებულ მდგომარეობაზე.

კვლევის დასასრულს, ნაშრომში მოცემულია ის დასკვნითი დებულებები, რომლებიც ავტორის მიერ მიღებულია დასმული საკითხების შესწავლისა და სამეცნიერო დამუშავების შედეგად.

ავტორი დასკვნის სახით განმარტავს, რომ საადვოკატო გამოძიება ეს არის ბრალდებულის, მსჯავრდებულის უფლებების და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვის უნივერსალური და ეფექტური გარანტია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თითოეულ მათაგანს რეალური გავლენა მოახდინოს სისხლის სამართალწარმოებაზე და არ დაუშვას სახელმწიფოს მხრიდან შეგნებული თუ უნებლიე ხელყოფა სამოქალაქო და საპროცესო უფლებებისა.

Annotation

This dissertation work refers to a legal institution of criminal proceedings called an Attorney's Investigation. The Criminal Procedure Code of Georgia, which was adopted in 2009 and is in force since October 1, 2010, envisages extensive powers of the Attorney's Investigation conducted by the Attorney.

In this paper, the following question is raised and answered – was a new investigative body established by creating and establishing institute of attorney investigation in the process of criminal procedure? In addition, the paper deals with interesting topics such as the correspondence of the traditional form of investigation with respect to the institute of Attorney Investigation, including similarities and differences.

In order to fully study the legal nature of the Attorney investigation as an independent legal institution, we broke it down into elements and feasibly determined the concept and meaning of the Attorney's Investigation in the criminal proceedings, and found out its goals, objectives, internal structure and etc.

In addition to the above mentioned, the paper reviews the correlation of the Attorney's Investigation with regard to issues of authenticity and adversarialism. The legal framework is also studied, on which the institute of Attorney's Investigation is originated and based.

According to the research, it is confirmed that the Attorney's Investigation - is an essential and vital institution for the defense without which the principle of adversarialism would have lost the sense. In the paper, we focused on the theoretical and practical problems that generate certain difficulties and obstacles in specific legal relationships.

In the course of the research, we have studied historical stages of the origin and development of Attorney's Investigation. Initially, we have reviewed the signs of origin of Attorney's Investigation in antiquity period, which proves that the

characteristics of the institute of Attorney's Investigation existed even in the oldest civilization of the world. The research also provides information on the development of institute of Attorney's Investigation in ancient Georgia, where the various historical stages and sections of Georgia are reviewed.

The paper refers broadly to the institute of Attorney's Investigation and its functioning in the Soviet Period, in Georgia, from which the formation of Advocacy as a professional union is actually originated. The paper gives the information about the difficulties and problems that Georgian Advocacy had to face in the Soviet Period.

While studying the Attorney's Investigation, we see it necessary to focus on the Criminal Procedure Code of Georgia 1998, which was the basis for Georgia to form the institute of Attorney's Investigation and which provided the investigative powers for the defense, such as the conduct of "private investigation" and the use of "private detective".

The work focused on the study of the legal nature of the traditional form of investigation. Like the institute of Attorney's Investigation, we broke it down into the elements in order to make parallels with the institute of the Attorney's Investigation. That is why the essence of the traditional investigation, the importance, its methodology and the structure are examined and after all of these the confrontation of these two legal institutions is provided.

In the dissertation, a separate chapter is dedicated to a significant stage of the Attorney's Investigation called the acquisition of the evidence. The paper discusses the methods and means of obtaining the evidence, practical and problematic issues that lawyers face in daily work.

Due to the issue of the study, we referred to the institute called a private detective agency. In our opinion, the existence of the given institution is necessary in the process of adversarial criminal proceedings since it is the guarantee of the balance

and the principle of equality between the parties; otherwise we have to speak about the privileged condition of the prosecution.

In the end of the research, the work presents the concluding provisions that the author gained as a result of studying and scientific processing. As a conclusion, the author explains that the Attorney's Investigation is a universal and effective guarantee of the legal interests of the defendant's rights and freedoms, which enables each of them to have a real impact on criminal proceedings and prevents the conscious or unintentional violation of civil and procedural rights.

სარჩევი

ანოტაცია -----	4
თავი I - საადვოკატო გამოძიების იურიდიული ბუნება და მისი კონცეპტუალური საფუძვლები	
1.1. საადვოკატო გამოძიების ცნება და მნიშვნელობა, მისი მიზნები და ამოცანები----	11
1.2. საადვოკატო გამოძიების სამართლებრივი საფუძვლები -----	39
1.3. შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელობა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებაში -----	53
1.4. ჭეშმარიტების როლი და მნიშვნელობა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებაში -----	63
თავი II - საადვოკატო გამოძიების წარმოშობის ისტორია	
2.1. საადვოკატო გამოძიების წარმოშობა ანტიკურ ქვეყნებში -----	76
2.2. საადვოკატო გამოძიება ძველ საქართველოში -----	87
2.3. საადვოკატო გამოძიება საბჭოთა საქართველოში -----	93
2.4. საადვოკატო გამოძიება 1998 წლის სსსკ-ის შესაბამისად -----	100
თავი III - გამოძიების ტრადიციული ფორმა და მისი თანაფარდობა საადვოკატო გამოძიებასთან	
3.1. ტრადიციული გამოძიების არსი და მნიშვნელობა -----	106
3.2. გამოძიება - როგორც წარსულში მომხდარი ფაქტების რეკონსტრუქცია -----	113
3.3. ტრადიციული გამოძიების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები -----	120
3.4. გამოძიების ცალკეული ეტაპები და მათი თავისებურებები -----	127
3.5. გამოძიების ტრადიციული ფორმის უპირატესობა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებაში -----	134
თავი IV – საადვოკატო გამოძიების პროცესში მტკიცებულების მოპოვების თავისებურებები	
4.1. კრიმინალისტიკური მეცნიერების გამოყენება საადვოკატო გამოძიების პროცესში, როგორც მტკიცებულების მოპოვების საშუალება და ხერხი -----	140
4.2. საადვოკატო გამოძიების პროცესში ექსპერტის გამოყენების პრობლემატური საკითხები -----	150
4.3. საადვოკატო გამოძიების პროცესში პირის გამოკითხვის პრობლემატური საკითხები -----	154
4.4. კერძო დეტექტივის ინსტიტუტი, როგორც მტკიცებულების მოპოვების წყარო საადვოკატო გამოძიების პროცესში -----	159
სოციოლოგიური კვლევა -----	163
დასკვნა -----	170
გამოყენებული ლიტერატურა -----	175

თავი I

საადვოკატო გამოძიების იურიდიული ბუნება და მისი კონცეპტუალური საფუძვლები

1.1. საადვოკატო გამოძიების ცნება და მნიშვნელობა, მისი მიზნები და ამოცანები

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში, მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში დაიწყო სამართლებრივი რეფორმების განხორციელება. მნიშვნელოვან რეფორმებს შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც აისახა მრავალი ფუნდამენტური და დემოკრატიული ღირებულება.

საქართველოსათვის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს კონსტიტუციაში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე ჩანაწერის გაკეთება, რომელიც ხაზს უსვამს სამართალწარმოების განხორციელებას მხარეთა თანაბარ უფლებრივ მდგომარეობაზე.

სწორედ ამიტომ, კონსტიტუციური პრინციპების რეალიზაციის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 2009 წელს, მრავალწლიანი მუშაობისა და ანალიზის შედეგად, მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

ახალი კოდექსის მიღებით იურისტთა წრეში გაჩნდა იმედი, რომ ახალი საპროცესო კანონი იქნებოდა უფრო დახვეწილი, განახლებული და უკეთ დაარეგულირებდა სამართლებრივ ურთიერთობებს, ვიდრე აქამდე მოქმედი კოდექსი. ალბათ, მიზანიც ის არის ახალი კანონის შემოღებისა, რომ ის იყოს უფრო მოქნილი და ეფექტური პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონსტიტუციისა და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა. აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი გარანტორია ამ პრინციპების რეალიზებისა, სადაც აღნიშნულია, რომ „*სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე*“, რაც დაცვის მხარეს ცალსახად აძლევს შესაძლებლობას, საქმის დაწყების მომენტიდან უკეთ წარმართოს დაცვის ტაქტიკა.¹

შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედებს როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე. აღნიშნული განპირობებულია საპროცესო კანონში მრავალი დებულების ასახვით, რომლებიც თანაბარ მდგომარეობაში და პირობებში აყენებს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ცნობილი რუსი ავტორის ი. პეტრუხინის რედაქტორობით გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოზე, სადაც მითითებულია, რომ „დაცვის უფლების განხორციელება უნდა დაიწყოს არა სისხლის სამართლის პროცესის ფორმალური პროცედურების გავლის შემდგომ, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი თანამდებობის პირების მოქმედებები გვაფიქრებინებენ, რომ კონკრეტული პირის მიმართ გამოძიებას აქვს გარკვეული ეჭვები“².

¹მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის დახმარება სასამართლო პროცესზე პირის დაცვის შესაძლებლობის პოტენციურად მთავარი ელემენტია, პროცესის უფრო ადრეულ ეტაპზე დაცვის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობამ ევროპული სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ ასეთი დახმარება, შესაძლოა, საჭირო იყოს თვით თავდაპირველი კონტაქტის დროსაც. (ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ჯერემი მაკბრაიდი. 2011. გვ. 15.)

² Петрухина И.Л., Михайловской И.Б. (2013) Уголовно-процессуальное право Российской Федерации, под ред. 3-е издание. Издательство "Проспект". Стр. 166.

ახალი კანონის თანახმად, მეტი აქცენტი კეთდება სასამართლოში განხილულ მტკიცებულებებზე, რითაც გასმულია ხაზი სასამართლო გამოძიების პრიორიტეტულობაზე ძველ საპროცესო კანონმდებლობასთან შედარებით, რომელიც მთავარ აქცენტს აკეთებდა წინასასამართლო სტადიაზე, არაგამჭვირვალე და ცალმხრივად მოპოვებული მტკიცებულებების წერილობით გაფორმებაზე და ფორმალურ სასამართლო განხილვაზე.

ქართველი ავტორის განმარტებით, მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა კიდევ უფრო გააფართოვა გამოძიების სტადიაზე ადვოკატის საქმიანობის არეალი. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი იწყება გამოძიების დაწყებისთანავე და ამიტომაც, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაცვის მხარეს, ბრალდების მხარესთან მიმართებით, აქვს თანაბარი უფლება ჩაატაროს საგამომძიებო მოქმედებები³.

სწორედ ეს არის ის მთავარი (მაგრამ არა ერთადერთი) განსხვავება, რომელიც უკავშირდება ინკვიზიციური⁴ სამართლის პრინციპებიდან სრული შეჯიბრებითობის სისტემაზე გადასვლას.

ამას გარდა, ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ბრალდებულს მიანიჭა უფლება, *თვითონ ან ადვოკატის მეშვეობით მოიპოვოს მტკიცებულება*, მას თანაბარი იურიდიული ძალა აქვს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებთან მიმართებაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონი რადიკალურად და სისტემურად განსხვავებულია მანამდე

³ მ. მამნიაშვილი. (2012) ადვოკატის მონაწილეობა საგამომძიებო მოქმედებებში და მისი სამართლებრივი გარანტიები. ცხოვრება და კანონი. სპეციალური გამოშვება. თბილისი. გვ. 13.

⁴ ავტორთა ნაწილი კონტინენტური სამართლის სისტემას უწოდებს ინკვიზიციურ პროცესს. მაგ: ი.მიულერის აზრით: გერმანელი ავტორები უარყოფენ ინგლისურ - ამერიკული ტიპის პროცესს, როგორც მხარეთა პროცესს, ხოლო ამერიკელი და ინგლისელი იურისტები გერმანიის სისხლის სამართლის პროცესს უწოდებენ *ინკვიზიციურს*. „პროცესის კონსტრუქცია, სადაც მოსამართლეს აქვს გადამწყვეტი როლი, მოსამართლეს აქცევს ადვოკატის წინააღმდეგ, ქმნის კონფლიქტს დაცვასა და სასამართლოს შორის“. (Muller.J., (1980) Rechtsstaat und Straverfahren. p. 199.)

მოქმედ კანონთან შედარებით, რამაც სამართლის სფეროში მომუშავე იურისტებიც კი დააბნია და უჭირთ ახალ კანონთან ადაპტირება, რადგან ბევრი სამართლებრივი ნორმა, რომელიც მანამდე არსებობდა, დღეს საერთოდ აღარ არსებობს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ დღეს მოქმედი კანონი უფლებრივად ნაკლებია, ხარვეზიანია და ვერ უზრუნველყოფს სამართალწარმოების ეფექტურ და ჯეროვან მუშაობას.

ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, წინათ მოქმედ კანონში დაცვის უფლებები უფრო მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი და ახალ კანონში ისინი შესამჩნევად ნაკლებია, თუმცა აქვე დავძენთ, რადგან კანონში პირდაპირ არ არის მითითებული ბრალდებულისათვის კონკრეტული უფლების მინიჭების შესახებ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დაცვის მხარეს მოესპო კონკრეტული ქმედების განხორციელების შესაძლებლობა.

მოქმედი საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-16 ნაწილში აღნიშნულია, რომ *„38-ე მუხლში ჩამოთვლილი უფლებები არ ზღუდავს ბრალდებულის უფლებას, განახორციელოს ყველა სხვა უფლება, რომელიც მას საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებით აქვს მინიჭებული“*.

ჩვენი აზრით, სწორედ ზემოთ მოცემული ჩანაწერი აძლევს საშუალებას დაცვის მხარეს, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც კანონით არ არის აკრძალული და ამგვარად მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს.

თუ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი სიახლეს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობისათვის, მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში ამ ინსტიტუტს დიდი ხანია იყენებენ და საკმაოდ წარმატებითაც. (დიდი ბრიტანეთი, აშშ და სხვა)

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო ჯერ კიდევ მე-XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა, რომ შეჯიბრებითობის ბალანსი ვერ იქნება დაცული, თუ ბრალდებისა და დაცვის მხარე დამოუკიდებლად არ ჩაატარებს გამოძიებას.⁵

ასევე, დაცვის მხარის საგამომიებო უფლებამოსილების საკითხს ეხება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში მეექვსე ცვლილების დამატება, სადაც აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეს უფლება - „მიიღოს დამცველის დახმარება“- არის ეფექტიანი დაცვის უფლება.

ამერიკელი ავტორის, ჯ. ენდრიუსის განმარტებით: „ფაქტების ასეთ განვითარებას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი გამოძიების გარეშე. არც შეჯიბრებითობის ბალანსი იქნება დაცული ბრალდებისა და დაცვის მხრიდან გამოძიების ჩატარების გარეშე. ამგვარად, დამცველის მხრიდან, გამოძიების ვალდებულება დამოკიდებულია წინასასამართლო გამოძიებაზე, როგორც „ადვოკატის მომზადების შესაძლო, ყველაზე კრიტიკულ ეტაპზე“.

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 1932 წლის გადაწყვეტილება. საქმეში - Powell v. Alabama სასამართლომ ხაზი გაუსვა ბრალდებასა და სასამართლოს შორის დამცველის საჭიროებას, სადაც კონსულტაცია, პირდაპირი გამოძიება და საქმის მომზადება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია⁷. სხვა სიტყვებით რომ

⁵ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმე 1908 წელს. ბრალდებული Carry. M აპროტესტებდა იმდროინდელ ამერიკულ კანონმდებლობას, რომლის მიხედვითაც მას ეკრძალებოდა დამოუკიდებლად ჩაეტარებინა გამოძიება და მოეპოვებინა მტკიცებულებები. მისი თქმით ხელისუფლებამ ვერ მოახდინა სათანადოდ და სრულყოფილად საქმის გამოძიება, იგი აღნიშნავდა, რომ რადგან სახელმწიფო უსუსურია და ვერ ახერხებს ეფექტურ გამოძიებას, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს და მხარე არ დაჩაგროს, მას უნდა მიეცეს უფლება დამოუკიდებლად ჩაატაროს გამოძიება. სწორედ ეს პოზიცია გაიზიარა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ და ამის შემდგომ დაცვის მხარეს მიეცა უფლება საგამომიებო უფლებამოსილების წარმოებისა.

⁶ Andrews, J.A. ed. (1982) Human Rights in Criminal Procedure: A Comparative Study (The Hague; Boston: M. Nijhoff; Kluwer) p. 179.

⁷ ავტ. კოლ. (2014) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. (სახელმძღვანელო იურისტებისათვის) Criminal procedure Code (Manual For Lawyers). ამერიკის იურისტთა ასოციაციის დაკვეთით. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 97-98.

ვთქვით, იმისათვის, რომ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელდეს ეფექტური დაცვა, აშშ-ს კონსტიტუციის მე-6 ცვლილებისა და დამატების შესაბამისად, დამცველს ეკისრება ვალდებულება, დამოუკიდებლად გამოიძიოს საქმე.

გარდა აშშ-ს კონსტიტუციისა და უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა, დაცვის უფლების ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე საუბარია ევროპის სხვადასხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი⁸, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში⁹ და სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში.

ამერიკელი ავტორების განცხადებით: „დაცვის უფლების მიზანს წარმოადგენს გავლენა მოახდინოს სამართლიანობის განვითარებაზე და სამართალწარმოების პროცესზე¹⁰“. აქედან გამომდინარე, ადვოკატებს მოუწევთ ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ დაეუფლონ გამოძიების ტექნიკას, რათა მოახერხონ სრულფასოვნად დაუპირისპირონ სასამართლოში ბრალდების მხარის მტკიცებულებებს თავიანთი მტკიცებულებები და ამ გზით მიაღწიონ სასურველ შედეგს.

უდავოდ დადებით მხარეს წარმოადგენს, რომ დღეს მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმა დაცვის უფლებათა არსენალში შემოიტანა ახალი ტერმინი „გამოძიება“, თუმცა, სამწუხაროდ, აღარ არის ჩანაწერი კერძო დეტექტივის და კერძო გამოძიების ინსტიტუტის შესახებ, რომელიც მოხსენიებული იყო 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რაც ვფიქრობთ, მიუთითებს დღეს მოქმედი კანონმდებლობის

⁸ საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. 1966 წლის 16 დეკემბერი.

⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. 1950 წლის 4 ნოემბერი.

¹⁰ Dammer H.R. & Fairchild E. (2006) Comparative Criminal Justice Systems. (3d ed., Belmont, CA: Wadsworth/Thomson Learning) p. 249.

ნაკლოვანებაზე, რადგან შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ ახალმა საპროცესო კანონმა არა თუ ვერ გააფართოვა დაცვის უფლებათა არეალი, არამედ შეიძლება ვერც კი შეინარჩუნა ის, რაც მანამდე იყო.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის შესწავლა, რომელიც უშუალო კავშირშია დაცვის უფლების განხორციელებასთან. ამ მიმართულებითაც დიდი ცვლილებებია შესული ახალ კანონში და სამართლებრივი ურთიერთობები სრულიად სხვაგვარად არის მოწესრიგებული.

სისხლის სამართლის პროცესში საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის არსებობა უდავოდ მისასალმებელია. დაცვის მხარეს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ჩაატაროს გამოძიება. ანუ თვითონ, დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულებები და არ იყოს დამოკიდებული გამომძიებელსა თუ პროკურორზე. დაცვის ეს უფლება გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილით, სადაც აღნიშნულია, რომ ბრალდებულს უფლება აქვს *„დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით, მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან/და პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად. მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების დროს.“*

საქართველოში, სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე იურისტები საუბრობენ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის რაობაზე, მის მნიშვნელობაზე, თუმცა სამეცნიერო ნაშრომები საკითხის სრულყოფილი გამოკვლევისა და საფუძვლიანი შესწავლისა ჯერჯერობით არ ჩანს.

მზარდი ინტერესისა და დადებითი ცვლილებების ფონზე, გაჩნდა შესაძლებლობა შევისწავლოთ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის მნიშვნელობა, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ და ნორმატიულ - სამართლებრივ სიბრტყეზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ჯერ არ მომხდარა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის თეორიული შესწავლა, თუმცა ამ საკითხისადმი სხვადასხვა უცხოელ ავტორებს მიძღვნილი აქვთ სამეცნიერო შრომები. პრობლემის ისტორიული ასპექტებისადმი ყურადღების მიპყრობა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად და საფუძვლიანად გავიგოთ მისი არსი, მნიშვნელობა და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის შექმნასა და ჩამოყალიბებას გააჩნია თავისი ისტორია. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში რუსი ავტორები თვლიდნენ, რომ „დამცველს აუცილებლად უნდა მიეცეს უფლება ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება“¹¹.

ამერიკელი იურისტი კ. ბრედლი 1987 წელს აღნიშნავდა, რომ „შეჯიბრებითობის ბალანსი ვერ იქნება დაცული თუ ბრალდებისა და დაცვის მხარეები დამოუკიდებლად არ ჩაატარებენ გამოძიებას“.¹²

ვიდრე უშუალოდ დავიწყებდეთ „საადვოკატო გამოძიების“ ინსტიტუტის შესწავლას, საჭიროა მიმოვიხილოთ ის ტერმინები, რომლებსაც ავტორები გამოიყენებენ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის აღსანიშნავად.

ავტორთა ნაწილი დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილებას მოიხსენიებს შემდეგი ტერმინებით: პარალელური გამოძიება, ალტერნატიული გამოძიება, არასახელმწიფოებრივი გამოძიება, კერძო გამოძიება და ა.შ.

ჩამოთვლილი ტერმინებიდან „კერძო გამოძიების“ გარდა არც ერთი არ გამოყენებულა ქართული სამართლის ისტორიაში, მეორეს მხრივ კი, ყველა

¹¹ Томин В.Т. (1996) Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу РСФСР/Научи. под ред. М. стр. 88.

¹² Craig M. (1987) The Failure of The Criminal Procedure Revolution Greenwood Press. №2. p. 29.

ნახსენებ ტერმინს არც გააჩნია უფლება თეორიასა და მითუმეტეს, პრაქტიკაში არსებობისა.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ადვოკატის მიერ ჩატარებულ საგამომიებო მოქმედებათა ერთობლიობას მოექმენოს შესატყვისი ტერმინი, რომელიც სრულად გამოხატავს საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის იურიდიულ ბუნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში არასწორმა ტერმინმა შეიძლება სამართალურთიერთობაში სირთულეები და იურიდიული ხარვეზები წარმოქმნას.

ზემოაღნიშნული საკითხის დასადგენად, საჭიროა მიმოვიხილოთ ჩვენ მიერ ნახსენები ტერმინები და ამის მიხედვით დავადგინოთ, თუ ყველაზე მეტად რომელი ტერმინი შეესაბამება დაცვის მხარის მიერ წარმოებული საგამომიებო უფლებამოსილების განმარტებას.

სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში „პარალელური გამოძიება“ განიმარტება, როგორც „რაიმესთან მუდმივ თანაფარდობაში არსებული, თანმხლები. ასევე, „მსგავსი, ანალოგიური, რაიმესთან ერთდროული“.¹³

სიტყვის დეფინიციიდან გამომდინარე, პარალელური გამოძიება - მისი შინაარსობრივი გაგებით ნიშნავს, რომ დაცვის მხარე გამოძიებას ატარებს სახელმწიფო გამოძიების პარალელურად. ამ სახით ასეთი საადვოკატო გამოძიება წარმოადგენს ავტონომიურ, დამოუკიდებელ, სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებულ გამოძიებასთან დაუკავშირებელ გამოძიებას.

მ. ოსმაკოვის განმარტებით: სიტყვა „პარალელური“ ნიშნავს: „ისეთივეს, შეპირისპირებულს, თანმხლებს, ერთდროულად მოქმედს“. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება დაცვის მიერ წარმოებულ გამოძიებას დაერქვას პარალელური გამოძიება ზემოთ აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით,

¹³ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი - სიტყვა „პარალელური“. [www. Ena.ge/explanatory-online](http://www.Ena.ge/explanatory-online).

რადგანაც იგი არ არის შეპირისპირებული, არც ერთდროული და არც თანმხლები“¹⁴.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, დაცვის მიერ ჩატარებული „პარალელური გამოძიება“ განსხვავდება სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიებისგან და შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მასთან, როგორც შუალედური, ისე საბოლოო გადაწყვეტილებით. საქმეზე ორმა „დამოუკიდებელმა გამოძიებამ“ შეიძლება გამოავლინოს აბსოლუტურად სხვადასხვა ვითარება, სხვადასხვა მონაწილე პირები, დანაშაულის სხვადასხვა კვალიფიკაცია და ა.შ. ე.ი „მხარეები შეიძლება ვერ შეთანხმდნენ ყველაზე ძირეულ და არსებით საკითხებზე“. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ „პარალელური გამოძიების“ არსებობა სამართალწარმოებაში გამოიწვევდა საჯარო პრინციპის დარღვევას, რადგან სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და დანაშაულთან ბრძოლა აღარ იქნებოდა მარტოდენ სახელმწიფოს უფლება. ამ ვალდებულებას იგი „გაიყოფდა“ ადვოკატთან, რომელსაც ექნებოდა საშუალება ჩაეტარებინა პარალელური გამოძიება.

რა თქმა უნდა, ასეთი აბსურდის წარმოდგენა შეუძლებელია. ამ ლოგიკით, სახელმწიფო თავისი კანონმდებლობით ადვოკატურას უფლებას აძლევს დამოუკიდებლად დაიწყოს და გამოიძიოს სისხლის სამართლის საქმე გამოძიებასთან თანაბრად. მსგავსი პრეცედენტი მსოფლიო სამართლის ისტორიაშიც კი არ არსებულა, მით უმეტეს, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში.

აქედან გამომდინარე, წინადადებები ე.წ პარალელური გამოძიების შემოღების შესახებ ჩანასახშივე განწირული იყო წარუმატებლობისათვის. მას უარყოფენ, როგორც მეცნიერ - იურისტები, ასევე სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკოსი თანამშრომლები და სრულიად დასაბუთებულად, რადგანაც ადვოკატს არ აქვს უნარი სისხლის სამართლის საქმეზე ჩაატაროს

¹⁴ Осьмаков М.А. (2007) Адвокатское расследование в современном уголовном процессе. Владимир. стр. 13.

გამოძიება სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებთან თანაბრად, რადგანაც დამცველის როლი სისხლის სამართლის პროცესში სულ სხვაა. კერძოდ ადვოკატის მიზანია კვალიფიციური იურიდიული დახმარების აღმოჩენა და ბრალდებულის, მსჯავრდებულის უფლებების ჯეროვანი დაცვა.

რუსი ავტორი ო.ბაევი ჯერ კიდევ 90-ან წლებში ეწინააღმდეგებოდა დაცვის მხარისათვის „დამოუკიდებელი გამოძიების“ შექმნის იდეას და არგუმენტად მოჰყავდა მოსაზრება, რომ „ადვოკატისათვის უფლებების უსაზღვრო გაზრდა, ბრალდების უფლებამოსილების ნაწილის მათთვის გადაბარება, არსებითად ნიშნავს „პარალელური გამოძიების“ ჩატარების უფლების მინიჭებას“¹⁵.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ტერმინი „პარალელური გამოძიება“ ყოვლად მიუღებელია სისხლის სამართლის პროცესისათვის, რადგან იგი არ ესატყვისება საპროცესო სამართლის არც ერთ პრინციპს, პირიქით, მათთან მოდის თვისობრივ წინააღმდეგობაში, რაც უკანონოს ხდის თუნდაც მის თეორიულ არსებობას.

მიუხედავად ზემოთ ხსენებულისა, იურიდიულ ლიტერატურაში მაინც შეხვდებით ტერმინს, სადაც დაცვის მხარის მიერ წარმოებულ გამოძიებას უწოდებენ „პარალელურ გამოძიებას“. მაგალითად, კ. გუცენკო თავის ნაშრომში, ადვოკატის მიერ ჩატარებულ გამოძიებას უწოდებს „პარალელურ გამოძიებას“¹⁶.

კ. გუცენკო განმარტავს, რომ „ბრალდებულსა და დამცველს შესაძლებლობა ეძლევათ „პარალელურად“ და სისხლის სამართლებრივი

¹⁵ Баев М.О. (1998) Тактика профессиональной защиты от обвинения в уголовном процессе России: автореф. дис. канд. юрид. наук. Воронеж. Стр. 15.

¹⁶ კ.გ. გუცენკო.ლ.ვ.გოლოვკო.ბ.ა.ფილიმონოვი. (2007) დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი, თბილისი გვ. 14.

დევნის მწარმოებელი მხარისგან დამოუკიდებლად აწარმოონ მონაცემთა გამოვლენა და შეგროვება“¹⁷.

ინფორმაციას „პარალელური გამოძიების“ შესახებ ასევე შეხვდებით ე. მარტინჩიკის¹⁸ და ი. აქუბარდიას შრომებში“¹⁹.

„პარალელური გამოძიების“ საწინააღმდეგო არგუმენტები მოყვანილია გ. აბაშიძის სახელმძღვანელოში „დამცველი სისხლის სამართლის პროცესში“²⁰.

ნაშრომში მოცემულია მსჯელობა, რომ „აუცილებელია, ადვოკატი აღიჭურვოს უფლებებით, თავად მოიპოვოს დაცვისათვის აუცილებელი ინფორმაცია. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ აქ არ იგულისხმება დამცველის აღჭურვა სახელისუფლებო უფლებამოსილებებით, რომელიც გააჩნია საქმის გამოძიებაზე პასუხისმგებელ ორგანოს და პირს. ამასთან, ადვოკატის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მტკიცებულებათა შეკრებისა და წარდგენის პროცესი ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ის ატარებდეს „პარალელურ გამოძიებას“, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ დამცველის ეს საქმიანობა წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციის საუკეთესო საშუალებას“²¹.

იმავე ნაშრომში განმარტებულია: „წინადადება იმის თაობაზე, რომ ადვოკატი აღიჭურვოს პარალელური გამოძიების უფლებით, უარყოფილია არა მხოლოდ კანონმდებლობით, არამედ იურიდიულ ლიტერატურაშიც. მისი მომხრეები თვლიან, რომ რომელიმე სახის ოფიციალური დოკუმენტის შედგენა, ჩხრეკის ჩატარება, შემოწმება და მსგავსი მოქმედებების ჩატარების

¹⁷ კ.გ. გუცენკო.ლ.ვ.გოლოვკო.ბ.ა.ფილიმონოვი. (2007) დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი, თბილისი გვ. 36.

¹⁸ Мартынич Е.Г. (2009) "Адвокатское расследование в уголовном процессе. Теоретико-методологические основы доктрины адвокатского расследования". Издат-во Юристъ. Тула. Стр. 87.

¹⁹ ი.აქუბარდია. (2011) დაცვის ხელოვნება. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 139.

²⁰ გ.აბაშიძე. (2010) დამცველი სისხლის სამართლის პროცესში: (წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე). შპს "ჩხორია-2009". თბილისი.

²¹ Мельник В.В. (2002) Искусство доказывания в состязательном уголовном процессе.- М, стр. 19.

უფლება ადვოკატის მხრიდან უნდა გამოირიცხოს. ეს მათი აზრით მიგვიყვანს იქამდე, რომ დამცველი ძალაუნებურად გამოავლენდა ბრალდების დამამტკიცებელ გარემოებებსაც, რაც ფაქტიურად მხოლოდ გამოძიების ფუნქციას წარმოადგენს“²².

„პარალელური გამოძიება“ მიგვიყვანს დანაშაულის ცალმხრივ გამოძიებასთან, ამასთან პარალელური გამოძიების შემოღება გულისხმობს გამოძიების ორგანოების საქმიანობის ცვლილებას. გამოძიების ორგანოები, მოვალენი გახდებიან უარი თქვან ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოძიებაზე, რომლის დროსაც ისინი ვალდებულნი არიან გამოავლინონ დანაშაულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები. ნაცვლად ამისა, გამომძიებლები შეაგროვებენ მხოლოდ დანაშაულის მამხილებელ მტკიცებულებებს, ისევე როგორც დამცველები შეაგროვებენ მხოლოდ ბრალდების გამამართლებელ მტკიცებულებებს. გარდა ამისა, პარალელური გამოძიება გამოიწვევს იმას, რომ მხარეების საპროცესო საქმიანობის მიზანი გახდება საქმის მოგება იმის მიუხედავად, თუ სინამდვილეში როგორია გამოსაკვლევი ფაქტის რეალობა. გამომძიებელი შეეცდება დამალოს გამამართლებელი მტკიცებულებები. ასევე, დამცველიც შეეცდება დამალოს გამამტყუნებელი (მამხილებელი) მტკიცებულებები“²³.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენც ვეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებებს და მივიჩნევთ, რომ „პარალელური გამოძიება“ ეტიმოლოგიური და შინაარსობრივი გაგებით, ეწინააღმდეგება დაცვის ინსტიტუტის იურიდიულ ბუნებას და იგი ნიშნავს ავტონომიურ, დამოუკიდებელ, სისხლის სამართლის საქმისგან განცალკევებულად წარმოებულ გამოძიებას, რომელიც ნამდვილად არ ესატყვისება დაცვის მხარის მიერ წარმოებულ საგამომძიებო უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე,

²² Мельник В.В. (2002) Искусство доказывания в состязательном уголовном процессе. М, стр. 120.

²³ გ.აბაშიძე. (2010) დამცველი სისხლის სამართლის პროცესში: (წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე). შპს "ჩხორია-2009". თბილისი. გვ. 119-121.

ტერმინი „პარალელური გამოძიება“ ცალსახად მიუღებელია საადვოკატო საქმიანობისათვის.

რაც შეეხება კერძო გამოძიებას - ეს ინსტიტუტი უცხო არაა საქართველოს კანონმდებლობისათვის, რადგან საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა კერძო გამოძიების ჩატარების შესაძლებლობას. მართალია ამ ნორმას არ უმოქმედია, მაგრამ იგი ნამდვილად იყო მიკუთვნებული დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილებათა არსენალში.

ქართველი ავტორები „კერძო გამოძიებას“ განმარტავდნენ შემდეგნაირად: „კერძო გამოძიების ჩატარების ერთ-ერთ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა“.²⁴

ი. აქუბარდიას განმარტებით: „კერძო გამოძიების“ ერთგვარ ჩანასახად შეიძლება ჩაითვალოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ადვოკატის უფლება, შეეგროვებინა ბრალდებულის კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები“²⁵.

სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „კერძო“ ნიშნავს - „რასაც არა აქვს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ხასიათი, რაც დაკავშირებულია ცალკეული პიროვნების მოქმედებასთან, საკუთრებასთან და მისთ...“²⁶.

ჩვენი აზრით, ტერმინი „კერძო საადვოკატო გამოძიება“ ასევე ვერ შეესაბამება ადვოკატის საპროცესო საქმიანობის სრულ აღწერილობას. ამ შემთხვევაში, სიტყვას - „კერძო“ გააჩნია საკვანძო მნიშვნელობა. ხოლო,

²⁴ ავტ. კოლ. რედ. რეზო გოგშელიძე, ი. აქუბარდია, ლ. ფაფიაშვილი და სხვ. (2008) სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები. გამ: „სამართალი“. თბილისი. გვ. 245.

²⁵ ი. აქუბარდია. (2011) დაცვის ხელოვნება. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 136.

²⁶ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი - სიტყვა „კერძო“. [www. Ena.ge/explanatory-online](http://www.Ena.ge/explanatory-online). განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის და ენის მოდელირების ასოციაციის ერთობლივ პროექტს წარმოადგენს. იგი შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა.

საადვოკატო საქმიანობა, რომელიც მიმართულია გარკვეული გარემოებების დადგენასა და მტკიცებულებების მოპოვებისაკენ, სრულყოფილად ვერ თავსდება კერძო საქმიანობაში და აშკარად მოიცავს საჯაროობის ელემენტებს²⁷.

მითუმეტეს საქართველო წარმოადგენს ქვეყანას, სადაც მოქმედებს კანონმდებლობა ე.წ „სახელმწიფო ადვოკატურის შესახებ“ (!)

ე. მარტინჩიკის განმარტებით: „კერძო საადვოკატო საქმიანობა“ აღიქმება, როგორც ადვოკატის დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელსაც შემხებლობა არ გააჩნია სახელმწიფო გამოძიებასთან. ამ შემთხვევაში ადვოკატი თავისი მიზნის მისაღწევად გამოძიების კონკრეტულ ეტაპზე ატარებს კონკრეტულ ღონისძიებებს, თუმცა მნიშვნელოვანი ის არის, რომ თვით ეს მოქმედება, ან მიღებული შედეგი კავშირში არ არის სახელმწიფო გამოძიებასთან, ანუ არ შეიძინა საჯარო ხასიათი. ადვოკატი კანონზე დაყრდნობით მონაწილეობს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში, აყენებს შუამდგომლობებს, ასრულებს კანონით მინიჭებულ სხვა ვალდებულებებს, რომლებიც მას სძენს საჯარო ხასიათს, რომლებიც მიმართულია კლიენტის ინტერესების დაცვისათვის“²⁸.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „საადვოკატო გამოძიების“ ფარგლებში ადვოკატი ჩართულია გამოძიების მიმდინარეობაში, ის გამოძიების განუყოფელი ნაწილია, ხოლო „კერძო საადვოკატო გამოძიება“ ამ ხასიათს არ ფლობს. სწორედ ამაში მდგომარეობს პრინციპული სხვაობა საადვოკატო გამოძიებასა და ზემოთ ნახსენებ ტერმინებს შორის.

რაც შეეხება ტერმინს „ალტერნატიული გამოძიება“, ისიც ვერ იქნება ზუსტი ამსახველი იმ მოვალეობებისა, რასაც რეალურად სისხლის სამართლის

²⁷ Бояринцев В.Н. (1985) О законодательном закреплении принципа публичности уголовного процесса. // Совершенствование законодательства о суде и правосудии. - М.: Изд-во ИГиП АН СССР. Стр. 95.

²⁸ Мартынич Е.Г. (2009) "Адвокатское расследование в уголовном процессе. Теоретико-методологические основы доктрины адвокатского расследования". Издат-во Юристъ. Тула. Стр. 88-89.

პროცესში ადვოკატი უნდა ახორციელებდეს. ალტერნატიული გამოძიება აღიქმება, როგორც „გამოძიების ერთ - ერთი სახე“, რომლის ჩატარების უფლებაც გააჩნია დაცვის მხარეს. „პარალელური გამოძიებისგან“ განსხვავებით, „ალტერნატიული გამოძიება“ სახელმწიფო გამოძიებისგან სრულად განცალკევებული არ არის, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ არის გამორიცხული, რომ მხარეები სხვადასხვა შედეგებამდე მივიდნენ .

ე. მარტინჩიკის აზრით, „ბუნებრივია, „ალტერნატიული გამოძიება“ თავისთავად არ წარმოადგენს ღირსეულ ალტერნატივას მრავალსაუკუნოვანი ისტორიით შემოწმებული სახელმწიფო გამოძიებისა, თუნდაც მრავალი არსებითი ნაკლოვანებების გათვალისწინებით. ამას გარდა, ადვოკატი პროფესიულად არ არის მზად იმისათვის, რომ ჩაატაროს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება იმ სახით, რომ თავისი არსით იგი გახდეს სახელმწიფო გამოძიების ალტერნატივა, რომელსაც ახორციელებენ კომპეტენტური ორგანოები“²⁹.

ჩვენც ვიზიარებთ იგივე მსჯელობას, „ალტერნატიული გამოძიება“ შეუსაბამოა ადვოკატის საქმიანობასთან, რადგან ალტერნატივა - ეს არის ორი ან რამდენიმე გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთის ამორჩევის აუცილებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმეზე შეიძლება ჩატარებულია ორი ან მეტი გამოძიება სხვადასხვა სუბიექტის მიერ და კონკრეტულ პირსა თუ ორგანოს შეუძლია წარმოებული გამოძიებებიდან აირჩიოს ერთ ერთი (მისთვის სასურველი).

აქედან გამომდინარე, რადგან დავადგინეთ „ალტერნატიული გამოძიების“ მნიშვნელობა, შეგვიძლია ცალსახად დავასკვნათ, რომ „ალტერნატიული გამოძიება“ შინაარსობრივად არ ესატყვისება დაცვის მხარის მიერ წარმოებულ გამოძიებას.

²⁹ Мартынич Е.Г. (2009) "Адвокатское расследование в уголовном процессе. Теоретико-методологические основы доктрины адвокатского расследования". Издат-во Юристъ. Тула. Стр. 87.

იურიდიულ ლიტერატურაში, ზოგიერთი ავტორი ადვოკატის მიერ წარმოებულ გამოძიებას უწოდებს „არასახელმწიფოებრივ“ გამოძიებას. ერთი შეხედვით და ფართო გაგებით, ამგვარ დეფინიციას შეიძლება გააჩნდეს არსებობის უფლება, რადგან ადვოკატი ნამდვილად არ მოქმედებს სახელმწიფოს სახელით, თუმცა მოცემული ტერმინი იმდენად ფართო შინაარსისაა, რომ იგი ადვოკატის მიერ წარმოებულ გამოძიებასთან ერთად შეიძლება მოიცავდეს ჟურნალისტურ გამოძიებასაც, რომელსაც ბოლო წლებში საკმაოდ ოფიციალური სტატუსი აქვს და ამგვარი გამოძიების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას მტკიცებულებითი ძალა გააჩნია.

ავტორები დიდი ხანია დავობენ ტერმინ „საგამოძიებო ჟურნალისტიკის“ მნიშვნელობის შესახებ. IRE³⁰-ს განსაზღვრებით, ეს არის „საკუთარი ინიციატივით რეპორტაჟის მომზადება მკითხველისათვის, მაყურებლისათვის ან მსმენელისათვის მნიშვნელოვან თემაზე. ხშირ შემთხვევაში რეპორტაჟის გმირებს არ სურთ საჯარო გახადონ გამოკვლეული თემა“³¹.

ზოგიერთებმა საგამოძიებო ჟურნალისტიკის უფრო ფართო განსაზღვრება შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ჟურნალისტი გამომძიებელია, რადგან კითხვებს სვამს და დოკუმენტებს ეცნობა, მაგრამ ეს ფართო განმარტება უგულვებელყოფს სანდო საგამოძიებო ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელ თუნდაც მინიმალურ მოთხოვნებს.

ყველა ჟურნალისტს შეუძლია იყოს გამომძიებელი, თუნდაც მხოლოდ ერთი თემა გამოიძიოს, თუ მას აქვს ამისი სურვილი. ჟურნალისტ -

³⁰ IRE - არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომლის დანიშნულებაცაა საგამოძიებო ჟურნალისტიკის ხარისხის ამაღლება. IRE - 1975 წელს ამერიკის წამყვანმა ჟურნალისტ - გამომძიებლებმა შექმენს და მიზნად დაისახეს ამ საქმით დაკავებული ადამიანების ქსელის შექმნა; სემინარებისა თუ კონფერენციების ჩატარება, რათა პროფესიისათვის საჭირო რესურსები და სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი გაეხადათ. ორგანიზაცია ინდიანაპოლისში დაფუძნდა და მისი დამფუძნებლები იყვნენ ჟურნალისტები მირტა პულიმი, ჰარეი ბირსი და იურისტი ედვარდ ო. დელანე.

³¹ ბრენტ ჰიუსტონი. (2009) ჟურნალისტ - გამომძიებლის სახელმძღვანელო. დოკუმენტების, მონაცემთა ბაზებისა და მეთოდების გზამკვლევი. მეხუთე გამოცემა. ილინოისის უნივერსიტეტი ურბანა-შამპეინი. ჟურნალისტ - გამომძიებელთა ასოციაცია. ბრედფორდი/სენტ მარტინსი, ბოსტონი, ნიუ იორკი. გვ: 5

გამომძიებელი უფრო მეტ კითხვას სვამს, მეტ დოკუმენტს ეცნობა და მეტს ფიქრობს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ვიდრე ჩვეულებრივი რეპორტიორი. ჟურნალისტ-გამომძიებელს ხშირად მხოლოდ ცნობისმოყვარეობა და სურვილი სჭირდება, რომ გაიგოს, რა დგას კონკრეტული ამბის უკან და რა რეალური მიზნები ამოძრავებს ამა თუ იმ პოლიტიკოსს ან ბიზნესმენს³².

ზოგიერთი ავტორის განმარტებით, ჟურნალისტურ გამოძიებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა მხოლოდ ჟურნალისტიკის სფეროში, არამედ იგი გავლენას ახდენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ სფეროებზე. ჟურნალისტური გამოძიების მიზანია, დაადგინოს სინამდვილე კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით და აღმოაჩინოს ის მანკიერი მხარეები, რაც გამოწვეულია კონკრეტული პირისა თუ ორგანიზაციის ქმედებით. ჟურნალისტური გამოძიების შედეგად არ არის გამორიცხული მოხდეს დანაშაულის გამოვლენა და დამნაშავე პირების მხილება. ავტორის განცხადებით, ჟურნალისტური გამოძიება სამართალდაცვის ორგანოების ფუნქციებსაც ითავსებს³³.

მართალია, ჟურნალისტურ გამოძიებას შედეგად არ მოყვება სამართლებრივი შედეგები, მაგრამ ავტორთა აზრით, ჟურნალისტური გამოძიება ახდენს საზოგადოების ინფორმირებას გარკვეულ თანამდებობის პირთა თუ ორგანიზაციათა მორალურ თვისებებზე³⁴.

ჟურნალისტური გამოძიების მიზნად შეიძლება მივიჩნიოთ იმ ინფორმაციის გამოვლენა, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის,

³² ბრენტ ჰიუსტონი. (2009) ჟურნალისტ - გამომძიებლის სახელმძღვანელო. დოკუმენტების, მონაცემთა ბაზებისა და მეთოდების გზამკვლევი. მეხუთე გამოცემა. ილინოისის უნივერსიტეტი ურბანა-შამპეინი. ჟურნალისტ - გამომძიებელთა ასოციაცია. ბრედფორდი/სენტ მარტინსი, ბოსტონი, ნიუ იორკი. გვ: 31.

³³ Коханова Л.А., Калмыков А.А. (2009) Основы теории журналистики. Учебное пособие. — М.: ЮНИТИ-ДАНА. MEDIA-образование. Электронное издание. Стр. 32.

³⁴ Тертычный А. А. (2002) Расследовательская журналистика. М.: Аспект Пресс, Стр. 43.

რომელიც გავლენას მოახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ეს არის ის ფაქტი, რომელიც იმალება ადამიანებისაგან და უპირისპირდება უკანონობას. ჟურნალისტური გამოძიება სოციალურად აუცილებელი და გამართლებულია და მისი მიზანია უკეთესობისკენ შეცვალოს საზოგადოება, გამოაშკარავოს დანაშაულებრივი ფაქტები³⁵.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, ჟურნალისტური გამოძიება საკმაოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც ახორციელებს არასახელმწიფოებრივ გამოძიებას და მისი მიზანი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს გარკვეული დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენა და დამნაშავე პირის მხილება, თუმცა ნათელია, რომ მას არ ახასიათებს საჯარო ელემენტი, რაც საადვოკატო გამოძიების აუცილებელი და თანმდევი ნაწილია.

გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, რომ „არასახელმწიფოებრივი“ გამოძიება ზედმეტად ფართო მნიშვნელობისაა და იგი თავის თავში შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სახის გამოძიებას, ხოლო ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საადვოკატო საქმიანობას საჯარო ხასიათიც გააჩნია.

განვიხილოთ ტერმინი „საადვოკატო გამოძიება“. იგი პრინციპულად ბევრი პარამეტრით განსხვავდება „პარალელური გამოძიებისგან“, „ალტერნატიული გამოძიებისგან“ და „კერძო გამოძიებისგან“. ჩვენი აზრით, ტერმინი „საადვოკატო გამოძიება“ უფრო ადეკვატურად გამოხატავს ადვოკატის საპროცესო საქმიანობის ბუნებას, არსს, როლსა და ადგილს გამოძიების ეტაპზე, რაც მას აძლევს შესაძლებლობას მიზანმიმართულად და შედეგიანად დაიცვას ბრალდებულის უფლებები და ინტერესები მის მიერ გამოვლენილი, მოპოვებული და შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე.

ჩვენ მიერ რამდენჯერ ნახსენები ავტორი ე. მარტინჩიკი აღნიშნავს: „საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის ფარგლებში, ადვოკატი გამოძიებას აწარმოებს არა სახელმწიფო გამოძიების პარალელურად, არა იმის გამო, რომ

³⁵ Прохоров Е.П. (2011) Введение в теорию журналистики. Издательство: Аспект Пресс. Стр. 134.

წარმოაჩინოს თავისი უნარიანობა, არამედ იმ სიცარიელის შესავსებად, რაც უკვე გამოავლინეს შესაბამისმა კომპეტენტურმა პირებმა“³⁶.

საადვოკატო გამოძიება წარმოადგენს ცალმხრივი გარემოებების გამოვლენასა და მტკიცებულებების მოპოვებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, რაც მიმართულია დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის, მისი მდგომარეობის შემსუბუქებისა და რეაბილიტაციისათვის. საადვოკატო გამოძიების მსვლელობისას შეგროვილი მტკიცებულებები არ წარმოადგენენ ცალკე სისხლის სამართლის საქმეს, ისინი ერთვანი სახელმწიფო გამოძიებას და შეადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

საადვოკატო გამოძიება წარმოადგენს სახელმწიფო გამოძიების შემადგენელ და თანმდევ ნაწილს, მის ერთ - ერთ სახეს. იგი ჰარმონიულად ავსებს სახელმწიფო გამოძიებას. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესში ტერმინი „გამოძიება“ ექსკლუზიურად მიკუთვნებული აღარ უნდა იყოს მარტოოდენ სახელმწიფოსათვის.

ჩვენი აზრით - ტერმინში „გამოძიება“ უნდა მოვიაზროთ, როგორც სახელმწიფო გამოძიება, ასევე საადვოკატო გამოძიება. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი ასრულებს სუბსიდირებულ (დამხმარე) როლს, იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაცვის მხარე რწმუნდება, რომ გამოძიების დროს არ არის, ან სრულად არ არის დადგენილი/გამოკვლეული ის გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმისათვის და კლიენტის უფლებების დაცვისთვის.

საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი სოციალურ ჭრილში წარმოადგენს სამოქალაქო სექტორის მიერ სახელმწიფო საგამოძიებო ორგანოების

³⁶ Мартынич, Е. Г. (2003) Правовые основы адвокатского расследования: состояние и перспективы. (к разработке концепции и модели) / Е. Г. Мартынич // Адвокат, практика. № 6. Стр. 21-22.

კონტროლის სახეობას. თუ სახელმწიფო გადაუხვევს კანონიერების გზიდან და უგულვებელყოფს კანონის მოთხოვნებს, მაშინ ადვოკატს გააჩნია რეალური შესაძლებლობა საადვოკატო გამოძიების ჩატარებით არსებითი ზეგავლენა მოახდინოს სისხლის სამართლის საქმეზე და შეიძლება მისი მიმდინარეობაც კი შეცვალოს.

დაცვის ინსტიტუტთან დაკავშირებით, დაახლოებით იგივე სახის პოზიციას გვთავაზობს ქართველი ავტორი გ. აბაშიძე. მისი გადმოცემით: „დამცველი ასრულებს სოციალურად მეტად სასარგებლო ფუნქციას, რომლის სწორედ და წარმატებით განხორციელებაში დაინტერესებულნი არიან არა მარტო კერძო პირები, არამედ მართლმსაჯულების ორგანო - სახელმწიფო და საზოგადოება“³⁷.

სხვა ქართველ ავტორთა განმარტებით, დაცვის ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე აცილებულ იქნას სახელმწიფო გადახრა. მათი აზრით: ბრალდებისა და დაცვის მოსაზრებებისა და დასკვნის ურთიერთშეპირისპირება იძლევა შესაძლებლობას, თავი ავარიდოთ საბრალდებო გადახრას საქმის წარმოებისას და ხელს უწყობს საქმის სწორად გადაწყვეტას³⁸.

საბრალდებო გადახრასთან დაკავშირებით, იგივე პოზიციას იზიარებს ი. აქუბარდია. მისი განმარტებით: „პროცესში სპეციალური პირის არსებობა, რომელსაც კანონით ევალება გამოავლინოს ბრალდებულის ბრალის მხოლოდ შემამსუბუქებელი ან გამამართლებელი გარემოებები, წარმოადგენს საქმის ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის გარანტიას, მისი სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტის წინაპირობას. ბრალდებისა და

³⁷ Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence 2005, No. 1 (6), გვ. 4.

³⁸ ა/კ. შ. ფაფიაშვილი, მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე. (2013) საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი: (ზოგადი ნაწილი) გამ: იურისტების სამყარო. თბილისი. გვ. 161.

დაცვის მტკიცებულებების დაპირისპირება იძლევა შესაძლებლობას თავი ავარიდოთ ე.წ საბრალდებო გადახრას“.³⁹

საადვოკატო გამოძიება, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს იმ საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ კანონიერი საშუალებისა და ხერხის გამოყენებით გამოვლენილ იქნას ბრალდებულის როგორც გამამართლებელი, ისე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები.

საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი დაცვის მხარეს შესაძლებლობას აძლევს აქტიური ფუნქცია შეასრულოს სამართალწარმოებაში, იყოს სუბიექტის და არა ობიექტის როლში. ბრალდებულის უფლება, დაიცვას თავი პირადად, ან დამცველის დახმარებით, უზრუნველყოფს მის შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს სამართალწარმოების განვითარებაზე.

ი. პეტრუხინის განმარტებით: „თუ ადვოკატი აქტიურად გამოიყენებს კანონის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას, მას შეეძლება საკმაოდ ეფექტური დახმარება აღმოუჩინოს დასაცავ პირს“⁴⁰.

რადგან ტერმინთა განმარტებაში შევვხებით დაცვის ინსტიტუტის საჯარო როლსა და მნიშვნელობას, საკვლევი საკითხის სრულყოფილად შესწავლისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამოდენიმე სიტყვით შევვხებით აღნიშნულ საკითხს.

ი. მასლოვის განმარტებით, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი სოციალური კუთხით ცალსახად საჯარო ხასიათის სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც განუყოფელ კავშირშია საჯარო ინტერესებთან. მისი განმარტებით, „საადვოკატო გამოძიების ინტერესია იმგვარად წარმართოს გამოძიება, რომ სამართალწარმოების განხორციელებისას, არც ერთ სტადიაზე

³⁹ ი.აქუბარდია. (2011) დაცვის ხელოვნება. გამ: მერიდიანი, თბილისი. გვ. 47.

⁴⁰ Петрухина И.Л., Михайловской И.Б. (2013) Уголовно-процессуальное право Российской Федерации, под ред. 3-е издание. Издательство "Проспект". Стр. 170.

არ დაუშვას შეცდომა, გამოძიებისა და სასამართლოს განხილვის ეტაპის ჩათვლით. საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი ეხმარება როგორც პროცესის მწარმოებელ ორგანოს, ისე სასამართლოს, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში⁴¹.

მისივე განმარტებით, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა კანონით მინიჭებული უფლებების დროული გამოყენებით, ერთის მხრივ, დაიცვას მისი დაცვის ქვეშ მყოფის კანონიერი ინტერესები, მეორეს მხრივ, კი ხელი შეუწყოს სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას⁴².

დაცვის ინსტიტუტის საჯარო ხასიათს ხაზს უსვამს ი. აქუბარდიაც. მისი განმარტებით: „ადვოკატის საქმიანობა ატარებს, როგორც კერძო, ისე საჯარო ხასიათს და მისი დახმარება აუცილებელია არა მხოლოდ ბრალდებულისათვის, არამედ მართლმსაჯულებისათვის, რადგან მისი მიზანია ბრალდებულის საზიანოდ შესაძლებელი შეცდომების თავიდან აცილება“⁴³.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.მარტინჩიკის შეხედულება ამ საკითხზე. მისი განმარტებით: „ადვოკატურა, როგორც პროფესიონალების გაერთიანება, ახორციელებს სოციალურ როლს ჩვენს საზოგადოებასა და სახელმწიფოში. ადვოკატურა ამავდროულად წარმოადგენს სამართალდამცავ ორგანოთა შემადგენელ ნაწილს.

ხსენებული ავტორის განმარტებით, სოციალური კონტროლი ადვოკატურას აძლევს საშუალებას, საქმის ცოდნით ჩაწვდეს მართლმსაჯულების ორგანოების მოღვაწეობას, შეძლოს მათი შეფასება კანონიერების, სამართლიანობის, ჰუმანიზმის თვალსაზრისით, აწარმოოს დაკვირვება სამართლებრივი პრაქტიკის პოზიტიურ და ნეგატიურ

⁴¹ Маслов И. (2004) Адвокатское расследование. „Законность“, N10. Стр. 56.

⁴² იქვე, გვ. 57.

⁴³ ი.აქუბარდია. (2011) დაცვის ხელოვნება. გამ: მერიდიანი, თბილისი. გვ. 96.

ტენდენციებზე და რეაგირება მოახდინოს მათზე დაწესებული კანონიერი წესრიგით, მიიღოს ზომები სასამართლო და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილი შეცდომების აღმოსაფხვრელად და აღადგინოს ადამიანის დარღვეული უფლებები⁴⁴.

დაცვა - ეს არის სახე საჯარო სამართლებრივი საქმიანობისა, რომელსაც ერთადერთი ფუნქცია აქვს: მოიპოვოს და გამოავლინოს მტკიცებულებები ბრალდებულის გასამართლებლად, გავლენა მოახდინოს წარსულში მომხდარის იურიდიულ შეფასებაზე, გამოავლინოს სისხლის სამართლის საქმეებზე სხვა არსებითი გარემოებები⁴⁵.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახად შეიძლება დავადასტუროთ, რომ სოციალურ ქრილში საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი ატარებს საჯარო ხასიათს და მისი როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია სამართალწარმოების განვითარებაში.

რადგან ვიხილავთ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის იურიდიულ ბუნებას, აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ ისეთ საკითხს, როგორც არის საადვოკატო გამოძიების „ინტერესი“ სისხლის სამართლის საქმეში.

ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, დამცველს აქვს საკუთარი პირადი ინტერესი, ხოლო ზოგი მიიჩნევს, რომ ადვოკატს სისხლის სამართლის საქმეში საკუთარი ინტერესი არ გააჩნია.

საჭიროა დავადგინოთ, ადვოკატი, რომელიც ახორციელებს საადვოკატო გამოძიებას, იგი მოქმედებს საკუთარი პირადი ინტერესით, თუ იგი მოქმედებს პროფესიული (საჯარო) ინტერესით.

ქართველი ავტორის გ. აბაშიძის განმარტებით: „დამცველი, უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი სისხლისამართლებრივი ინტერესი საქმეში, ახორციელებს

⁴⁴ Мартынич Е.Г. (2009) Адвокатское расследование в уголовном процессе. Теоретико-методологические основы доктрины адвокатского расследования". Издат-во Юристъ. Стр. 28.

⁴⁵ იქვე, გვ. 28.

განსაზღვრულ საპროცესო ფუნქციას და მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებები და მოვალეობები თავისი საპროცესო ფუნქციისა და ინტერესების განხორციელების მიზნით⁴⁶.

ე. მატვიენკოს აზრით, დამცველი გამოდის სასამართლოში არა როგორც ბრალდებულის წარმომადგენელი, არამედ როგორც დაცვის მხარის წარმომადგენელი. ის სასამართლოში მოქმედებს არა ბრალდებულის სახელით, არამედ თავისი სახელით⁴⁷.

ჩვენ ვეთანხმებით რუსი ავტორის ნ. კოლოკოლოვის შეხედულებას, რომელიც განმარტავს: - „ადვოკატს, საადვოკატო გამოძიების პროცესში პირადი ინტერესი არ გააჩნია, იგი მოქმედებს პროფესიული ინტერესების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საადვოკატო პროფესიისათვის პირადი ინტერესი დამახასიათებელი არ არის, ისევე როგორც, პროკურორის ინტერესი საჯაროა და არა პირადი“⁴⁸.

ცალსახაა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულს გააჩნია პირადი ინტერესები, ასევე, კერძო გამოძიების ჩატარებაც მხოლოდ პირად ინტერესებს ემსახურება, ხოლო რაც შეეხება საადვოკატო გამოძიებას, ვერ ვიტყვით, რომ იგი კერძო ხასიათისაა. სწორედ ამიტომ ნ. კოლოკოლოვი ასკვნის, რომ ადვოკატს სისხლის სამართლის პროცესში გააჩნია პროფესიული ინტერესი და არა პირადი ინტერესი⁴⁹.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ვისაუბრეთ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, ავტორთა შორის პრინციპული აზრთა სხვადასხვაობაა ადვოკატის მიერ საადვოკატო გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებით.

იურისტთა წრეში არიან ისეთი ავტორებიც, რომლებიც დღემდე კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის

⁴⁶ Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence 2005, No. 1 (6), გვ. 4.

⁴⁷ Матвиенко, Е.А. (1972) Судебная речь. Минск. Стр. 44.

⁴⁸ Колоколов Н.А. (2005) Параллельное адвокатское расследование. № 12. Стр. 12-14.

⁴⁹ იქვე, გვ. 14.

არსებობას. უფრო მეტიც, რუსი ავტორი ვ. ფალილევი თვლის, რომ „კანონმდებელი შეცდა, როდესაც ადვოკატს ბრალდების თანაფარდი უფლებები მიანიჭა“⁵⁰. მისი აზრით, „სამართალმა შესაძლოა განიცადოს სრული კრაზი, თუ დამცველს უფლება ექნება ისეთი მოქმედებების შესრულებისა, რაც კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოს კომპეტენციაა“⁵¹. ვ.ფალილევის აზრით, სახელმწიფოს გაუთვითცნობიერებელი მსხვერპლი რომ არ გახდეს ბრალდებული, ამისთვისაა საჭირო დამცველის დახმარება და არა დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება⁵².

ზემოხსენებული პოზიციის საპირისპიროდ ამერიკელი იურისტი ს. მანუელი აღნიშნავს: „ადვოკატს, რომელიც კანონიერ უფლებას ფლობს დამოუკიდებლად ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ბუნებრივია, არ გააჩნია არანაირი საჭიროება დახმარებისათვის მიმართოს სახელმწიფო საგამოძიებო, თუ კერძო დეტექტივების სამსახურს. მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები შეფასდება სასამართლო გამოძიების დროს და არავის არ აქვს უფლება სასამართლომდე შეამოწმოს მისი მტკიცებულებითი ძალა“⁵³.

ჩვენი აზრით, იმ ავტორთა არგუმენტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის არსებობას, ნაკლებად სარწმუნო და არაადამაჯერებელია, რადგან კანონმდებელმა დაცვის მხარეს სწორედ იმიტომ მიანიჭა გამოძიების ჩატარების შესაძლებლობა, რამდენადაც პრაქტიკამ აჩვენა მისი აუცილებლობა. მხოლოდ კონსულტაციის გაწევა ვერ უზრუნველყოფს დაცვის მხარის რეალური უფლებების დაცვას, აუცილებელია კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევა, რაც გამოიხატება დაცვის მხარისათვის საჯარო ფაქტების მოძიებაში. ამ დროს დომინანტი სახელმწიფოა და თუ არ

⁵⁰Фалилеев В. (2003) Пределы полномочий защитника по собиранию доказательств :Взгляд с позиции стороны обвинения. Стр. 79.

⁵¹ იქვე, გვ. 80.

⁵² იქვე, გვ. 82.

⁵³ Steven L. Manuel. (2007) Comments Of Criminal Procedure. Oct 1. p. 81.

იქნება ბერკეტი შეწინააღმდეგებისა, არის რისკი, რომ მოქალაქეები დაექვემდებარონ უფლების უკანონო შეზღუდვას.

საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის არსებობის ფარგლებში შეიძლება დაისვას კითხვა, ადვოკატი თავისი ძალაუფლებით ხომ არ უთანაბრდება პროკურორს, გამომძიებლს? თუმცა, ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა. განსხვავებით პროკურორისგან და გამომძიებლისგან, ადვოკატი სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელი არ არის. აქედან გამომდინარე, იგი არ ფლობს სახელმწიფო ძალაუფლებას და შესაბამისად ფაქტობრივი სახელმწიფოებრივი ძალაუფლებით ადვოკატი პროკურორს ვერ გაუთანაბრდება.

იგივე პოზიციას იზიარებდა ყოფილი ადვოკატი, ეხლა უკვე საქართველოს პარლამენტის წევრი მ. მდინარაძე. მისი განმარტებით: „მხარეთა ძალაუფლებრივი თანაფარდობა იდეალურ შემთხვევაშიც კი პრაქტიკული თვალსაზრისით შეუძლებლად მიმაჩნია“⁵⁴.

თავისი სტატუსით ადვოკატი - ეს არის ადვოკატთა ასოციაციის სუბიექტი, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებას და მოქმედებს, როგორც პროფესიონალების გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია იურიდიული დახმარება აღმოუჩინოს იმ პირებს, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ.

ამ სტატუსში ადვოკატი ფლობს უფლებების ფართო სპექტრს, რომელიც უფლებას აძლევს მას მხოლოდ პრეტენზია გამოხატოს ბრალდების მხარესთან გათანაბრებაზე, თუმცა ამავე დროს გაცნობიერებული აქვს, რომ რეალურად ასეთი თანასწორობა არ არსებობს და მის დასამტკიცებლად არავინ იღვწის.

საქართველოში წმინდა კონსერვატიული მიდგომაა სისხლის სამართლის პროცესში უფლებების განაწილებასთან დაკავშირებით. როგორც ხელისუფლება, ისე იურისტთა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ სამართლებრივი ძალაუფლების „საკონტროლო პაკეტი“ უნდა ეკუთვნოდეს

⁵⁴ მ.მდინარაძე. (2014) შეჯიბრებითობა ქართულ სამართალწარმოებაში და თანმდევი გამოწვევები. ჟურ: სოციალური ეკონომიკა. იანვარ - თებერვალი. გვ. 183.

მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს და მისი გაყოფა არ უნდა მოხდეს არც ერთ სხვა ორგანოსა თუ ორგანიზაციასთან. უფრო მეტიც, კანონმდებლობაში გატარებულმა რეფორმებმა, რომლებმაც გარკვეული დოზით გააფართოვეს დაცვის უფლებები, აღაშფოთა პროკურატურაში, გამოძიებასა და სამეცნიერო სფეროში მოღვაწე წარმომადგენლები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ჯერ კიდევ საკმაო გზა აქვს გასავლელი თანამედროვე, ევროპული სამართლებრივი აზროვნების ჩამოყალიბებამდე.

მოცემული თავის შესაჯამებლად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე, დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სისხლის სამართლის პროცესში საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის მნიშვნელობა უდავოდ დიდია.

სამართლის საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით საადვოკატო გამოძიება - ეს არის ბრალდებულის, მსჯავრდებულის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვის უნივერსალური და ეფექტური გარანტია. იგი შესაძლებლობას აძლევს თითოეულ მათგანს რეალური გავლენა მოახდინოს სისხლის სამართალწარმოებაზე და არ დაუშვას სახელმწიფოს მხრიდან შეგნებული თუ უნებლიე ხელყოფა სამოქალაქო და საპროცესო უფლებებისა.

საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი ატარებს საჯარო სამართლებრივ ხასიათს და საადვოკატო გამოძიების პროცესში ადვოკატი მოქმედებს არა პირადი ინტერესების საფუძველზე, არამედ მხოლოდ პროფესიული ინტერესების შესაბამისად.

ამრიგად, საადვოკატო გამოძიება - ეს არის კანონზე დაფუძნებული ინსტიტუტი და სოციალურ ჭრილში იგი ემყარება საჯარო საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს, რომელსაც გამოძიების მიმდინარეობისას ადვოკატი ახორციელებს დაცვის ქვეშ მყოფის პირის ინტერესების დასაცავად. „საადვოკატო გამოძიების“ მიზანია მოიპოვოს, დაადგინოს და გამოავლინოს

იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც მნიშვნელოვანია ბრალდების უარსაყოფად ან მის შესამსუბუქებლად.

1.2 საადვოკატო გამოძიების სამართლებრივი საფუძვლები

საადვოკატო გამოძიების, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის არსებობა. საკვლევი საკითხის სრულყოფილად შესწავლისათვის, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია მიმოვიხილოთ ის კონცეპტუალური საფუძვლები, რომლებზეც დამყარებულია საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი.

უპირველეს ყოვლისა, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი ემყარება ისეთ სამართლებრივ საფუძვლებს, როგორციაა საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ასევე ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ საადვოკატო გამოძიების ფუნქციონირების საკითხებს.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს“.

მოცემული კონსტიტუციური ჩანაწერი ცალსახად მიუთითებს სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობაზე, სადაც დაცვის მხარეს უფლება აქვს დამოუკიდებლად, საკუთარი ნება - სურვილის მიხედვით მოძებნოს მისთვის მნიშვნელოვანი მოწმეები, გამოკითხოს ისინი, მიიღოს ინფორმაცია და ამის შემდგომ მოითხოვოს მათი დაკითხვა სასამართლო პროცესზე.

ასევე, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

შეჯიბრებითობა გახლავთ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის მთავარი სამართლებრივი საყრდენი და საფუძველი, რომლის გარეშეც საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელია. მოგვიანებით, დეტალურად შევხებით შეჯიბრებითობის საკითხს, მის მნიშვნელობასა და როლს საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებაში.

სხვა მნიშვნელოვან სიკეთესთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია დამცველის მნიშვნელობაზე. კერძოდ, კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, „პირს დაკავებისას ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს”.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება დაეთანხმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ შეთავაზებულ ცვლილებების პაკეტს, რომლის თანახმადაც საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ დაუშვებელია დამცველის საქმიანობაში უკანონო და უხეში ჩარევა. ამგვარი უკანონო ჩარევის ან შეზღუდვის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ვფიქრობთ, ადვოკატთა კორპუსისათვის დიდი მიღწევაა საქართველოს კონსტიტუციაში ამგვარი ჩანაწერის არსებობა, ვინაიდან, კიდევ უფრო მეტად ფასდება ადვოკატის პროფესია, მისი მნიშვნელობა და რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია, საადვოკატო გამოძიების მნიშვნელობა, რადგან ადვოკატის საქმიანობაში ხელის შეშლა დიდი ალბათობით, ასოცირდება საადვოკატო გამოძიების ჩატარებასთან და მისთვის ხელის შეშლასთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური პრინციპები საკმაოდ მყარად იცავენ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის არსებობას და მის პრაქტიკაში რეალიზებას.

საქართველო, როგორც ევროპის საბჭოს წევრი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყანა, იცავს იმ დებულებებს და კონვენციებს, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია დემოკრატიული საზოგადოების მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თავის პრეცედენტულ სამართალში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის სტატუსზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე, თუ რაოდენ აუცილებელია აქტიური საადვოკატო ინსტიტუტის საჭიროება. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში განმარტებულია, რომ „პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს სულ მცირე იმის უფლება, რომ დააკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოამახვილოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში“.

ერთი შეხედვით, მოცემული ჩანაწერი ძალიან ჰგავს ჩვენ მიერ შესავალში ნახსენებ საქართველოს კონსტიტუციურ ჩანაწერს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველომ თავის კანონმდებლობაში პირდაპირ ასახა ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტი, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ჩანაწერი უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი.

მაგალითისათვის: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში აღნიშნულია, რომ „პირს, მინიმუმ უფლება აქვს დააკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები“. ჩანაწერიდან გამომდინარე, განსხვავებით საქართველოს კონსტიტუციური ჩანაწერისგან, ევროპული სტანდარტი ბრალდებულს, დაცვის მხარეს უფლებას აძლევს თვითონ, უშუალოდ მოახდინოს პირის გამოკითხვა/დაკითხვა და მიღებული შედეგები წარუდგინოს სასამართლოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გარდა, ადვოკატის საქმიანობისა და საადვოკატო ინსტიტუტის შესახებ ყურადღება მრავალ საერთაშორისო დოკუმენტშია გამახვილებული, რომლის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. სწორედ აქედან გამომდინარე, დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საადვოკატო გამოძიების, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობა, განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

გარდა ზემოთ ხსენებული დოკუმენტებისა, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის ფუნქციონირებას არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ეს გახლავთ კანონი, სადაც დეტალურად გაწერილი საადვოკატო საქმიანობისა და მისი საგამოძიებო უფლებამოსილების შესახებ.

მსგავსად საქართველოს კონსტიტუციისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ „სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. იმავე მუხლის მეორე ნაწილში განმარტებულია, რომ „მხარეს უფლება აქვს ამავე კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი დამყარებულია მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე. ასევე მოცემული ჩანაწერი, სადაც კანონი მხარეს აძლევს უფლებას დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულებები, ნათლად მიუთითებს მხარეთა საქმიანობაში მათ ავტონომიაზე.

რა თქმა უნდა, მხარეებში იგულისხმება დაცვის მხარეც და მათ აქვთ უფლება დამოუკიდებლად მოიპოვონ და წარადგინონ მტკიცებულებები და ასევე, ამავე ჩანაწერში გამახვილებულია ყურადღება, რომ თუ თავად ვერ შეძლებენ ამგვარი მტკიცებულებების მოპოვებას, მათ შუამდგომლობით უნდა მიმართონ სასამართლოს და ამ ხერხით მიაღწიონ სასურველ შედეგს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის სამართლებრივ საფუძველად, რადგან სწორედ ის უხსნის გზას ჩვენს მიერ ხსენებულ ინსტიტუტს, რომ აწარმოოს გამოძიება.

საადვოკატო გამოძიების კიდევ ერთ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც პირდაპირ არის ნახსენები, რომ „სასამართლოში მტკიცებულებათა წარმოდგენა მხარეთა კომპეტენციაა“. ამ ჩანაწერის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ წარსულში, სასამართლოში გამომძიებელი აგზავნიდა სისხლის სამართლის საქმეს, სადაც დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებიც იყო დართული, ხოლო დღეს მოქმედი კოდექსით, მხარე თავად არის ვალდებული სასამართლოს მიაწოდოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

ჩვენ მიერ უკვე მრავალჯერ იქნა ნახსენები ის მთავარი საკვანძო სამართლებრივი საფუძველი, თუ რაზედაც არის აღმოცენებული საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, **„ბრალდებულს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები“**.

რა თქმა უნდა, სწორედ მოცემული ჩანაწერი გახლავთ საადვოკატო გამოძიების უშუალო სამართლებრივი საფუძველი, რომელიც დაცვის მხარეს

პირდაპირ აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს საგამომიებო უფლებამოსილება.

ასევე ყურადღება უნდა გავამახვილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილზე, სადაც აღნიშნულია, რომ „ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს“.

მოცემულ ჩანაწერში, მართალია, არ არის ნახსენები სიტყვა გამოძიება, თუმცა არაპირდაპირი გაგებით, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტზეა საუბარი, რომლის თანახმადაც, ბრალდებულს სურვილის შემთხვევაში უფლება აქვს საკუთარი ხარჯით, დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით მოიპოვოს მტკიცებულებები. აქ საუბარია ექსპერტიზის დანიშვნაზე, სპეციალისტის მოწვევაზე, ახალი მტკიცებულების შექმნაზე, კვლევის განხორციელებაზე და ა.შ. ყოველივე ხსენებულიდან გამომდინარე, სხვა ჩამოთვლილ სამართლებრივ საფუძვლებთან ერთად, მოცემული ნორმაც ცალსახად საადვოკატო გამოძიების სამართლებრივი საფუძველია.

გასათვალისწინებელია ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელშიც მითითებულია, რომ თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამომიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელნი უფლებამოსილნი არიან შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართონ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.

სწორედ ეს მოცემული ჩანაწერი ახდენს საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის სრულყოფას, რადგან ადვოკატს წარსულშიც შეეძლო მტკიცებულებების მოპოვება სხვადასხვა სახით, თუმცა ამ შემთვევაში, თუ ადვოკატი ვერ შესძლებს თავად მოახდინოს მტკიცებულების მოპოვება, მაშინ მან სასამართლოს უნდა მიმართოს შესაბამისი შუამდგომლობით. ძირითადად ეს ნორმა ეხება ისეთ საგამოძიებო მოქმედებებს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სასამართლოს ნებართვა.

როგორც წესი, წარსულში მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოები ატარებდნენ საგამოძიებო მოქმედებებს. დაცვის მხარეს ასეთი შესაძლებლობა არ გააჩნდა, ხოლო ახალი კანონის თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, მხარეები სრულიად თანაბარნი არიან მტკიცებულებების მოპოვებაში, რაც თავისთავად გულისხმობს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასაც.

ადვოკატს დამოუკიდებლად შეუძლია გამოკითხოს კონკრეტული პირი და მიიღოს მისგან ინფორმაცია, ასევე არსებობს უკვე პრეცედენტები, როდესაც დაცვის მხარე ატარებს ისეთ საგამოძიებო მოქმედებას, როგორცაა „დათვალიერება“ და შემდგომ დათვალიერების ოქმს წარუდგენენ სასამართლოს. მართალია, პრაქტიკაში არსებობს სირთულეები, რომლებსაც იურისტები აწყდებიან, რათა მათ მიერ მოპოვებულმა დოკუმენტებმა მტკიცებულებითი ძალა შეიძინონ, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა, რომელიც ვიმედოვნებთ, აღმოიფხვრება, დაიხვეწება და პრაქტიკაში გაჯერდება.

ძირითადად, მოცემული ნორმის გამოყენება დაცვის მხარეს დასჭირდება ჩხრეკა-ამოღების ან სხვა ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, რომელიც თავად არ შეუძლია განახორციელოს, მაგრამ ამავე ნორმაშია ასახული დაცვის მექანიზმი, სადაც ნახსენებია, რომ მოსამართლე ვალდებულია დააკმაყოფილოს დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობა და ამავე დროს უზრუნველყოს, რომ ბრალდების მხარისათვის

ცნობილი არ გახდეს ამგვარი საგამომიებო მოქმედების ჩატარების ან კონკრეტული სახის მტკიცებულების მოპოვების შესახებ.

რა თქმა უნდა, იურისტებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ წმინდა შეჯიბრებითი პროცესი ითვალისწინებს, რომ მხარეები ყველაფერში იყვნენ თანასწორნი და ისინი ითხოვენ დაცვის მხარისათვის ამოღებისა და ჩხრეკის უფლებამოსილების მინიჭებასაც, რაც ვფიქრობთ ყოველგვარ ლოგიკურ მსჯელობას მოკლებულია, ვინაიდან, შეიძლება ყოველივე ამან სრული ქაოსი გამოიწვიოს ქვეყანაში, რადგან ფაქტობრივად იარსებებს მრავალი საგამომიებო ორგანო, რომელიც არა მხოლოდ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, არამედ საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო ნორმებსაც ეწინააღმდეგება.

შეიძლება დაისვას კითხვა, თუ სისხლის სამართლის საქმეში მოიძებნა ამოსაღები ნივთი (ნივთმტკიცება), რომელმა მხარემ უნდა მოახდინოს მისი ამოღება? ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „დაცვის მხარეს არა აქვს უფლება, სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატაროს ისეთი საგამომიებო მოქმედება, რომლის ჩატარებისათვის, ამ კოდექსის თანახმად, საჭიროა შესაბამისი ნებართვა“ .

მოცემული ჩანაწერიდან ცხადი ხდება, რომ ადვოკატმა ყველა შემთხვევაში შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს ამოღების ჩატარების თაობაზე, რადგან დამოუკიდებლად მას არ აქვს უფლება აწარმოოს მსგავსი მოქმედება, გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი საპროცესო კანონის თანხმად, ამოღება საჭიროებს სასამართლოს ნებართვას.

ამას გარდა, გასათვალისწინებელია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ „დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების,

აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის *პირველადი* გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს“.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ნათლად გაეცა პასუხი ჩვენ მიერ დასმულ კითხვას. იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტული საგანია ამოსაღები, მას თავდაპირველად ან ბრალდების მხარე ამოიღებს, გამოიკვლევს და დაურთავს სისხლის სამართლის საქმეს, ან ადვოკატი მიმართავს შუამდგომლობით სასამართლოს, მოხდება მისი ამოღება ნეიტრალური გამომძიებლის მიერ და კვლავ ბრალდების მხარე მოახდენს მის პირველად გამოკვლევას.

მოცემულ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ კანონის თანახმად მხარეთა აშკარა უფლებრივი დისბალანსია, კითხვაზე პასუხი მაინც ცალსახაა, რომ გამომძიებელი ახდენს ნივთის ამოღებას, რაც ვფიქრობთ, ლოგიკურია და არ აკნინებს ადვოკატის სტატუსსა და როლს სისხლის სამართლის პროცესში.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლზეც, რომლის თანახმადაც: „იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომელიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს“.

მოცემული ნორმის განმარტებით, კანონმდებელი ადვოკატს სხვადასხვა უფლების მინიჭებასთან ერთად, ვალდებულებასაც აკისრებს, რომ იგი მოვალეა ყველა ხერხი გამოიყენოს იმ გარემოებების გამოსავლენად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბრალდებულის ინტერესებს. მართალია, ჩანაწერში პირდაპირ არ არის მითითებული სიტყვა ვალდებულება, თუმცა შინაარსი იგივე მნიშვნელობის მატარებელია. მოცემული დეფინიცია შეიძლება სამომავლოდ განსჯის საგანიც გახდეს, რადგან იგი ადვოკატს ყოველი სისხლის სამართლის საქმეში აიძულებს აქტიური მოქმედებისაკენ, იმ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რომლებიც სასიკეთოა ბრალდებულის ინტერესებისათვის.

რეალურად მტკიცებულებების მოპოვება ხდება საადვოკატო გამოძიების პირობებში. აქედან გამომდინარე, მოცემული ჩანაწერის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე აწარმოოს საადვოკატო გამოძიება, რაც კანონის უხეში დარღვევაა, გამომდინარე იქიდან, რომ დაცვის მხარისათვის გამოძიების ჩატარება მხოლოდ უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის ჩანაწერი ბუნდოვანია და შეიძლება ორაზროვნად იქნეს გაგებული, რაც საჭიროებს დროულ მოწესრიგებას.

ამას გარდა, მნიშვნელოვანია მოქმედი საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად: „ მხარეებს ამავე კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობანი. დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. ამ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ბრალდებულს. დაცვის მხარეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თავისი მოთხოვნით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში“.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა ზემოთ მოცემული ნორმის განმარტება, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ მხარეებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლებები. ეს ნიშნავს იმას, რომ დაცვის მხარეს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ნებისმიერი სახის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით არის გათვალისწინებული. აქვე არის განმარტებული, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული/ადვოკატი თავად ვერ ატარებს

საგამომიებო მოქმედებებს, მან შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს და დაკმაყოფილების შემთხვევაში, სხვა (ნეიტრალური) გამომიებელი ჩაატარებს ამ საგამომიებო მოქმედებებს და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, კანონის თანახმად, ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს „საიდუმლოდ“, ანუ საქმის განმხილველმა გამომიებელმა ვერ უნდა შეიტყოს, თუ რა სახის საგამომიებო მოქმედება შესრულდა დაცვის მხარის შუამდგომლობით.

ზემოთ ხსენებულთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს „ნეიტრალური“ გამომიებლის სანდოობის პრობლემა. ჩვენ ვგულისხმობთ სანდოობას იმ გაგებით, რომ თუნდაც „ნეიტრალური“ გამომიებელიც არის იმავე უწყებისა და ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას. აქედან გამომდინარე, რამდენად იქნება ინფორმაცია დაცული და საიდუმლოება შენარჩუნებული, რომ საქმის გამომიებლისათვის ინფორმაცია არ გახდეს ცნობილი, ნაკლებად სარწმუნოა. თან, ამავდროულად, არც არსებობს რაიმე სახის სამართლებრივი მექანიზმი, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ნეიტრალური“ გამომიებლისგან გავრცელდა ინფორმაცია, რა სახის სამართლებრივი ზემოქმედების ინსტრუმენტები არსებობს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ ერთის მხრივ, ძალიან სასარგებლოა დაცვის მხარისათვის ამგვარი უფლების მინიჭება, მაგრამ მეორეს მხრივ, საშიშროებაა მისი პრაქტიკული გამოყენება, რადგან ფაქტობრივად, ერთი და იგივე უწყება ატარებს საგამომიებო მოქმედებებს და არ არის გამორიცხული გამომიებლები ერთსა და იმავე შენობაში და ერთსა და იმავე სართულზე მუშაობდნენ. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ მოცემული სამართლებრივი ნორმა დასახვეწია და სრულყოფას საჭიროებს.

ჩვენ მიერ მრავალჯერ ნახსენები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლი ითვალისწინებს მოწმის გამოკითხვას ნებაყოფლობით. მასში აღნიშნულია, რომ „ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია

ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნეს მხარეთა მიერ“.

ჩვენი შეხედულებით კანონის მოცემული ჩანაწერი საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის კიდევ ერთი ეფექტური ინსტრუმენტია, სადაც ნათქვამია, რომ პირის ნებაყოფლობითი გამოკითხვა შეუძლია, როგორც ბრალდების მხარეს, ასევე დაცვის მხარეს. სწორედ მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, მოიძიონ ასეთი პირები, გაესაუბრონ, შემდგომ კანონის სრული წესების დაცვით გამოკითხონ და მიღებული ინფორმაცია წარუდგინონ მოწინააღმდეგე მხარესა და სასამართლოს. ამ შემთხვევაში თავად მხარესვე ევალება ამტკიცოს ასეთი ინფორმაციის (მტკიცებულების) რელევანტურობა, სარწმუნოობა და დასაშვებობა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, კანონმდებლის მიერ დაცვის მხარისათვის ასეთი შესაძლებლობის მიცემა, უდავოდ აადვილებს, ამარტივებს და გზებს უხსნის ადვოკატს, უკეთ დაგეგმოს სტრატეგია და ჩაატაროს ეფექტური გამოძიება.

საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტისათვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლი, რომლის პირველ ნაწილშიც ნახსენებია, რომ „გამოძიების სტადიაზე, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი“.

მხარეთა უფლებრივ თანაბარ მდგომარეობას ადასტურებს მოცემული ჩანაწერიც. იმ შემთხვევაში, თუ მოწმე ნებაყოფლობით არ იძლევა საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, მხარეს უფლება აქვს მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით პირის იძულებით დაკითხვის თაობაზე.

ჩვენი აზრით, დაცვის მხარისათვის ამგვარი უფლების მინიჭება ნამდვილად ამტკიცებს მხარეთა შეჯიბრებითობის მაღალ ხარისხს და სრულ შესაძლებლობას იმისა, რომ ეფექტური საადვოკატო გამოძიების პირობებში შეიძლება აბსოლუტურად შეიცვალოს სისხლის სამართლის საქმის მდოგმარეობა/ვითარება.

ყურადღების ღირსია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი, სადაც ნახსენებია, რომ „დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების გარკვევის მიზნით, მხარეს უფლება აქვს, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, სათავსო, გვამი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

ვფიქრობთ, მოცემული ჩანაწერი განსაკუთრებული შინაარსისაა, რადგან კანონის ტექსტიდან ირკვევა, რომ პროცესის მხარეს, სადაც დაცვის მხარეც იგულისხმება, აქვს უფლება დამოუკიდებლად და საკუთარი სურვილის მიხედვით ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედება, როგორც არის დათვალიერება.

ჩვენ მიერ ხსენებული ნორმა ასევე განმარტავს, თუ რისი დათვალიერება არის შესაძლებელი. რა თქმა უნდა, მოცემული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, თუმცა მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დაცვის მხარეს უფლება აქვს ჩაატაროს გვამის დათვალიერება. (მართალია, იგი ტარდება მის მიერ მოწვეული ექსპერტის მონაწილეობით). თუმცა იმის უფლება, რომ დაცვის მხარეს გამოძიებასთან და სასამართლოსთან შეუთანხმებლად ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია, ვფიქრობთ, აშკარად მიუთითებს დაცვის ინსტიტუტის მრავლისმეტყველ შესაძლებლობებზე.

საადვოკატო გამოძიების კიდეც ერთ სამართლებრივ საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე

მუხლი. რომლის თანახმად: „მიღებული ინფორმაციის (ჩვენების) და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შესამოწმებლად მხარეს უფლება აქვს, ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი“. ამასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ ქართველი ადვოკატების გამოკითხვის შედეგად მივიღეთ ცნობები, რომ ისინი საგამოძიებო ექსპერიმენტს საკმაოდ ხშირად ატარებენ, რაც მისასაღმებელია და მოწმობს დაცვის ინსტიტუტის პრაქტიკულ განვითარებას.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლზე, რომლის თანახმად მხარეებს შეუძლიათ დანიშნონ ექსპერტიზა. საადვოკატო საქმიანობაში საკმაოდ ხშირია ფაქტები, როდესაც ადვოკატები ატარებენ ალტერნატიულ ექსპერტიზას და მიღებული დასკვნებით დავობენ სასამართლოში. აქედან გამომდინარე, დაცვის ეს სამართლებრივი ინსტრუმენტი სწორად წარმოებულ გამოძიებაში საკმაოდ ეფექტურია.

საადვოკატო გამოძიების კიდევ ერთ ფუნდამენტურ სამართლებრივ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც „დაცვის მხარეს უფლება აქვს დააყენოს შუამდგომლობა ახალი მტკიცებულებების წარმოდგენის და საქმეზე დართვის შესახებ“.

მართალია, მას ამავე დროს უწევს იმის მტკიცება, თუ რატომ ვერ წარმოადგინა იგი წინასასამართლო სხდომამდე, თუმცა საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ვლინდება ახალი გარემოებები სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას, თან ამავე დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სისხლის სამართლის საქმეები ზოგჯერ წლების განმავლობაში გრძელდება. აქედან გამომდინარე, დაცვის მხარეს უფლება აქვს ამ პერიოდის განმავლობაშიც საკმაოდ ეფექტურად და აქტიურად განახორციელოს თავისი საქმიანობა და საადვოკატო გამოძიების მეშვეობით მოიპოვოს ახალი

მტკიცებულებები, რომელიც კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში შეიძლება დაერთოს საქმეს და გავლენა მოახდინოს მასზე.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი დამყარებულია საკმაოდ მრავალ სამართლებრივ საფუძვლებზე, სადაც დეტალურადაა გაწერილი ამ ინსტიტუტის მოქმედების არეალი.

საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი არის კანონზე დამყარებული იურიდიული ინსტიტუტი, რომელიც დაცვის მხარეს სრულიად ლეგიტიმურად აძლევს შესაძლებლობას აწარმოოს გამოძიება.

1.3. შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელობა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებაში

საადვოკატო გამოძიების, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის სრულყოფილად შესწავლისათვის, აუცილებელია შევხებით ისეთ სისხლის სამართლებრივ პრინციპს, როგორცაა შეჯიბრებითობა.

შეჯიბრებითობის პრინციპი, ნოვაციას არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობაში. როგორც კვლევის დასაწყისში აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილში განმარტებულია, რომ „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. კონსტიტუციის გარდა შეჯიბრებითობის პრინციპმა ასახვა 1998 წელს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც ჰპოვა. ხსენებულ კანონში, განმარტებული იყო, რომ სისხლის სამართლის პროცესი წარიმართება მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე, მხარეებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად მოიპოვონ მათთვის საჭირო მტკიცებულებები და წარადგინონ სასამართლოში.

2009 წელს მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანხმად, პროცესი კვლავ დაფუძნებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, თუმცა დანამდვილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი კანონის თანახმად, მხარეთა უფლებები სხვაგვარად არის მოწესრიგებული, ვიდრე ძველ კანონში.

ფაქტია, ახალ კანონში დაცვის უფლებები უფრო გაფართოვდა, რაც გამოიხატება იმით, რომ დაცვის მხარე ვალდებული აღარ არის გამოძიების ეტაპზე დაეყრდნოს სახელმწიფო სტრუქტურებს. მაგალითისათვის: 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანხმად, ქვეყანაში შეჯიბრებითობის პრინციპი იყო, მიუხედავად ამისა, დაცვის მხარე თუ მოიპოვებდა მტკიცებულებას, იგი გამომძიებლისათვის უნდა წარედგნა და მოეთხოვა მისი სისხლის სამართლის საქმეზე დართვა, სხვა შემთხვევაში ამგვარ მტკიცებულებებს მტკიცებულებითი ძალა არ ენიჭებოდა (არ იგულისხმება სასამართლო განხილვის ეტაპი).

ახალი კანონის თანხმად, დაცვის მხარე აღარ არის ვალდებული გამოძიებას წარუდგინოს მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები და მოითხოვოს ამ უკანასკნელმა დაურთოს იგი საქმეს. ახალი კანონის თანხმად, მხარეები დამოუკიდებლად აწარმოებენ მტკიცებულებების მოპოვებას და თავადვე წარუდგენენ სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს უფრო „მეტ“ შეჯიბრებითობის ხარისხს, ვიდრე მანამდე მოქმედი კანონი. სწორედ აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ამგვარი სისხლის სამართლის საპროცესო სისტემა „ზედმეტად“ შეჯიბრებითია⁵⁵, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია ინგლისურ - ამერიკული საპროცესო სისტემისათვის.

⁵⁵ Cristine Van Den Wingaert and C.Gane, H.H Kuhne. F. Mcauely. (1993) ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. Butterworths. London, Brussels, Dublin, Edinburgh. ქართული თარგმანი. რედ: ნინო გვენეტაძე. გვ. 98.

რადგან დავადგინეთ, რომ ქართული სისხლის სამართლის პროცესის ფორმა უფრო მეტად ენათესავება ინგლისურ - ამერიკულ სისხლის სამართლის საპროცესო სისტემას, მაშინ საჭიროა მიმოვიხილოთ ის ასპექტები, თუ რა გავლენას ახდენს „ზედმეტად“ შეჯიბრებითობის პრინციპი საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტზე და როგორია მისი როლი საადვოკატო გამოძიების პირობებში.

ცალსახაა, რომ საადვოკატო გამოძიებას არსებობის უფლება აქვს მხოლოდ შეჯიბრებით სამართლის სისტემაში. ინკვიზიციურ სამართლის სისტემაში დაცვის მხარე უფლებრივად იმდენად შეზღუდულია, რომ მას არათუ გამოძიების წარმოება, არამედ სასამართლო განხილვის დროსაც საკმაოდ შეზღუდული უფლებები გააჩნია, რომ საქმეზე მოახდინოს რაიმე სახის ზეგავლენა.

განსხვავება შეჯიბრებით და ინკვიზიციურ პრინციპებს შორის მდგომარეობს შემდეგში: შეჯიბრებითობით სისტემაში სისხლის სამართლებრივი დევნისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები ერთმანეთისაგან გამიჯნულია, ხოლო ინკვიზიციურ სისტემაში მოსამართლე ამავე დროს გამოძიებლადაც გვევლინება.⁵⁶

საქართველოში, როდესაც დადგა საკითხი ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისა, ქართველმა კანონმდებლებმა, ფაქტია, არჩიეს ინგლისურ - ამერიკული სისხლის სამართლის საპროცესო მოდელი და დაიწყეს მისი დანერგვა საქართველოში.

ქართველი იურისტები, შეჯიბრებითობის პრინციპს განმარტავენ შემდეგნაირად: „სასამართლო განხილვის სტადიაში შეჯიბრებითობა

⁵⁶ Cristine Van Den Wingaert and C.Gane, H.H Kuhne. F. Mcauely. (1993) ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. Butterworths. London, Brussels, Dublin, Edinburgh. ქართული თარგმანი. რედ: ნინო გვენეტაძე. გვ. 76.

გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა პოლემიკას (პაექრობას)⁵⁷.

ნაწილი ქართველი იურისტებისა მიუთითებენ, რომ „სისხლის საპროცესო სამართლის შეჯიბრებითი ფორმა, რომელიც განსაზღვრავს საპროცესო ფუნქციებს და ამ ფუნქციების მატარებელ სუბიექტებს, აღიარებს ბრალდებულის უფლებას დაცვაზე, შეჯიბრებითობასა და არაბრალეულობის პრეზუმპციას, ე.ი სოციალური კუთხით იგი მოწონებას იმსახურებს“⁵⁸.

მათივე აზრით, „მართლმსაჯულება შეჯიბრებითია მაშინ, როდესაც სასამართლო განხილვის მხარეებს შეუძლიათ აქტიურად და თანაბარ საწყისებზე ამტკიცონ თავიანთი პოზიციის უტყუარობა, მოიყვანონ ამისათვის არგუმენტები, განმარტონ ფაქტები და მოვლენები, წარადგინონ მტკიცებულებები. ამასთან, სასამართლო მიზანმიმართულად კონტროლს უწევს მხარეთა მოქმედებას, უზრუნველყოფს კანონით დადგენილი სასამართლო განხილვის წესების განუხრელ დაცვას“⁵⁹.

ერთი შეხედვით, შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც დაცვის მხარეს ანიჭებს ძალიან ფართო უფლებამოსილებას, უნდა იყოს საუკეთესო მოდელი სისხლის სამართლის საპროცესო სისტემაში ბრალდებულისთვის საკუთარი თავის დასაცავად. თუმცა, ავტორთა ნაწილს არ გააჩნია ერთიანი ჩამოყალიბებული მიდგომა შეჯიბრებითობის პრინციპზე და ზოგიერთი მათგანი მასში ხედავს უსამართლობის, არაჭეშმარიტების ელემენტებს, რომელიც, მათი აზრით, მკაცრად მიუღებელია სისხლის სამართლის პროცესისათვის.

⁵⁷ ავტ. კოლ. ხელმძღვ. და რედ. რეზო გოგშელიძე, ი. აქუბარდია, ლ. ფაფიაშვილი და სხვ. (2008) სისხლის სამართლის პროცესი. *კერძო ნაწილი*. გამ: „სამართალი“. თბილისი. გვ. 131.

⁵⁸ ავტ. კოლ. ხელმძღვ. და რედ. რეზო გოგშელიძე, ი. აქუბარდია, ლ. ფაფიაშვილი და სხვ. (2008) სისხლის სამართლის პროცესი. *ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები*. გამ: სამართალი. თბილისი. გვ. 74.

⁵⁹ იქვე, გვ. 148.

როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ე.სენდერსი აღნიშნავს, სისხლის სამართალწარმოების ინგლისურ-ამერიკული მოდელის მკვლევარები, ბოლო წლებში საკმაოდ ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შეჯიბრებითი პროცესისათვის დამახასიათებელია მისწრაფება „დამტკიცებისაკენ“ (proof) და არა „ჭეშმარიტებისაკენ“ (truth). ეს მოდელი თითქოსდა ორიენტირებულია სამოქალაქო თავისუფლებათა პრიორიტეტულობაზე, რომელიც უზრუნველყოფს „უდანაშაულოთა მაქსიმალურად გამართლებას დამნაშავეთაგან ვინმეს გამართლების რისკით“. მისთვის სულ ერთია საჯარო ინტერესები და ნებისმიერ ფასად ჭეშმარიტების მიღწევა, რომლებიც თითქოსდა სისხლის სამართალწარმოების იმ მოდელის სათავეშია მოქცეული, რომელსაც კონტინენტური ევროპის სახელმწიფოები იზიარებენ⁶⁰.

კ. გუცენკოსა და სხვა ავტორთა აზრით: „შეჯიბრებითი პროცესი, რომელიც ბრალდებითისაგან განვითარდა, განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემების მქონე სახელმწიფოებში. მისი ე.წ კლასიკური მოდელი (სქემა), რომლის ფართო პროპაგანდასაც ეწევიან დღეს, ეფუძნება იმ ამოსავალ დებულებას, რომ სისხლის სამართლის პროცესი - ეს არის სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ მოქალაქეს შორის დავა, რომელიც სასამართლოში ხორციელდება. ამგვარ დავაში ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ მინიჭებული - მტკიცებულებათა შეკრების, წარმოდგენის და გამოკვლევისათვის, მათი ანალიზისათვის, კონკრეტულ საქმეზე მისაღები მოსაზრებების გამოთქმისათვის და ასე შემდეგ. ითვლება, რომ ასეთი თანაბარი შესაძლებლობები მათ სრულად უნდა გააჩნდეთ როგორც საქმის სასამართლოში განხილვისას, ისე მის წინასასამართლო მომზადებისას⁶¹.

⁶⁰ Sanders A. (1994) From Suspect to Trial // The Oxford handbook of Criminology. Oxford. P. 773.

⁶¹ კ.გ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი. (2007) დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი, თბილისი. გვ. 13.

თუმცა მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იგივე ავტორები აგრძელებენ მსჯელობას, რომ რთული შესამჩნევი არ არის, რომ მსგავსი „იდილია“ პრაქტიკულად მხოლოდ ქალაქებში ან ცხოვრებას მოწყვეტილ ადამიანთა გონებაშია შესაძლებელი. ეს მხოლოდ ერთ-ერთი ილუზიათაგანია. რეალურად, როგორც ცნობილია, ყველგან და ყოველთვის მტკიცებულებათა გამოვლენა და შეკრება წარმოების დაწყების მომენტიდან საქმის სასამართლოში წარმართვამდე ითვლებოდა და ითვლება, რომ სპეციალურად მომზადებული (პროფესიონალების) საქმეა, რომელთა ზურგს უკან სახელმწიფო დგას თავისი ფართო მატერიალური, ტექნიკური და ორგანიზაციული რესურსით. ისინი სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირები არიან, რომელთაც როგორც წესი, არავინ და არაფერი ავალდებულებთ იყვნენ ობიექტურნი. მათი საქმეა შეკრიბონ მხოლოდ გამამტყუნებელი მტკიცებულებანი, ვინაიდან, ისინი სახელმწიფოს წარმოადგენენ, რომელიც სასამართლო დავაში უპირისპირდება ბრალდებულს და მისი დამნაშავეობის მტკიცების ტვირთი აკისრია⁶².

ზემოთ ხსენებულიდან ირკვევა, რომ საკმაოდ სერიოზული არგუმენტები გააჩნიათ ავტორებს შეჯიბრებითობის პრინციპის წინააღმდეგ, თუმცა, ალბათ, ვერ დავეთანხმებით იმ პოზიციას, რომ სახელმწიფო წარმომადგენელი ყოველთვის პროფესიონალი, უფრო გამოცდილი და კვალიფიციურია ვიდრე ადვოკატი, თან ყოველივე ეს იმის ფონზე, რომ ხშირ შემთხვევაში პოლიციის სტრუქტურებში გამომძიებლებად მუშაობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც იურიდიული განათლება საერთოდ არ გააჩნიათ. ამას გარდა, წმინდა შეჯიბრებით პროცესში ადვოკატს უფლება აქვს საქმეში ჩართოს/მოიწვიოს სპეციალისტები და აქედან გამომდინარე, აუცილებელი არ არის ადვოკატი სრულყოფილად ფლობდეს იურიდიული მეცნიერების ყველა

⁶²კ.ფ. გუცენკო,ლ.ვ.გოლოვკო.ბ.ა.ფილიმონოვი. (2007) დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი, თბილისი. გვ. 13-14.

დარგს. ამ შემთხვევაში ადვოკატის მიზანია სწორად დაგეგმოს გამოძიების წარმოება და კანონმდებლობამ ხელი არ შეუშალოს მას გეგმის განხორციელებაში.

კ. გუცენკო მხარეთა ამგვარ მდგომარეობაში ყოფნას უწოდებს უთანასწოროს და იგი განმარტავს, რომ „ასეთი უთანასწორობის კომპენსირების მიზნით, ბრალდებულს ეუბნებიან, რომ მას აქვს უფლება ჩაატაროს „მისი“ *პარალელური კონტრგამომძიება*, რაც შესაძლებლობას მისცემს მას, შეიარაღდეს გამოცდილი მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ. ასეთი კონტრგამომძიება ვერაფერს მისცემს ბრალდებულს, როდესაც იგი არ არის ხელმისაწვდომი (ფინანსური მოსაზრებით) ყველასათვის და თითქმის ბრმად უნდა ჩატარდეს⁶³.

ავტორები, გარდა იმისა, რომ ხარვეზებს ხედავენ შეჯიბრებითობის სისტემაში, ისინი ყურადღებას ამახვილებენ მატერიალურ/ფინანსურ საკითხებზე. მათი აზრით, „პაექრობისას, შესაძლებლობათა თანასწორობა რეალურია მხოლოდ მაშინ, როდესაც პაექრობაში (შეჯიბრში) გამომძიებელს, დეტექტივს ან სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსაილია განახორციელოს სისხლისამართლებრივი დევნა უპირისპირდება ის, ვისაც შესწევს უნარი გაიღოს მნიშვნელოვანი ხარჯები, რათა უზურნველყოფოს თავის მხარეზე ამ თანამდებობის პირებისა და მათი თანამემწეების ტოლფასი სპეციალისტების მოწვევა. როგორც ცნობილია, ასეთი ხარჯებისათვის სახსრები თემიდას „მკლავებში მოქცეულთა“ მხოლოდ მცირე ნაწილს თუ გააჩნია⁶⁴.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, გუცენკო საკმაო წყრომით ასრულებს თავის სიტყვას, რომ „სისხლის სამართლის პროცესის ამ საუკუნეებით კულტივირებულ თეორიულ სქემაში, სასამართლო

⁶³ კ.გ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი. (2007) დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი, თბილისი. გვ. 14.

⁶⁴ იქვე, გვ. 14-15.

გამოსახულია, როგორც გულგრილი დამკვირვებელი ყველაფრის, რაც დავის განხილვისას ხდება⁶⁵.

ხსენებულ ავტორთა აზრს იზიარებენ ქართველი ავტორებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ მხარეები იმყოფებიან „*მიახლოებით თანაბარ*“ მდგომარეობაში⁶⁶ და რეალურად, მხარეთა შორის აშკარა „ფაქტობრივი“⁶⁷ განსხვავებაა.

შეჯიბრებითობის პრინციპთან დაკავშირებით, ყურადღების ღირსია, კიდევ ერთი ქართველი ავტორის მოსაზრება. მისი გადმოცემით, მსოფლიო ტენდენცია მიმართულია, ახალი შერეული ტიპის საპროცესო სისტემის შექმნა - ჩამოყალიბებისაკენ, რომელსაც უწოდებს „*პოსტშეჯიბრებითობის*“ პრინციპს. იგი ამ ტერმინს განმარტავს შემდეგნაირად: „კლასიკური შეჯიბრებითობის პროცესს ენაცვლება პოსტშეჯიბრებითობის (საჯარო შეჯიბრებითობა) სისხლის სამართლის პროცესი, რომლის მიზანი ის კი არ არის, რომ აქტიური მოქმედებით შეცვალოს ბრალდების ფუნქცია, არამედ ის, რომ სასამართლო იქცეს არა მარტო პროცესში მონაწილე მოქალაქის, არამედ ბრალდებულის და სხვათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დამცველად“⁶⁸.

პოსტშეჯიბრებითობის შესახებ საკმაოდ ვრცელი მასალა მოიპოვება ა. სმირნოვის ნაშრომში „*Модели уголовного процесса*“, მისი განმარტებით, „პოსტშეჯიბრებითი პროცესი - ეს არის რეალური შესაძლებლობების სფერო პროცესის ყველა მონაწილესათვის“.⁶⁹

⁶⁵ კ.ფ. გუცენკო,ლ.ვ.გოლოვკო.ბ.ა.ფილიმონოვი. (2007) დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი, თბილისი. გვ. 62-63.

⁶⁶ ავტ. კოლ. ხელმძღვ. და რედ. რეზო გოგშელიძე, ი. აქუზარდია, ლ. ფაფიაშვილი და სხვ. (2008) სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები. გამ: სამართალი. თბილისი. გვ. 149-150.

⁶⁷ ი.აქუზარდია. (2011) დაცვის ხელოვნება. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 140.

⁶⁸ ავტ.: კოლ.: მ.მამნიაშვილი, ჯ.გახოკიძე, ი. გაბისონია. რედ.: მიხეილ მამნიაშვილი [და სხვ.] (2013) საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. (კერძო ნაწილი) მეორე გამოცემა. გამ: იურისტების სამყარო. თბილისი. გვ. 342.

⁶⁹ Смирнов А.В. (2000) Модели уголовного процесса. Издательство: Наука Место издания: Санкт-Петербург. стр. 49-50.

რადგან საკვლევი საკითხის განხილვისას საუბარი ჩამოვარდა მხარეთა მიერ წარმოებული გამოძიების მატერიალურ და ფინანსურ ხარჯებზე, გვინდა რამდენიმე სიტყვით ამ საკითხსაც შევეხოთ, რადგან ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია მისი განხილვა, ვინაიდან, ბრალდებული უპირისპირდება სახელმწიფოს, რომელსაც ფინანსური თუ ტექნიკური შესაძლებლობების ამოუწურავი მარაგი გააჩნია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეჯიბრებითი პროცესისათვის დამახასიათებელია მხარეთა მიერ მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვება. ასეთ შემთხვევაში ბრალდების მხარემ, სახელმწიფო რესურსის გამოყენებით, უნდა იზრუნოს მხოლოდ გამამტყუნებელი მტკიცებულებების შეგროვებაზე. ხოლო, რაც შეეხება დაცვის მხარეს (ბრალდებულსა და მის დამცველს), მათ დამოუკიდებლად, სახელმწიფო ორგანოების დახმარების გარეშე უნდა იზრუნონ მტკიცებულებების მოპოვებაზე.

აქედან გამომდინარე, ბრალდებულს უწევს საკმაო ოდენობის ფინანსების მოძიება არა მხოლოდ დამცველის შრომის ასანაზღაურებლად, არამედ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვებისათვის.

კ. გუცენკოს განმარტებით, რა თქმა უნდა, ასეთი სახის სახსრების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი დაცვის განხორციელება, თუმცა მათი არასაკმარისობა ყველგან იგრძნობა, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე კეთილმოწყობილ ქვეყნებში. აღნიშნულ გარემოებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ დაცვის უფლების რეალური უზრუნველყოფის პრობლემა მთლიანად გადაწყვეტილი არ არის არც ანგლოსაქსურ და არც კონტინენტური სამართალწარმოებისას⁷⁰.

უდავო ფაქტია, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე ხარისხიანი იურიდიული დახმარების მისაღებად, გარდა იმისა, რომ გამოცდილი და პროფესიონალი ადვოკატის დასაქირავებლად საჭიროა სოლიდური

⁷⁰კ.გ. გუცენკო,ლ.ვ.გოლოვკო,ბ.ა.ფილიმონოვი. (2007) დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი გვ. 40.

ჰონორარის გადახდა, ასევე საჭიროა სხვა მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევაც, მაგ: ექსპერტის მოწვევა, ექსპერტიზის ჩატარება და სხვა.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი სერიოზული ოდენობის ხარჯების მოძიების პრობლემა დგას არა მარტო საქართველოში, არამედ ისეთ განვითარებულ სახელმწიფოებშიც, როგორცაა აშშ და სხვა მოწინავე ქვეყნები. აქ საუბარია იმ ქვეყნებზე, სადაც მტკიცებულებების შეგროვების ტვირთი მხოლოდ მხარეებს ეკისრებათ⁷¹.

ზემოთ განხილულ საკითხზე, დაახლოებით ასე მსჯელობს ქართველი ავტორი ი. აქუბარდია, რომლის განმარტებით: „ბრალდებისა და დაცვის მხარე თანაბარი უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების გზით მოიპოვონ მტკიცებულებები, რაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ნოვაციას წარმოადგენს, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, ფაქტობრივად კი, დაცვის მხარეს ნაკლები შესაძლებლობა გააჩნია საგამომიებო მოქმედებების მეშვეობით მოიპოვოს მტკიცებულებები. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს სამართლებრივი საშუალებების უკმარისობა და შემდეგ, *მატერიალური სახსრების ნაკლებობა*“⁷².

მისივე განმარტებით: „ექსპერტების მონაწილეობა, სამეცნიერო ტექნიკური საშუალებების გამოყენება, სერიოზულ მატერიალურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც დაცვის მხარეს არ გააჩნია ბრალდების მხარისგან განსხვავებით, რომლის ზურგს უკან სახელმწიფო დგას თავისი ფართო მატერიალური, ტექნიკური და ორგანიზაციული რესურსებით“⁷³.

დასკვნის სახით შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი არის საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის

⁷¹ აშშ-ს იურისტთა ასოციაციის ჟურნალის (ABA Journal. The Lawyers Magazine) მრავალ ნომერში ამ საკითხზე ავტორები ყურადღებას ამახვილებენ და დღემდე გადაუჭრელ პრობლემად მიიჩნევენ.

⁷² ი. აქუბარდია. (2011) დაცვის ხელოვნება. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 139-140

⁷³ იქვე, გვ. 146.

სამართლებრივი საფუძველი, რადგან მხოლოდ შეჯიბრებით პროცესშია შესაძლებელი საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის არსებობა.

ასევე უნდა დავადასტუროთ, რომ შეჯიბრებით პროცესს, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებით გააჩნია ნაკლოვანებებიც, რაც დაკავშირებულია მხარეთა მატერიალურ შესაძლებლობებთან.

კერძოდ, ბრალდებულის, დაცვის მხარის ფინანსურ მდგომარეობას უპირისპირდება სახელმწიფოს ულევო რესურსი, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ ფინანსურ ჭრილში აშკარა უპირატესობა სახელმწიფოს აქვს და თუ ბრალდებულს შესაბამისი მატერიალური სახსრები არ გააჩნია, დიდი ალბათობით, ის დამარცხდება სამართლებრივ დავაში, რაც ჩვენი აზრით, აშკარად მიუთითებს მხარეთა არათანაბარ მდგომარეობაში ყოფნაზე.

1.4. ჭეშმარიტების როლი და მნიშვნელობა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტში

სისხლის სამართლის პროცესში ჭეშმარიტების დადგენის პრობლემა დღემდე ერთ - ერთი სადავო საკითხია იურისტებს შორის. იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ქვაკუთხედს, ამიტომ ამ საკითხის სამეცნიერო კვლევა დღემდე არ კარგავს აქტუალობას, რაზეც მეტყველებს იმ სამეცნიერო ნაშრომების სიმრავლე, რომლებიც მიძღვნილია ამ თემატიკისადმი.

ჩვენს კვლევაში, დასახული მიზნის მისაღწევად არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ „ჭეშმარიტების“ საკითხის განხილვას, ვინაიდან, ადვოკატი თავისი საქმიანობის პროცესში იცავს ადამიანის უფლებებს, მას აქვს უწყვეტი კავშირი გამოძიებასთან, სასამართლოსთან, იგი ატარებს საადვოკატო გამოძიებას, აქედან გამომდინარე, საინტერესოა გავარკვიოთ, თუ რა როლს თამაშობს

„ჭეშმარიტება“ და რა ადგილი უკავია მას საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებაში.

ვიდრე უშუალოდ გავცემდეთ პასუხს დასმულ კითხვებს, მანამდე უნდა ვახსენოთ, რომ საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საერთოდ ნახსენები არ არის სიტყვა ჭეშმარიტება, აქედან გამომდინარე, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რა ღირებულებებზეა დამყარებული მოქმედი კანონი და რისკენ ისწრაფვის იგი?

ზუსტად ანალოგიური კითხვა გაჩნდა საბჭოთა პერიოდში, სადაც კანონში მოხსენიებული არ იყო სიტყვა ჭეშმარიტება, რაც იწვევდა იურისტთა წრეში განსაკუთრებულ წყრომას, თუმცა, მათ საპასუხოდ გაზეთში გამოქვეყნდა წერილი, სადაც პასუხი გაეცა მათ კითხვებს. კერძოდ, მასში აღნიშნული იყო, რომ „ეს იურიდიული ფორმალიზმის, სქოლასტიკისა და ასოკირკიტობის... ტიპური მაგალითია. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი შეიცავს სამართლის პროცესში ჭეშმარიტების დედაარსს, თუმცა თვით სიტყვა ჭეშმარიტება არც იყოს მოხსენიებული... განა ნათელი არ არის, რომ მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენით არის შესაძლებელი დამნაშავეს სამართლიანი დასჯა და დანაშაულის ჩადენაში უდანაშაულოსათვის ბრალის არ დადება?“⁷⁴.

მიუხედავად ავტორთა ასეთი განმარტებისა, ავტორთა უმეტესობა მაინც თვლის, რომ თუ სისხლის სამართლის პროცესის მიზანია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, მაშინ სისხლის სამართლის საპროცესო კანონში მოხსენიებული უნდა იყოს სიტყვა „ჭეშმარიტება“.

თავდაპირველად უნდა ვახსენოთ, რომ ავტორები ვერ თანხმდებიან სიტყვა „ჭეშმარიტების“ განმარტებაზე, მის ცნებასა და დეფინიციაზე, და ასევე, თუ რა ადგილი უკავია მას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. აქედან გამომდინარე, ე. კარიაკინის აზრით, საკითხს, თუ

⁷⁴ გაზ. Известия, 1962, 25/V, №122 (13976)

რა დაერქმევა ჭეშმარიტებას სისხლის სამართლის პროცესში (აბსოლუტური, ობიექტური, ფორმალური, მატერიალური, პირობითი თუ სხვა) აქვს დიდი მნიშვნელობა შემეცნების ხარისხის განსაზღვრისათვის⁷⁵.

ქართველი ავტორის ბ. ხარაზიშვილის ნაშრომში „მტკიცებითი სამართალი,“⁷⁶ საკმაოდ ამომწურავად არის შესწავლილი ჭეშმარიტების საკითხი. მისი განმარტებით: „სასამართლო წარმოების დროს ჭეშმარიტების დადგენასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ცნობილია შეხედულებათა ოთხი განშტოება. ესენია: 1. მ. სტროგოვიჩის მოსაზრება, რომელიც მხარს უჭერს იდეას, რომ სისხლის სამართლის პროცესში უნდა დადგინდეს ფაქტის ჭეშმარიტება, ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტება ბანალური ფორმით. 2. სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დადგინდეს შეფარდებითი ჭეშმარიტება და ამ კონცეფციას იზიარებენ ლ. ულიანოვა, ა. სტრაჩენკო და სხვები. 3. ჯგუფი ავტორებისა თვლის, რომ ჭეშმარიტების ფილოსოფიური გაგება სამართალწრმოებაში არ უნდა იქნეს გამოყენებული. მისი მიმდევრები არიან ა. რივლინი და სხვ. 4. არიან ავტორები, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესში ერთდროულად შეფარდებითსა და აბსოლუტურ ჭეშმარიტების დადგენას უჭერენ მხარს, ა. ტრუსკოვი, ვ. დოროხოვი და სხვ“.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ავტორთა შორის დღემდე საკამათო და სადავო საკითხია ჭეშმარიტების განსაზღვრება, თუმცა ავტორთა ერთი ნაწილი უაპელაციოდ თვლის, რომ სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო უნდა მიისწრაფოდეს არა მატერიალური ჭეშმარიტების, არამედ იურიდიული ჭეშმარიტების დადგენისაკენ. მაგ: ე. მიზულინას განმარტებით: „მოსამართლე განიხილავს რა კონკრეტულ საქმეს, გამოაქვს შესაბამისი დასკვნები. მაგრამ ამ დასკვნამდე იგი მიდის მხოლოდ ლოგიკური გზით. იგი

⁷⁵ Карякин. Е. (2005) Взгляд на состязательное уголовное судопроизводство сквозь призму процессуальной формы // Уголов. право. №4. Стр. 68.

⁷⁶ ბ.ხარაზიშვილი. (1982) მტკიცებითი სამართალი. (ნარკვევები) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. გვ. 35.

შეაჯერებს შეხედულებებს, მსჯელობებს, მტკიცებულებებს და ამის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას“⁷⁷.

მსგავს მოსაზრებას გვთავაზობს მ. ჩელცოვი: „ჭეშმარიტება სისხლის სამართლის პროცესში არის ის, რაშიც დარწმუნებულია სასამართლო“⁷⁸.

თუმცა ამ აზრის საპირისპიროდ, მ. დავლეთოვი აცხადებს, რომ „ჭეშმარიტება, რომელიც მიიღწევა ლოგიკური გზით, ყოველთვის რჩება კრიტიკის საგნად. ყველაზე მეტი, რაზეც შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს ასეთ სასამართლო ჭეშმარიტებას, თუნდაც იგი საკმაოდ დასაბუთებული და ლოგიკურად ზუსტი იყოს, არის ჰიპოთეზის სტატუსი“⁷⁹.

არიან ისეთი ავტორებიც, რომლებიც კატეგორიულად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ ობიექტურ ჭეშმარიტებაზე უნდა იყოს საუბარი და არა სხვა სახის ჭეშმარიტებებზე. მაგ: მ. სტროგოვიჩის განმარტებით: „ობიექტური (მატერიალური) ჭეშმარიტება ეს არის სისხლის სამართლის პროცესის უშუალო მიზანი“⁸⁰.

იგივე მსჯელობას იზიარებს ა. კალინოვსკი. მისი განმარტებით: „ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპი აუცილებელი ელემენტია საჯარო შეჯიბრებითობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გაუქმდეს სისხლის სამართალი, რომელიც ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლებს“⁸¹.

⁷⁷ Мизулина, Е. Б. (1991) Уголовный процесс: Концепция самоограничения государства: дис. Ярославль. Стр. 97.

⁷⁸ Чельцов М.А. (1948) Уголовный процесс. М.: Юрид. изд-во МЮ СССР, Стр. 184.

⁷⁹ Божьев В.П. (2004) Состязательность на предварительном следствии. // Законность. 2004. № 1. Стр. 71.

⁸⁰ Строгович М.С. (1968) Курс советского уголовного процесса: Основные положения науки советского уголовного процесса. Т. 1. М., Наука, стр. 313.

⁸¹ Калиновский К.Б. (2004) Проблемы реализации принципа состязательности в Уголовно-процессуальном кодексе Российской Федерации. // Проблемы совершенствования и применения законодательства о борьбе с преступностью: Материалы Всероссийской научно-практической конференции, посвященной 95-летию Башкирского государственного университета. Часть. 1. Уфа: РИО БашГУ. Стр. 95.

მსგავსად ზემოთ ხსენებული ავტორებისა, ა. ტუშევი განმარტავს, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ჭეშმარიტებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლიანობაზე საუბარიც კი ზედმეტია. შეჯიბრებითობა - ეს არის ჭეშმარიტების მიღწევის გზა“⁸².

ნ. კუდრიანცევის განმარტებით, სისხლის სამართლის პროცესში ობიექტური ჭეშმარიტება მოიცავს ქმედობის იურიდიულ კვალიფიკაციასაც და იგი ობიექტური ჭეშმარიტების ცნებაში აერთიანებს სასჯელის სწორად განსაზღვრასაც⁸³.

მ. ოსმაკოვის აზრით: „სისხლის სამართალწარმოებაში არსებობის უფლება აქვთ კონვენციონალურ და საპროცესო ჭეშმარიტების კონცეფციებს“⁸⁴.

მისივე განმარტებით „კონვენციონალურად ითვლება ჭეშმარიტება, რომლის აღიარებაც მოხდება კონვენციით, შეთანხმებით. იგი ითვლება ჭეშმარიტებად არა იმიტომ, რომ შეესაბამება სინამდვილეს, არამედ იმიტომ, რომ სუბიექტები შეთანხმდნენ ჩათვალონ იგი ჭეშმარიტებად. მაგალითისთვის მოჰყავთ დეფინიცია, რომ პირი ითვლება უდანაშაულოდ, თუ არ დასტურდება მისი ბრალეულობა. დანაშაულის დაუმტკიცებლობა იმავე დროს, ნიშნავს უდანაშაულობის დამტკიცებას“⁸⁵.

ჩვენი შეხედულებით, საპროცესო და კონვენციონალური ჭეშმარიტებები - ეს ჭეშმარიტების ფარდობითი (პირობითი) ფორმებია. პირობითი ჭეშმარიტება კი შეიძლება დავახასიათოთ როგორც არასრული, დაუმთავრებელი, არაზუსტი. ეს უკანასკნელი, დროთა განმავლობაში იცვლება როგორც ტყუილი, შეცდომა.

⁸² Тушев.А. (2003) Роль прокурора в реализации принципа состязательности в уголовном процессе "Российская юстиция", №4, апрель. Стр. 34.

⁸³ ბ.ხარაზიშვილი. (1982) მტკიცებითი სამართალი. (ნარკვევები) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. გვ. 41.

⁸⁴ Осьмаков М.А. (2007) Адвокатское расследование в современном уголовном процессе : владимир. С. 28.

⁸⁵ იქვე, გვ. 29.

იურისტთა წრეში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უმაღლესი აბსტრაქციის ფილოსოფიური შეხედულებები მიუღებელია სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოსაყენებლად, ამიტომ ჭეშმარიტება სისხლის სამართლის პროცესში არ შეიძლება იყოს არც აბსოლუტური და არც შეფარდებითი⁸⁶.

ჩვენ ზოგადად მიმოვიხილეთ ავტორთა შეხედულებები სისხლის სამართლის საქმეზე „ჭეშმარიტების“ ხარისხთან დაკავშირებით, თუმცა არსებობს ასევე მოსაზრებები, სადაც განმარტებულია, რომ თითოეული სისხლის სამართლის პროცესის ფორმას ახასიათებს „ჭეშმარიტების“ შესაბამისი ხარისხი და მაგალითად მოჰყავთ ინკვიზიციური და შეჯიბრებითი სამართლის სისტემები.

მაგ: ი. მიხაილოვსკი და ნ. როზინი, აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართლის პროცესში ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევა არ ესატყვისება შეჯიბრებითობის პრინციპს, იგი უსათუოდ დამახასიათებელია მხოლოდ ინკვიზიციური პროცესისათვის⁸⁷.

იგივე ნ. როზინის განმარტებით, შეჯიბრებით პროცესს არ შეიძლება ახასიათებდეს შეუზღუდავი მისწრაფება მატერიალური ჭეშმარიტებისაკენ. პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს სასამართლო შეჯიბრებით პროცესში, წარმოადგენს არა მატერიალურ, არამედ იურიდიულ ჭეშმარიტებას, რომელსაც უფრო სწორი იქნება თუ ვუწოდებთ ბრალეულობის დამტკიცების პრინციპს⁸⁸.

ნ. როზინის მსგავსად, სხვა ამერიკელ ავტორებსაც მიაჩნიათ, რომ შეჯიბრებით პროცესში არ დგინდება ჭეშმარიტება, თუმცა საპირისპირო აზრი აქვს ამერიკელ ავტორს ა. ესმენს. მისი განმარტებით „ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ შეჯიბრებითობის პროცესი მიზნად არ ისახავს დადგინდეს

⁸⁶ Ривлин А.Л. (1958) Пересмотр приговоров СССР. М. Стр. 14.

⁸⁷ Розин, Н. Н. (2013) Уголовное судопроизводство [Электронный ресурс] / Н. Н. Розин. - Москва : Лань. Стр. 84.

⁸⁸ იქვე, გვ. 85.

ჭეშმარიტება, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად სისხლის სამართლის პროცესის ეს ფორმა უფრო ეფექტურია, ვიდრე სისხლის სამართალწარმოების სხვა ფორმები⁸⁹.

როდესაც ვსაუბრობთ შეჯიბრებით პროცესზე, უპირველესად განვიხილავთ ინგლისისა და ამერიკის სისხლის სამართლის პროცესის ფორმებს.

ავტორთა განმარტებით, შეჯიბრებით პროცესში სასამართლოს დანიშნულებაა დაადგინოს არა ჭეშმარიტება, არამედ თუ ვინ მოიგო, ვინ გაიმარჯვა სასამართლო დუელში⁹⁰. შედეგად საჭიროა თავიდანვე ვაღიაროთ, რომ აქ არ შეიძლება ველოდოთ აბსოლუტურად ზუსტ შედეგებს, საზოგადოება და მოკამათე მხარეები უნდა დაკმაყოფილდნენ საკმაოდ უხეში მიახლოებით იმასთან, რასაც შეიძლება მეცნიერი ითხოვდეს⁹¹

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკელი ავტორების ე. მორგანისა და მისი თანამოაზრეების მსჯელობა, რომლებიც თვლიდნენ, რომ ამერიკული სასამართლოები არ იყვნენ ორიენტირებულნი ჭეშმარიტების დადგენაზე, არამედ ისინი ისწრაფვოდნენ დაერწმუნებინათ მოსამართლეები საქმე გადაეწყვიტათ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და გამოეყენებინათ „გონივრული ეჭვის სტანდარტი“⁹².

სწორედ ხსენებულ ავტორებს ეკუთვნით სამართლის სისტემაში „გონივრული ეჭვის სტანდარტის“ შექმნა და ჩამოყალიბება, რომელსაც უკვე საქართველოს კანონმდებლობაც იყენებს და ეს სტანდარტი აუცილებელია საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „გონივრულ ეჭვს მიღმა

⁸⁹ A.Esmein. (2000) A History of Continental Criminal Procedure: With Special Reference to France. New Jersey. P. 193.

⁹⁰ კ.ფ. გუცენკო,ლ.ვ.გოლოვკო.ბ.ა.ფილიმონოვი. (2007) დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი გვ. 263.

⁹¹ იქვე, გვ. 264.

⁹² იქვე, გვ. 265.

სტანდარტი“ განიმარტება, როგორც „სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში“.

როგორც განმარტებიდან ჩანს, გონივრული ეჭვის სტანდარტისათვის საჭიროა ობიექტური პირის დარწმუნება, რომ სხვა პირმა ჩაიდინა დანაშაული. დეფინიციიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ მოცემული სტანდარტი არ შეიცავს არავითარი ობიექტური ჭეშმარიტების ნიშნებს, ამ შემთხვევაში იურიდიულ ჭეშმარიტებაზე შეიძლება ვისაუბროთ.

ქართველი ავტორების აზრით: „ანგლო-ამერიკული სამართალწარმოების გაგებით, შეჯიბრებითობის პრინციპი სამეცნიერო კვლევა კი არ არის, არამედ ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობაა. სასამართლო პროცესი განიხილება, როგორც ბანალური დავა ბრალდებასა და დაცვას შორის, საქმის გადაწყვეტის ფუნქცია კი აკისრია სასამართლოს“⁹³.

მსგავს პოზიციას იზიარებენ ავტორები „ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები“. ხსენებულ ლიტერატურაში, ავტორები ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესს უწოდებენ „ზედმეტად“ შეჯიბრებითს, სადაც სასამართლო პროცესი არის არა იმდენად ჭეშმარიტების ძიება, რამდენადაც მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებათა შეფასება⁹⁴.

ინგლისური სამართლისა და ინგლისური სასამართლო სისტემის კრიტიკას ვხვდებით იერემია ბენტამის ნაშრომებში. ი. ბენტამის აზრით, „შეჯიბრებითობის ბრიტანული სისტემა არის იურისტების შეთქმულება ხალხის წინააღმდეგ, მოსამართლეები და ადვოკატები პირდაპირ

⁹³ ავტ.კოლექტივი. რედ: მ. მანიაშვილი. ჯ.გახოვიძე. ი.გაბისონია. (2013) საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი. მეორე გამოცემა. გამ: იურისტების სამყარო. თბილისი. გვ. 340.

⁹⁴ Cristine Van Den Wingaert and C.Gane, H.H Kuhne. F. Mcauely. (1993) ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ქართული თარგმანი. რედ: ნინო გვენეტაძე. Butterworths. London, Brussels, Dublin, Edinburgh. გვ. 98.

დაინტერესებულნი არიან იმით, რომ სამართალი იყოს რაც შეიძლება არარაციონალური“⁹⁵.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები, სადაც იურისტთა გარკვეული წრე განსაკუთრებულ წყრომას გამოხატავდა ბრიტანული შეჯიბრებითი სისტემის გამო. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები იხილავენ საქმეს და ამ განხილვისას რწმუნდებიან, რომ საქმე დეტალურად არ არის გამოძიებული და ამის გამო მათ არ აქვთ არანაირი ბერკეტი საქმეში ჩაერიონ და მოახდინონ მისი გამოსწორება⁹⁶.

ინგლისურ - ამერიკული შეჯიბრებითობის პრინციპისგან განსხვავებით კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ჭეშმარიტების დადგენა დღემდე მთავარი პრინციპია: მაგ. „ბელგიაში სისხლის სამართლის პროცესის“⁹⁷ და საჯარო ბრალდების მოვალეობა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაა“⁹⁸. ბელგიურ კანონმდებლობაში ასევე ნახსენებია, რომ „ბრალდებული და მისი დამცველი, გარკვეული დონით, ჩართულნი არიან ობიექტური სამართლის ძიების პროცესში“⁹⁹.

დანიაში საჯარო ბრალმდებელი არ მოიაზრება განსასჯელის „მოწინააღმდეგედ“. მისი ამოცანაა იმოქმედოს კანონისა და მართლმსაჯულების ინტერესების შესაბამისად, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით¹⁰⁰.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თვალსაჩინო ხდება, რომ ჭეშმარიტების დადგენის ვალდებულება დამახასიათებელია ინკვიზიციური

⁹⁵ გ. ნადარეიშვილი. (2008) სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. გამ: ბონა კაუზა. თბილისი. გვ. 213.

⁹⁶ Маслов И. (2004) Адвокатское расследование / И. Маслов // Законность. 2004. - № 10. Стр. 51.

⁹⁷ Cristine Van Den Wingaert and C.Gane, H.H Kuhne. F. Mcauely. (1993) ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ქართული თარგმანი. რედ: ნინო გვენეტაძე. Butterworths. London, Brussels, Dublin, Edinburgh. გვ. 35.

⁹⁸ იქვე, გვ. 30.

⁹⁹ იქვე, გვ. 35.

¹⁰⁰ იქვე, გვ. 73.

სამართლის სისტემისათვის¹⁰¹. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი აქტიურად გამოიყენება კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, ასევე მისი დადგენა აუცილებელი იყო საბჭოთა პერიოდში, რომელიც მიეკუთვნებოდა ინკვიზიციური პროცესის ფორმას.

საქართველოს 1998 წლის საპროცესო კოდექსის მიხედვითაც, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა კანონის აუცილებელი მოთხოვნა იყო. ტერმინი „ჭეშმარიტება“ მრავალჯერ იყო გამეორებული კანონის ჩანაწერებში, რაც ნათლად მიანიშნებდა იმ ორიენტირს, თუ საით უნდა აეღო გეზი გამომძიებლასა და სასამართლოს.

განხორციელებულმა კვლევამ დაგვარწმუნა, რომ ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით ორაზროვანი დამოკიდებულებაა შეჯიბრებითობის ინგლისურ და ამერიკულ მოდელთან მიმართებაში, რომელსაც საქართველოც მიეკუთვნება. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ შეჯიბრებითობის ამ მოდელით შესაძლებელია გარკვეული ხარისხის ჭეშმარიტების მიღწევა, თუმცა ავტორთა უმეტესობა საკმაოდ ეწინააღმდეგება ამგვარ პოზიციებს და ამტკიცებს, რომ ინგლისურ-ამერიკულ შეჯიბრებით მოდელში გამორიცხულია ჭეშმარიტებაზე საუბარი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქართველი ავტორი შ. ფაფიაშვილი მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა შესაძლებელია და მისი გადმოცემით, კრიმინალისტური დარგის განვითარება

¹⁰¹ ავტორთა ნაწილი კონტინენტური სამართლის სისტემას უწოდებს ინკვიზიურ პროცესს. მაგ: ი.მიულერის აზრით: გერმანელი პროცესუალისტები უარყოფენ ინგლისურ - ამერიკული ტიპის პროცესს, როგორც მხარეთა პროცესს, ხოლო ამერიკელი და ინგლისელი იურისტები გერმანიის სისხლის სამართლის პროცესს უწოდებენ ინკვიზიციურს. პროცესის კონსტრუქცია, სადაც მოსამართლეს აქვს გადაწყვეტი რილი, მოსამართლეს აქცევს ადვოკატის წინააღმდეგ, ქმნის კონფლიქტს დაცვასა და სასამართლოს შორის. (Muller.J., Rechtsstaat und Straverfahren. 1980. P. 199.

სწორედ ამაზეა ორიენტირებული, რათა გაიხსნას ყველა დანაშაული და კონკრეტულ საქმეზე დადგინდეს *ჭეშმარიტება*¹⁰².

დაახლოებით იგივე პოზიციას აფიქსირებს კიდევ ერთი ქართველი ავტორი გ. აბაშიძე: მისი განმარტებით, „ადვოკატის საქმეში მონაწილეობა ხელსაყრელია არა მხოლოდ დასაცავი პირისათვის, არამედ ის გარკვეულად ხელს უწყობს ცალმხრივობის, მიკერძოების თავიდან აცილებას, გარკვეულ შემთხვევებში მივყავართ *ჭეშმარიტების* აღდგენისაკენ“¹⁰³.

მისივე განმარტებით: შეუპოვარი, პრინციპული და გაბედული დაცვა, სისხლის სამართლის პროცესში ხელს კი არ უშლის, არამედ ეხმარება სისხლის სამართლის საქმეზე შეცდომების აღმოფხვრას, *ჭეშმარიტების* დადგენას¹⁰⁴.

როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია *ჭეშმარიტების* პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. ზემოთ ჩამოვაცალიბეთ *ჭეშმარიტების* პრობლემის შესახებ სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები და უმეტესი მათგანი საუბრობს, რომ *ჭეშმარიტება* აუცილებელი ელემენტია სისხლის სამართლის პროცესისათვის, თუმცა ისმის კითხვა: საჭიროა თუ არა *ჭეშმარიტების* პრინციპით ხელმძღვანელობა სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილისათვის? საჭიროა თუ არა დაცვის მხარე, საადვოკატო გამოძიების წარმოებისას ხელმძღვანელობდეს *ჭეშმარიტების* დადგენის პრინციპით?

ამის საპასუხოდ ე. კარიაკინი აღნიშნავს, რომ „დაცვის მხარე ყოველთვის არ არის დაინტერესებული *ჭეშმარიტების* დადგენით. მისი აზრით, ბრალდებულს, მსჯავრდებულს და მათ ადვოკატს სრულიად აწყობთ

¹⁰² შ.ფაფიაშვილი. (2013) კრიმინალისტიკა. ზოგადი ნაწილი. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 305.

¹⁰³ გ.აბაშიძე. (2010) დამცველი სისხლის სამართლის პროცესში. გამ: (შპს „ჩხოვრია-2009“). თბილისი. გვ. 71.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 15.

სიტუაცია, როდესაც ჭეშმარიტება არ არის მიღწეული, დანაშაული არ არის გახსნილი, დამნაშავე არ არის დადგენილი“¹⁰⁵.

მე-XX საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით იგივე სახის მსჯელობას გვთავაზობდა ამერიკელი ავტორი ჯ. ფრენკი. მისი განმარტებით: „იურისტის მიზანს წარმოადგენს ბრძოლის მოგება და არა სასამართლოსათვის სინამდვილის დადგენაში დახმარების აღმოჩენა“¹⁰⁶.

ქართველი ავტორი თამარ ლალიაშვილი ფიქრობს, რომ „დამცველს ევალება იმოქმედოს ბრალდებულის ინტერესების შესაბამისად. გამომდინარე აქედან, იგი არის ცალმხრივი, მიკერძოებული და მას არ ევალება იყოს ობიექტური ან დაიცვას ობიექტურობა“¹⁰⁷. მისივე განმარტებით „ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი არის მხარე შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე და შესაბამისად არ არის ნეიტრალური ან სიმართლის დამდგენი ორგანო“¹⁰⁸.

იგივე მსჯელობას იზიარებენ სხვა ქართველი ავტორებიც. მათი აზრით: „ადვოკატის საქმიანობა სისხლის სამართლის პროცესში არის ცალმხრივი, მას არ ევალება საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულყოფილი, ობიექტური გამოკვლევა“¹⁰⁹.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მსჯელობებისა, მათ საწინააღმდეგოდ, ადვოკატურას შორეულ წარსულში ჭეშმარიტების უკანასკნელ „მოჰიკანად“ მოიხსენიებდნენ. მ. ვინავერის გადმოცემით, ადვოკატურის შესახებ

¹⁰⁵ Карякин Е. (2005) Взгляд на состязательное уголовное судопроизводство сквозь призму процессуальной формы // Уголов. право . №4. Стр. 70.

¹⁰⁶ Frank, J., (1937) Courts on Trial: myth and reality in American justice. Princeton, Hart and Wechsler, New York, P. 216.

¹⁰⁷ თამარ ლალიაშვილი. (2016) ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაცვის სტრატეგია და ბრალდებულის პირადი მითითებები. გურამ ნაჭყებია - 75. საიუბილეო კრებული. თბილისი, გამ: მერიდიანი. გვ. 104.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 105.

¹⁰⁹ ავტ. კოლექტივი: რედ: ჯ. გახოკიძე, მ.მამნიაშვილი. ი. გაბისონია. (2013) საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. (ზოგადი ნაწილი) იურისტების სამყარო. თბილისი. გვ. 167.

მონარქიის წინააღმდეგ მეზრძოლი მ. რობესპიერი წერდა: „მხოლოდ ამ პროფესიაშია შემონახული ჭეშმარიტების სიმამაცე, მხოლოდ ის იყო სამოქალაქო სათნოებათა სკოლა, სადაც ტალანტები სწავლობდნენ გამოსულიყვნენ ხალხის ინტერესების დასაცავად“¹¹⁰.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მოქმედ კანონმდებლობაში ჭეშმარიტების საკითხი აშკარად პრობლემატური, ბუნდოვანი და კანონმდებლობით დაურეგულირებელია. ჩვენი აზრით, კანონის დონეზე უნდა განისაზღვროს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის აუცილებლობა. სახელმწიფო გამოძიება ვალდებულია სისხლის სამართლის ყველა საქმეში ეძიოს ჭეშმარიტების მინიმუმ იურიდიული (შუალედური) ხარისხი, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი რისკია, გამოტანილ იქნეს არასამართლიანი განაჩენი. საადვოკატო გამოძიების პროცესში, ადვოკატის ინტერესებში არ შედის ყველა სისხლის სამართლის საქმეზე ეძიოს ჭეშმარიტება. აქედან გამომდინარე, ადვოკატი დამოუკიდებელ არჩევანს აკეთებს: იკვლიოს მან ჭეშმარიტება თუ უბრალოდ, თვალი დახუჭოს მასზე.

¹¹⁰ М.М Винавер. (1899) еженедельная юридическая газета право. №19. Стр. 40.

თავი II

საადვოკატო გამოძიების წარმოშობის ისტორია

2.1 საადვოკატო გამოძიების წარმოშობა ანტიკურ ქვეყნებში

იურიდიულ მეცნიერებაში, სხვადასხვა სამეცნიერო კვლევის შედეგად დადასტურებულია, რომ ადვოკატურა მრავალი საუკუნეა არსებობს და იგი მიეკუთვნება უძველეს სამართლებრივ ინსტიტუტთა რიცხვს. თუმცა აზრი, რომლის თანხმაც ადვოკატურა ისეთივე ძველია, როგორც სასამართლო, არ არის ზუსტი. რა თქმა უნდა, ადვოკატურა უძველესი ინსტიტუტია, თუმცა მცდარი იქნებოდა აზრი, რომ გვემტკიცებინა, თითქოს იგი წარმოიშვა სასამართლოს გაჩენასთან ერთად¹¹¹.

თუმცა, ჩვენი აზრით, სასამართლოსა და ადვოკატურის წარმოშობა ერთმანეთისგან დროის დიდი მანძილით არ უნდა იყოს დაშორებული, რადგან ამ შემთხვევაში ტერმინი „advocatio”¹¹² – არ უნდა გაჩენილიყო ასე ადრინად სამართლის ისტორიაში. ეს გახლავთ ტერმინი¹¹³, რომელსაც ყველა ავტორი იმოწმებს ადვოკატურის წარმოშობასთან დაკავშირებით, რომელიც ნიშნავს: მოწვევას, იურიდიულ კონსულტაციას, იურიდიულ დახმარებას, სამართლებრივ კონსულტაციას.

როგორც ვხედავთ, ადვოკატის პროფესიული მოღვაწეობა ტერმინოლოგიიდან გამომდინარე, ძირითადად დაკავშირებულია სასამართლოსთან და პროცესებთან, ხოლო ტერმინში გამოხატულია არა მარტო ეტიმოლოგიური, არამედ სხვა ასპექტებიც, მაგ: ჰუმანიზმი, ზნეობრიობა და ა.შ.

¹¹¹ Фойницкий И.Я. (1996) Курс уголовного судопроизводства. Т. 1. СПб.: Альфа, Стр. 468.

¹¹² Charlton T. Lewis, Ph.D. and. Charles Short, LL.D. (1879) A Latin Dictionary. Founded on Andrews' edition of Freund's Latin dictionary. Oxford. Clarendon Press. P.49

¹¹³ Дворецкий И.Х., (1976) Латинско-русский словарь. М., 1976. Стр. 37.

ნამდვილად, ადვოკატი გარდა კანონით მინიჭებული საპროცესო უფლებების განხორციელებისა, ამავე დროს ასრულებს მნიშვნელოვან ჰუმანურ ფუნქციას, რაც გამოიხატება რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში აღმოჩენილი ადამიანის ინტერესების დაცვაში და მის მორალურ მხარდაჭერაში. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს რუსი ავტორი კ. როდიონოვი: „არ არის გასაკვირი, რომ რომაული საზოგადოება თავის წევრს არ ტოვებდა დამცველის გარეშე, როდესაც იგი წარსდგებოდა ხოლმე სასამართლოს წინაშე თავის სწორთან¹¹⁴“.

ისტორიულ-სამართლებრივი წყაროების მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, თუ ადრეულ ეტაპზე რა იყო ძირითადად დამცველის საქმიანობა და მოვალეობა. ადვოკატი სასამართლოში უნდა წარმდგარიყო დასაბუთებული მოთხოვნებითა და დასკვნებით. ხოლო შესაბამისად “კლიენტისათვის” უკეთესი იყო მისი დაცვა განხორციელებინა პროფესიონალ ადამიანს, რომელიც კარგად ერკვეოდა კანონებში.

სრულიად ბუნებრივია, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ვითარდებოდა სახელმწიფოც და შესაბამისად, შემდგომ ისტორიულ ეპოქებში სხვადასხვა საზოგადოება ცდილობდა გვერდი არ აევლო დაცვის ინსტიტუტისათვის და თავიანთ კანონმდებლობაშიც აესახა იგი.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ქვეყნებში სხვადასხვა სახის პოლიტიკური წყობილება არსებობდა, აქედან გამომდინარე, დაცვის ინსტიტუტი მართალია, იწყებდა ინსტიტუციურ ჩამოყალიბებას, თუმცა სხვადასხვა უფლებრივი მდგომარეობით. ეს ძირითადად დამოკიდებული იყო კონკრეტული ქვეყნის განვითარების დონეზე.

მართალია, ადვოკატურა სისხლის სამართლის პროცესის შემადგენელი ინსტიტუტია, თუმცა მის ევოლუციურ განვითარებაზე მნიშვნელოვან

¹¹⁴ Родионов К.Д. (1902) Защита в военном суде. (организация и функция защиты). СПб. Стр. 26.

გავლენას ახდენდა ქვეყნების სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და იურიდიული ფაქტორები.

ადვოკატურამ გაიარა შექმნის, ჩამოყალიბების, განვითარებისა და სრულყოფის მრავალსაუკუნოვანი გზა. უფრო მეტიც, საწყის ეტაპზე დაცვის მხოლოდ ერთი სახე არსებობდა, ეს იყო „წარმომადგენლობა“¹¹⁵. სწორედ წარმომადგენლობა მოიცავდა თვითონ წარმომადგენლობასაც და სისხლის სამართლის საქმეებში დაცვასაც¹¹⁶.

ისტორიულ-სამართლებრივი ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად თვალსაჩინო ხდება, რომ თავდაპირველად, სახელმწიფოებში იურიდიული განვითარების პირველ საფეხურებზე, სამართლებრივი ნორმები იმდენად მარტივი იყო, რომ გასაგები იყო თითოეული მოქალაქისათვის და შესაბამისად, მოდავე მხარეები ძირითადად პირადად წარმართავდნენ თავიანთ საქმეს, ისე, რომ არ მიმართავდნენ გარეშე პირებს დახმარებისათვის.

თუმცა, როგორც რუსი ავტორი ე. ვასკოვსკი აღწერს: „მოგვიანებით კულტურის და სახელმწიფოს განვითარების კვალდაკვალ, ცხოვრებისეული ურთიერთობები რთულდება, მასთან ერთად რთულდება სამართლებრივი ნორმებიც, ადრე თუ ნორმათა გარკვეული რაოდენობა არსებობდა, შემდგომში ეს ნორმები მრავლდებიან, ფართოვდებიან, იძენენ მეტ მნიშვნელობას და მოიცავენ მეტ ურთიერთობებს, ხოლო მოქალაქეთა უმრავლესობისათვის მათი ცოდნა და გამოყენება თანდათან შეუძლებელი ხდება, რადგან ვერ მიყვებიან ფეხდაფეხ მათ დამახსოვრებას, მათი სირთულისა და რაოდენობის გამო“¹¹⁷.

¹¹⁵ Мартынич Е. Г., (2009) адвокатское расследование в уголовном процессе. Теоретико-методологические основы доктрины адвокатского расследования, Издат-во Юристъ, Тула. Стр. 4-5.

¹¹⁶ იქვე, გვ. 5.

¹¹⁷ Васильковский Е.В. (1997) Организация адвокатуры // Адвокат в уголовном процессе / Под ред. П.А. Лупинской. М., Стр. 15.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირებს, რომელთაც არ გააჩნდათ სამართლის სპეციალური ცოდნა, აღარ შეეძლოთ თვითონ, დამოუკიდებლად წარემართათ საკუთარი საქმეები და საჭიროებდნენ იმ პირის დახმარებას, ვინც კარგად ფლობდა სამართლისა და სასამართლო პროცესის წარმოების შესახებ ცოდნას.

სავარაუდოდ, სწორედ ამ მომენტიდან უნდა დაწყებულიყო ადვოკატურის და ადვოკატის, როგორც პროფესიის წარმოშობა. ადამიანები იწყებდნენ კანონების შესწავლას და სხვა ადამიანების დახმარების სანაცვლოდ იღებდნენ გარკვეულ ჰონორარებს¹¹⁸, ან სხვა მატერიალურ სიკეთეებს. ასეთმა ადამიანებმა ძველ ევროპაში მიიღეს „ადვოკატების“ სახელწოდება. ისინი წარმოადგენდნენ სასამართლო პროცესში დაინტერესებული პირების დამხმარეებს, წარმომადგენლებს, დამცველებს და ამისთვის იყენებდნენ სხვადასხვა კანონიერ ხერხებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ სამართალსა და ზენეობრიობას.

ყოველივე ამის შემდგომ, გადის დრო, ვითარდებიან სახელმწიფოები, ფართოვდება იმ პირთა წრე, ვისაც შეიძლება დახმარება აღმოუჩინოს ადვოკატმა, პარალელურად ადვოკატი უკვე ასოცირდება მართლმსაჯულების განხორციელების შემადგენელ ნაწილთან და მის როლს სოციალური სამართლიანობის დამყარებაში ხედავენ¹¹⁹. შესაბამისად ვითარდებოდა ადვოკატის უფლებებიც, „გამოძიებასა“ და სასამართლო წარმოებაშიც. ამავდროულად, სრულიად ლოგიკურია, რომ შეიცვლებოდა და დაიხვეწებოდა ადვოკატთა მოქმედების მეთოდები, მათი უფლებრივი მდგომარეობა და ამგვარი ცვლილებებითა და დამატებებით ადვოკატის ინსტიტუტმა მოაღწია თანამედროვეობამდე.

¹¹⁸ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]

¹¹⁹ Мартынич Е. Г., (2009) адвокатское расследование в уголовном процессе. Теоретико-методологические основы доктрины адвокатского расследования, Издат-во Юристъ. Тула. Стр. 7.

დაცვის უფლებასა და ადვოკატის აუცილებლობაზე სხვადასხვა პერიოდში წერდნენ ცნობილი ადამიანები. მაგ: ვოლტერის სიტყვებით: „მოწმეთა ჩვენების გაბათილება ბრალდებულს შეუძლია მხოლოდ პირისპირ წაყენების საშუალებით“¹²⁰. ვოლტერის სიტყვები ცხადყოფს, რომ სამართლიანობა სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მხარეთა ჭიდილით, ანუ უმჯობესია ბრალდებულს ჰქონდეს უფლება დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით დაიცვას თავი, ვიდრე ისევ სახელმწიფომ სხვადასხვა ინსტიტუტების გამოყენებით იზრუნოს მისი უფლებების დაცვაზე.

ადვოკატის პროფესიამ, მისმა სტატუსმა, ამოცანებმა და მოქმედებების მასშტაბებმა შესამჩნევი ცვლილებები განიცადეს საუკუნეების მანძილზე. დღეისათვის, ადვოკატი პირველ რიგში, არის პროფესიონალი სამართალმცოდნე, რომელიც კანონის ფარგლებში იურიდიულ დამხარებას უწევს კლიენტს და წარმოადგენს მას სასამართლო ინსტანციებში.

როდესაც ვსაუბრობთ ადვოკატის სტატუსზე და მის ინსტიტუციურ მიღწევებზე, აუცილებელია ვახსენოთ, რომ მიუხედავად ადამიანის უფლებების სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა, მსოფლიოს ქვეყნები იყენებენ სხვადასხვა სახის დაცვის ინსტიტუტს და შესაბამისად, ბრალდებულისა და ადვოკატის უფლებრივი/საპროცესო მდგომარეობა ამ ქვეყნებში ერთმანეთისგან განსხვავდება. არის რიგი სახელმწიფოებისა, სადაც დაცვის მხარისათვის ნებადართულია ჩაატარონ „დამოუკიდებელი“¹²¹ გამოძიება. მაგ: დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადა, ავსტრალია.

¹²⁰ ალ.ვაჩეიშვილი. (1955) სისხლის სამართლის პროცესი. ნაკვეთი I. ნარკვევი სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. გვ. 119.

¹²¹ ტერმინს - „დამოუკიდებელ“-ს ვხმარობთ პირობითად, რადგან დაცვის მხარის მიერ წარმოებულ გამოძიებას სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ტერმინს აკუთვნებს. მაგ: (კერძო გამოძიება, პარალელური გამოძიება, ალტერნატიული გამოძიება და ა.შ)

როგორც ვხედავთ, ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი ინტერესების დასაცავად, ზოგიერთი სახელმწიფო წავიდა ისეთ, ერთი შეხედვით, უჩვეულო ნაბიჯზე, რომლის წყალობითაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა ადვოკატის პროფესიული უფლებამოსილება, მისი როლი იურისპრუდენციაში და იურისტთა გარკვეულ წრეში, გაჩნდა ექვები და ვარაუდები, ხომ არ ხდებოდა სხვა (ახალი) საგამომიებო ორგანოს ჩამოყალიბება.

საადვოკატო გამოძიების პირველი ნიშნები, ჯერ კიდევ ანტიკურ სახელმწიფოებში იღებს სათავეს. მაგ: „ათენის სასამართლოში *„მხარეები წარადგენდნენ საქმის გამო საჭირო ყველა საბუთს: დოკუმენტებს, მოწმეთა ჩვენებას და სხვ“*¹²². ამავე ნაშრომში ავტორს მითითებული აქვს, რომ ათენში *„ორივე მხარეს თანაბარი დრო ეძლეოდა“*¹²³ საქმის მოსამზადებლად, რაც უკვე არა მარტო მხარეთა შეჯიბრებითობაზე მიუთითებს, არამედ თანასწორობაზე და დიდ სამართლებრივ კულტურაზე.

ძველი ათენის სისხლის სამართლის პროცესზე და გორტინის კანონებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართველი ავტორი ვ. აბაშმაძე, მისი განმარტებით: „ათენში სასამართლო პროცესი შეჯიბრებითი იყო, **მხარეები დავობდნენ**, სასამართლო კი ზოგიერთ სადავო საკითხზე ახდენს გამოძიებას“¹²⁴. რომელიც თავის ნაშრომში აღწერს ათენის სასამართლო პროცესს და პროცესში წარმომადგენლის როლსა და მნიშვნელობას.

დაახლოებით იგივე შინაარსის ცნობებს გვაწვდის ქართველი ავტორი ა. ტალიაშვილი ანტიკური ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემების შესახებ. მისი გადმოცემით: „ანტიკურ ქვეყნებში დაკანონდა

¹²² ს.ფ. კეჩეკიანი. (1946) სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწილი 1. ძველი სამყარო, ნაკვეთი 1, ძველი აღმოსავლეთი და ძველი საბერძნეთი. გამ: თსუ, თბილისი. გვ. 293-294.

¹²³ იქვე, გვ. 294.

¹²⁴ ვ.აბაშმაძე. (1989) საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკიტხები. (მონათმფლობელური ეპოქა) თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. გვ. 143.

სისხლის სამართლის პროცესის ისეთი პრინციპები, როგორცაა: სასამართლოში მონაწილე მხარეთა თანასწორობა, განსასჯელის დაცვის უფლებით უზრუნველყოფა. სასამართლო ათენსა და რომში იყო დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ორგანო, რომელიც არ ასრულებდა დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. იგი, როგორც არბიტრი, მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად უქმნიდა თანაბარ შესაძლებლობებს ისე, რომ არც ერთ მათგანს არ ანიჭებდა უპირატესობას¹²⁵.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, დარწმუნებით შეიძლება აღინიშნოს, რომ იმდროინდელ საბერძნეთში იურისპრუდენცია, უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, შეიძლება იმაზე მეტადაც, ვიდრე 21-ე საუკუნის ზოგიერთ ქვეყანაში.

ძველ ათენში *„მტკიცებულებების წარდგენა ორივე მხარეს კვისრებოდა“*. სრულად იყო დაცული პროცესის შეჯიბრებითობა. თანამდებობის პირი მხოლოდ აფიქსირებდა მხარეთა წარდგენილ მტკიცებულებებს.¹²⁶

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემდგომი ჩანაწერი, სადაც პირდაპირ ამოიკითხება , რომ ძველ ათენში დაცვის მხარეს გააჩნდა საგამომიებო უფლებამოსილება. კერძოდ: *„კანონი მოითხოვდა, რომ „თითოეულ მხარეს თავისი საქმე თვითონ ეწარმოებინა“*, მაგრამ იმის გამო, რომ რთული საქმეების წარმოებისას საჭირო იყო ფაქტების დაჯგუფება და მოსამართლეებისათვის უფრო გასაგებად მიწოდება, *საჭირო გახდა იმ ადამიანების მოძიება, რომლებიც კარგად იცნობდნენ კანონებსა და ტრადიციებს და შეეძლოთ საქმის უკეთესად წარმართვაში დახმარების აღმოჩენა*¹²⁷.

¹²⁵ ა.ტალიაშვილი. (2009) ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი. გამ: ბაკმი. თბილისი. 2009. გვ. 7.

¹²⁶ იქვე, გვ. 23.

¹²⁷ იქვე, გვ. 28.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველ ათენში, დაცვის ინსტიტუტი უკვე საკმაოდ ძლიერი და დაფასებულია. როგორც ჩანს, უკვე იყო კვალიფიციური იურისტების და ადვოკატების საჭიროება და აქედან გამომდინარე, გარკვეული პირები სპეციალურად ეუფლებოდნენ სამართალმცოდნეობას, რადგან შემდგომ სხვა ადამიანებისათვის აღმოეჩინათ სამართლებრივი დახმარება და ამისათვის მათ მიეღოთ გარკვეული მატერიალური სარგებელი. ამავდროულად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადვოკატობა საპატიო საქმიანობაც უნდა ყოფილიყო, რადგან მათ შეხება ჰქონდათ მოსამართლეებთან, სასამართლო პერსონალთან და ამავდროულად, ისინი თავიანთი განათლების დონითაც სხვაზე მეტად წინ უნდა მდგარიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იქნებოდა საჭიროება მათი „დაქირავებისა“ და წარმომადგენლად მოწვევისა.

მსგავსად ათენისა, ფრანკთა სახელმწიფოს სისხლის სამართლის პროცესშიც მხარეები იყვნენ ვალდებულნი წარმოედგინათ მტკიცებულებები. ზ. ჩერნილოვსკის გადმოცემით „ფრანკების სასამართლო პროცესში *„მოსამართლე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უნდა შემოფარგლულიყო*¹²⁸“.

მ. ჩელცოვის განმარტებით, ფრანკთა სახელმწიფოში ადრეულ ეტაპზე, როგორც ასეთი, დამცველის ინსტიტუტი არ არსებობდა, თუმცა, მხარეებს შეეძლოთ ესარგებლათ მრჩევლის ინსტიტუტით, რომელსაც „avant parlies“ ეწოდებოდა¹²⁹.

ძველი ათენის მსგავსად, დაცვის მხარის საგამომიებო უფლებამოსილების ნიშნები შეიმჩნევა რომშიც. ისტორიულად რომი

¹²⁸ ზ.მ. ჩერნილოვსკი. (1992) სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია. (საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია) მე-2 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. ტ-1. გამ: თსუ. თბილისი. გვ. 135.

¹²⁹ Чельцов-Бебутов М.А. (1957) Курс советского уголовно-процессуального права. Том I: Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах. – М.: Госюриздат, стр. 188.

ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი კულტურით, საკმაოდ განვითარებული და დახვეწილი სამართლებრივი სისტემით. იმდროინდელი რომი იყო მაგალითი სხვა ქვეყნებისათვის, თუ როგორი სამართლებრივი მწვერვალისათვის შეიძლებოდა მიეღწია განვითარებულ ერს.

ძველ რომში ბრალდებულს შეეძლო ესარგებლა დამცველის დახმარებით. რომი ითვლებოდა ადვოკატურის კლასიკურ ქვეყნად. ტერმინი - ადვოკატი¹³⁰ - რესპუბლიკის პერიოდის რომში ნიშნავდა მეგობარს, ნათესავს, რომელიც სასამართლოზე ეხმარებოდა მხარეს. იმპერიის პერიოდში სიტყვამ - „ადვოკატუს“ - მიიღო დამცველის მნიშვნელობა და დღესაც ამ სახით იხმარება.¹³¹

ამას გარდა, როგორც ისტორიული სამართლის წყაროებიდან ირკვევა, ადვოკატები რომში სარგებლობდნენ ავტორიტეტით. *ცალკეული მათი წარმომადგენლის განმარტება უთანაბრდებოდა კანონს*³². *მეტიც, კონკრეტულ საქმეზე გამოჩენილი იურისტის კონსულტაციაზე ისევე შეიძლებოდა დაყრდნობა, როგორც კანონზე*³³.

რომში ადვოკატის განსაკუთრებულ სტატუსზე მიუთითებს მ. ჩელცოვიც. მისი განმარტებით, რომში იმპერიის პერიოდის მეორე ნახევარში ადვოკატურა ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალთა გაერთიანება - “corpus

¹³⁰ თანამედროვე გაგებით ტერმინი „ადვოკატი“ შემდეგნაირად განიმარტება“ - ადვოკატი. (2017, აპრილი 27). გვერდზე ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია. წაკითხვის თარიღი 16:17, აპრილი 28, 2017, (ლათ. advocatus წამოსულია სიტყვა advoco დან) — სახე, რომელიც იურიდიული პირის სახელით ფიზიკური პირის იურიდიულ დახმარებას გასწევს. (მოქალაქეებს, ან მოქალაქეობის არ მქონე პირებს) ასევე იურიდიულ პირებს და ორგანიზაციებს მათი უფლებების დაცვა სასამართლო პროცესზე.

¹³¹ ა.ტალიაშვილი. (2009) ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი. გამ: ბაკმი. თბილისი. 2009. გვ. 64.

¹³² იქვე, გვ. 72.

¹³³ ზ.მ. ჩერნილოვსკი. (1992) სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია. (საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია) მე-2 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. ტ-1. გამ: თსუ. თბილისი. გვ. 90.

togatorum”¹³⁴. მისივე გადმოცემით, „რომში ადვოკატურა სახელმწიფო თანამდებობას უთანაბრდებოდა და ადვოკატები გამოყენებულნი იყვნენ არა მხოლოდ დაცვის უზრუნველყოფისათვის, არამედ სხვა საყოველთაო მიზნებისათვის“¹³⁵.

ჩვენ მეტ - ნაკლებად მიმოვიხილეთ ძველი ათენისა და რომის სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, დავინახეთ, რომ ბრალდებულს შეეძლო აეყვანა დამცველი, რომელსაც ევალებოდა განეხორციელებინა მისი იურიდიული დაცვა, რაც გამოიხატებოდა მტკიცებულებების მოპოვებასა და წარდგენაში.

როდესაც ვსაუბრობთ დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ შესაბამის საბუთებსა თუ მტკიცებულებებზე, გვინდა განმარტება გავაკეთოთ, რომ ანტიკურ ქვეყნებში, ლოგიკურია, არ იქნებოდა მტკიცებულებათა ის არსენალი, რაც დღეს ტექნოლოგიების საშუალებით მიიღწევა. იმ პერიოდში ზოგადად მტკიცებულებების დიდი არჩევანი არ იყო, უკეთეს შემთხვევაში, მტკიცებულებას მოწმის ჩვენება წარმოადგენდა.

სამართლის ისტორიაში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც სასამართლო პროცესი წყდებოდა მხარეთა ფიზიკური ორთაბრძოლებით. ასეთ შემთხვევაში მხარეები მიმართავდნენ ფიზიკურ ორთაბრძოლებს და ბრძოლაში გამარჯვებული სისხლის სამართლის საქმეშიც ავტომატურად იმარჯვებდა. ასევე ისტორიული წყაროების თანახმად, შესაძლებელი ყოფილა ამგვარ ორთაბრძოლებში წარმომადგენლის ჩართვა/გამოყენება¹³⁶. ცხადია, ასეთ წარმომადგენელს კავშირი არ ექნებოდა დამცველ/ადვოკატთან, აქედან

¹³⁴ Чельцов-Бebutov M.A. (1957) Курс советского уголовно-процессуального права. Том I: Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах. – М.: Госюриздат, стр. 154.

¹³⁵ იქვე, გვ. 154.

¹³⁶ მონტესკიე ასეთ პირებს უწოდებდა «ქომაგს» და აღნიშნავდა: - „ძალზე ბევრი იყო ადამიანი, რომელსაც არც ორთაბრძოლაში გამოწვევა, არც ასეთი გამოწვევის მიღება არ შეეძლო. მიზეზის შეტყობის შემდეგ ასეთ ადამიანებს ნებას რთავდნენ აეყვანათ ქომაგი და იმისათვის, რომ ამ უკანასკნელსაც უფრო დიდი ინტერესით დაეცვა თავისი ამყვანი, დამარცხების შემთხვევაში მას ხელის მტევანს აჭრიდნენ. შ.ლ. მონტესკიე. (1994) კანონთა გონი. გვ. 619.

გამომდინარე, აღარ ვისაუბრებთ ამგვარი წარმომადგენლის სტატუსსა და უფლება - მოვალეობებზე, რადგან მას კავშირი არ გააჩნია დამცველ/ადვოკატის ტრადიციულ გაგებასთან.

მტკიცებულებებთან დაკავშირებით მოგვიანებით, შემდგომ თავებში ვისაუბრებთ, მანამდე კი, აღსაღნიშნავია კიდევ ერთი საინტერესო ჩანაწერი, რომელსაც ზ. ჩერნილოვსკი გვთავაზობს. მისი გადმოცემით: „ათენის სასამართლოში საქმის განხილვას წინ უსწრებდა წინასწარი გამოძიება. ბრალმდებელი და ბრალდებული უზრუნველყოფილნი იყვნენ ჩვენების მიცემაზე. მათვე შეეძლოთ მოეთხოვათ მოწმეების დაკითხვა და **წარმოედგინათ ნივთიერი მტკიცებულებანი.**“¹³⁷ ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემული ჩანაწერი, სადაც ნახსენებია, რომ მხარეს შეეძლო მოწმეების დაკითხვის გარდა, წარმოედგინა **ნივთიერი მტკიცებულება.** აღნიშნული მოწმობს დაცვის მხარის განსაკუთრებულ როლზე ათენის სასამართლოში, რადგან მხარე ვერ წარმოადგენდა ნივთიერ მტკიცებულებას, თუ კანონის თანხმად, მას მისი მოპოვების შესაძლებლობა ან უფლება არ ექნებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ქვეყნებში სამართლებრივი კულტურა საკმაოდ იყო განვითარებული და ბრალდებულს, ადვოკატს შეეძლოთ და ვალდებულნიც იყვნენ დამოუკიდებლად მოეპოვებინათ მათი სასარგებლო მტკიცებულებები და ცნობები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი წაგებულ მხარედ ცხადდებოდნენ.

ძველი რომისა და ათენის სახელმწიფოების სამართალი ცალსახად შეჯიბრებითობის პრინციპზე იყო დაფუძნებული, სადაც მოსამართლე მხოლოდ არბიტრის როლს თამაშობდა და შესაბამისად, მხარეებზე იყო დამოკიდებული საქმის ბედი.

¹³⁷ ზ.მ. ჩერნილოვსკი. (1992) სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია. (საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია) მე-2 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. ტ-1. გამ: თსუ. თბილისი. გვ. 58.

შედარება რომ გავაკეთოთ, შეიძლება პარალელი გავავლოთ დღევანდელი საქართველოს საპროცესო სამართალსა და ხსენებული ანტიკური ქვეყნის სამართალს შორის. ცხადია, იმ დროს ადვოკატი არ იქნებოდა იმ უფლებებით აღჭურვილი, რაც დღეს ადვოკატს გააჩნია, თუმცა ის ფაქტი, რომ პროცესი შეჯიბრებითობის საფუძველზე ხორციელდება, მოსამართლე არბიტრის როლშია და მხარე ვალდებულია დამოუკიდებლად შეაგროვოს მტკიცებულებები, ნამდვილად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ძირეულად ბევრი საერთოა ამ ქვეყნების სისხლის საპროცესო სამართლის სისტემებს შორის.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ანტიკურ სახელმწიფოში არსებობდა „საადვოკატო გამოძიების“ ინსტიტუტის მაგვარი ჩანასახები და იგი ბრალდების მხარესთან მიმართებაში სრულ, თანაბარ უფლებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დაცვის მხარე გავლენას ახდენდა სისხლის სამართლის საქმეზე და თავისუფლად შეეძლო გაექარწყლებინა ბრალდება.

2.2. საადვოკატო გამოძიება ძველ საქართველოში

რადგან, ზოგადად, შევეხეთ ადვოკატის ინსტიტუტის წარმოშობასა და განვითარებას, ასევე მიმოვიხილეთ ანტიკური ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები და კერძოდ, საადვოკატო უფლებამოსილება, მიზანშეწონილი იქნება მიმოვიხილოთ ქართული სამართლის ისტორია, თუ რა ეტაპიდან გვხვდება ცნობები ადვოკატის მიერ საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელების შესახებ.

ფაქტია, რომ საქართველოში დამცველის ინსტიტუტს უძველესი ისტორიული საფუძვლები გააჩნია, მის შესახებ ცნობები სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში გვხვდება.

ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით: „ბრალდებულთ სასამართლოში დამცველიც შეიძლება ჰყოლოდათ, რომელნიც ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან განსათავისუფლებლად, თუ მოსალოდნელი მსჯავრის სიმკაცრის შესამსუბუქებლად მოსამართლეს *სხვადასხვა საბუთს*¹³⁸ და მოსაზრებას უდგენდნენ. ასეთ დამცველს „მეოხი“ ჰრქმევია“¹³⁹.

„ვინ იყვნენ ეს „მეოხნი“¹⁴⁰ და წარმოადგენდა თუ არა მეოხობა საქართველოში რაიმე დანაწესებს, „ადვოკატუს“-ების ოდნავად მაინც მსგავსად ბრალდებულთა დამცველები იყვნენ, თუ აქ მხოლოდ გავლენიან პირთა მოსარჩლეობა იგულისხმებოდა, ამის შესახებ ცნობების უქონლობის გამო, ჯერჯერობით მაინც არაფრის თქმა არ შეიძლება“¹⁴¹.

მართალია, ივ. ჯავახიშვილი ზუსტ ცნობებს ვერ გვაწვდის თავად „მეოხთა“ შესახებ, თუმცა, სავსებით საკმარისია იმ ფაქტის დადასტურება, რომ ბრალდებულთ შესაძლოა ჰყოლოდათ დამცველნი და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ დამცველებს შეეძლოთ სხვადასხვა საბუთების წარდგენა სასამართლოში.

ცხადია, სიტყვა საბუთი, დღევანდელი გაგებით გამოიყენება, როგორც მტკიცებულება და შეგვიძლია დადასტურებულად მივიჩნიოთ, რომ ძველ საქართველოში, დამცველს, სასამართლოში შესაძლებლობა ჰქონდა წარედგინა სხვადასხვა სახის მტკიცებულებები, რაც უდავოდ ადასტურებს საქართველოს სამართლის ისტორიაში „საადვოკატი გამოძიების“ არსებობის საწყისებს.

¹³⁸ სიტყვა საბუთი ნიშნავს - „რისამე დამამტკიცებელი აზრი ან ფაქტი, არგუმენტი,“ www.Ena.ge/explanatory-online.

¹³⁹ ივ.ჯავახიშვილი. (1984) თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი 7. თბილისი. გვ. 354.

¹⁴⁰ სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში სიტყვა მეოხი ნიშნავს - „შემწეს“, „მფარველს“. - www.Ena.ge/explanatory-online.

¹⁴¹ იქვე, ივ.ჯავახიშვილი. გვ. 355.

ბრალდებული ან ადვოკატი სასამართლოში მტკიცებულებებს ვერ წარადგენდნენ, თუ მათ ამ მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა არ ექნებოდათ კანონით მინიჭებული. აქედან გამომდინარე, ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმდროინდელ საქართველოში, სამართალი იმდაგვარად უნდა ყოფილიყო მოწესრიგებული, რომ სისხლის სამართლის პროცესის მხარეს უფლება ჰქონოდა დამოუკიდებლად მოეპოვებინა მისთვის სასურველი მტკიცებულებანი და შემდგომ ისინი წარედგინა სასამართლოში.

საადვოკატო ინსტიტუტთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართველი ავტორი ი. აქუბარდია. მისი განმარტებით: „საქართველოში გავრცელებული ყოფილა ტერმინი „ვექილი“ (არაბულად ვაქილი) და ნიშნავდა რწმუნებულს, მეურვეს, მზრუნველს. XVIII-XIII საუკუნეებში ტერმინი ვექილი ხშირად იხმარებოდა მოხელის აღსანიშნავად. სამეფო კარის მოხელეებს ვექილ-ვეზირებსაც უწოდებდნენ. მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგს, ქართულ დოკუმენტებში გვხვდება „ვექილი“ ადვოკატის მნიშვნელობით. სულხანსაბა ორბელიანი ასე განმარტავდა ვექილის ცნებას: „ვექილი არის თანამოსარჩლე სამსჯავროსა შინა ფასითა“. აღნიშნული განმარტებით, ვექილი სასამართლო პროცესის მონაწილეა, რისთვისაც იგი გასამრჯელოს იღებდა“¹⁴².

როგორც ქართული იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, ტერმინი „დამცველი“, „წარმომადგენელი“ და „ადვოკატი“ გვიან პერიოდებში დაფუძნდა, რადგან არც ერთ ისტორიულ წყაროებში არ გვხვდება ცნობები ამ ტერმინების შესახებ¹⁴³.

¹⁴² ი. აქუბარდია. (2011) დაცვის ხელოვნება. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 12.

¹⁴³ ტერმინი წარმომადგენლობა ქართული სამართლის ისტორიისათვის ცნობილია, თუმცა იგი არ ნიშნავდა დამცველს, ადვოკატს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ძველ საქართველოში წარმომადგენელი აღჭურვილი არ იყო საადვოკატო უფლებამოსილებით.

ზემოთ აღნიშნულის გარდა იურისტებში საკმაო აზრთა სხვადასხვაობაა სისხლის სამართლის პროცესში ტერმინ დამცველისა და ადვოკატის გამოყენებასთან დაკავშირებით. ნაწილი იურისტებისა განმარტავენ, რომ ტერმინი დამცველი (რომელიც გამოიყენებოდა 1998

საქართველოში, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა სახის სისხლის სამართლის პროცესის ფორმა იყო გავრცელებული, თუმცა, როგორც სამართლის ისტორიკოსები აღნიშნავენ, ფეოდალურ საქართველოში ძირითადად საბრალდებო პროცესი გვხვდებოდა. პროფესორ ვ.მეტრეველის აზრით, „ფეოდალურ საქართველოში ფიქსირდება საბრალდებო პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც იმით გამოიხატება, რომ მხარეებს საქმის წარმოებისას თანასწორი უფლებები ჰქონდათ. **სწორედ, მხარეები აგროვებდნენ დამამტკიცებელ საბუთებს და წარუდგენდნენ განსახილველად მოსამართლეებს**¹⁴⁴.

მსგავსად პროფესორ მეტრეველისა, ქართველი ავტორის, გ. დავითაშვილის გადმოცემით: „სვანეთში, ხევსურეთში ან ჩრდილოეთ კავკასიაში საბრალდებო პროცესის ფორმა გვხვდებოდა, რომლისთვისაც

წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში) შინაარსობრივად უფრო მეტად ესატყვისება იმ სტატუსს, რასაც პირი ახორციელებს მისი დაცვის ქვეშ მყოფისათვის.

ქართველი ავტორი ი.აქუბარდია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მომხდარ ტერმინოლოგიურ ცვლილებას (ტერმინ დამცველის ნაცვლად, ტერმინი ადვოკატის გამოყენება) არამართებულად მიიჩნევს. მისი განმარტებით, ადვოკატი უფრო ფართო ცნებაა ვიდრე დამცველი. „ადვოკატი არის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ეწევა საადვოკატო საქმიანობას. საადვოკატო საქმიანობა კი მოიცავს იურიდიული კონსულტაციის გაწევას, დაცვის ფუნქციის განხორციელებას სისხლის სამართლის საქმეზე, წარმომადგენლობას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას, ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წარმომადგენლობას. სისხლის სამართლის საქმეში დაცვის ფუნქციის განსახორციელებლად ადვოკატის მონაწილეობა დამცველის სტატუსით გამართლებული იყო, რადგან ამით ხდებოდა დაცვის ფუნქციის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზგასმა: მოქმედი კოდექსით კი, დაცვის ფუნქციის განხორციელება გაიგივებულია ნებისმიერი სახის იურიდიული დახმარების გაწევასთან, რაც აკნინებს დაცვის ფუნდამენტური ფუნქციის მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესში“. - ი.აქუბარდია. (2011) დაცვის ხელოვნება. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 88.

იდენტური შეხედულება გააჩნია გ. აბაშიძეს, რომლის განმარტებითაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ადვოკატის გამოყენება ნაცვლად დამცველისა აკნინებს დაცვის ფუნქციას. მისი აზრით: „იურიდიული დახმარება შეიძლება დასჭირდეს ნებისმიერ ადამიანს, ხოლო დაცვა სჭირდება მხოლოდ ბრალდებულს. სწორედ ტერმინი „დამცველი“ ხაზს უსვამდა იურიდიული დახმარების სახეებიდან დაცვის ფუნქციის მნიშვნელობას, მის პრივილეგირებულობას“. - გ. აბაშიძე. (2010) დამცველი სისხლის სამართლის პროცესში: (წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე). გამ: (შპს "ჩხორია-2009"). თბილისი. გვ. 161.

¹⁴⁴ ვ. მეტრეველი. (2003) საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 415.

დამახასიათებელი იყო შემდეგი პრინციპები: საჯაროობა, ზეპირობა, შეჯიბრებითობა. ეს უკანასკნელი გამოიხატებოდა იმით, რომ მხარეები აბსოლუტურად თანასწორნი იყვნენ.¹⁴⁵“

ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების განმარტებებს ამყარებს კიდევ ერთი ავტორის მ. ლეკვეიშვილის მიერ მოპოვებული წყაროები, სადაც აღწერილია, რომ „ბრალდებულს, ისევე, როგორც ბრალმდებელი, ვალდებული იყო განსაზღვრული წესით წარმოთქმული სიტყვებით უაერყო წამოყენებული ბრალდება და *ფაქტებით დაემტკიცებინა თავისი სიმართლე*.¹⁴⁶“

იგივე ავტორის გადმოცემით, ანტიკური ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც გვხვდება მაგალითები, როდესაც სასამართლო პროცესზე ხმლით ბრძოლა იყო დაშვებული და ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული პირი ავტომატურად ითვლებოდა პროცესის მოგებულ მხარედ.

ამავე დროს საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ზოგიერთ შემთხვევაში დაშვებული იყო ხმლით ბრძოლა წარმომადგენლის მეშვეობით. ასეთი პრივილეგიები გააჩნდათ სასულიერო პირებს, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს“.¹⁴⁷

ჩვენი აზრით, საინტერესოა ზემოხსენებული ჩანაწერები, რადგან ძველ პერიოდში, მრავალი საუკუნეების წინ, საქართველოში როგორც ჩანს, სამართლის კულტურა მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო, რაც გამოიხატება დაცვის მხარის პატივისცემაში და სათანადო უფლებრივი მდგომარეობის მინიჭებაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ პერიოდის ხელისუფლება ორიენტირებული იყო ჭეშმარიტების დადგენაზე და მხარეებს აძლევდა საშუალებას წარმოედგინათ გამამართლებელი მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდგომ მიეღო სასამართლოს გადაწყვეტილება. გ. დავითაშვილი იგივე ნაშრომში აღნიშნავს, რომ „*სასამართლო მტკიცებულებების მოგროვებაც*

¹⁴⁵ გ. დავითაშვილი. (2004) სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. გვ. 228.

¹⁴⁶ მ. ლეკვეიშვილი. (1962) სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. გვ. 4.

¹⁴⁷ იქვე, გვ. 5.

*მხარეთა პრეროგატივას წარმოადგენს, ხოლო მოსამართლეთა როლი პასიურია*¹⁴⁸.

ერთ-ერთი პრაქტიკული მაგალითი იმისა, სადაც ჩანს, რომ მტკიცებულების მოპოვება მხარეთა პრეროგატივას, გვხვდება „ეთნოგრაფიულ მასალაში, სადაც აღწერილია რომ *„რჯულის კაცებმა“ უსაყვედურეს დაზარალებულ მხარეს, რატომ არ შეამოწმა მან „მთხრობლის“ ინფორმაცია. მთხრობელმა დაზარალებულს უთხრა, თუ ვინ მოიპარა და დაკლა მისი ხარი და სად შეინახა რქები და სად გააშრო ხორცი, თუმცა, სასამართლო პროცესზე უარი თქვა თავის სიტყვებზე. „რჯულის კაცებმა“ დაზარალებულს უსაყვედურეს: „როცა გაიგე შენი ხარის რქები სად იყო, რატომ არ ნახე...“* ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ მტკიცებულებათა შეგროვება სწორედ მხარეთა მოვალეობაა¹⁴⁹.

ამას გარდა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ქართულ - ისტორიულ წყაროებში გვხვდება ისეთი ტერმინი, როგორცაა *„საგამოძიებო მოქმედებანი“*, რომელიც მიკუთვნებულია დაცვის მხარის უფლებამოსილებისთვის. პროფესორ ა. ოჩიაურის განმარტებით *„მხარეებს, შესაძლოა გარკვეული „საგამოძიებო მოქმედებანიც“ თვითონ ჩაეტარებინათ*.¹⁵⁰ იგივე ავტორის ნაშრომში გვხვდება მასალები, სადაც აღწერილია, რომ დაზარალებული მხარე თვითონ ახორციელებს შემთხვევის ადგილის *„დათვალიერებას“*¹⁵¹.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროდ, საქართველოში, სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთებში, საბრალდებო პროცესის გარდა, სისხლის

¹⁴⁸ გ. დავითაშვილი. (2004) სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. გვ. 228.

¹⁴⁹ ო. ზოიძე. (1988) მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რვეული №1. გვ. 23.

¹⁵⁰ ალ.ოჩიაური. მოსახლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, საქადალდე №108, რვეული №2. გვ. 15-17.

¹⁵¹ იქვე. გვ. 15-17.

სამართლის პროცესის სხვა ფორმებიც გვხვდებოდა, სადაც დაცვის უფლება მხოლოდ ფორმალურადაა იყო, ან შეიძლება არც კი არსებობდა.

დასკვნის სახით, შეგვიძლია დადასტურებით ვთქვათ, რომ „საადვოკატო გამოძიების“ ინსტიტუტის მსგავსი ჩანასახები ძველ საქართველოში არსებობდა და საკმაოდ ეფექტურადაც მოქმედებდა. დაცვის მხარე თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ბრალდების მხარესთან და მისი ძირითადი მოვალეობა იყო დამოუკიდებლად მოეგროვებინა შესაბამისი მტკიცებულებები და წარედგინა სასამართლოში მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების სასიკეთოდ.

2.3. საადვოკატო გამოძიება საბჭოთა საქართველოში

საბჭოთა პერიოდს განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ისე სამართლის ისტორიაში. საბჭოთა პერიოდმა თავისებური დალი დაასვა საქართველოში სამართლის განვითარებას, რაც ალბათ, იმ პერიოდის პოლიტიკური სისტემითა და წყობილებით იყო განპირობებული.

საბჭოთა პერიოდში მიღებულია ოთხი კონსტიტუტცია. თუ კარგად დავაკვირდებით დავინახავთ, რომ დროთა განმავლობაში უფრო ვითარდებოდა და იხვეწებოდა დაცვის ინსტიტუტი. მაგალითისათვის, 1922 წლის საბჭოთა კონსტიტუტციაში, 99-ე მუხლში მოხსენიებულია „ბრალდებისა და დაცვის ორგანიზაცია“¹⁵². მართალია, ეს ჩანაწერი შინაარსით ბევრს არაფერს მოიცავდა, თუმცა კონსტიტუტციაში ამგვარი ჩანაწერის არსებობა, სადაც

¹⁵² საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუტცია. (1922) სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის გამოცემა. თფილისი.

ტერმინი „დაცვა“ მოხსენიებულია, უკვე წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლებოდა.

1927 წლის საბჭოთა კონსტიტუციაში არსებითი ცვლილებები არ შესულა დაცვის მხარესთან მიმართებაში და პრაქტიკულად გამეორებულია წინა კონსტიტუციის ჩანაწერი, მაგრამ 1937 წლის კონსტიტუციაში უკვე იცვლება დაცვის მხარის ტერმინოლოგიური ფორმულირება და წარმოდგენილია შემდეგნაირად: „ამასთანავე ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.“¹⁵³

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, ისედაც „ცნობილია, რომ XX საუკუნის 30-იან, 40-იან წლებში ადვოკატთა კოლეგიის საქმიანობა არაეფექტური იყო. ამაში უდიდესი როლი შეასრულა სსრ კავშირის ცაკ-ის 1934 წლის 1 დეკემბრის და 1937 წლის 14 სექტემბრის დადგენილებებმა. ამ დადგენილებების შესაბამისად, დადგინდა ტერორისტული ორგანიზაციებისა და ტერორისტული აქტების, კონტრევოლუციური მავნებლობისა და დივერსიის საქმეების სამართალწარმოების განსაკუთრებული წესი. ასეთი საქმეების განხილვა სასამართლოში მიმდინარეობდა გამარტივებულად, არა მხოლოდ დამცველის, არამედ თვით ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე, დაცვის უფლების სრული უგულვებელყოფით. ბრალდებულსა და მის დამცველს აღნიშნულ საქმეთა განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც არ ჰქონდათ“¹⁵⁴.

ყოველივე ამის შემდგომ, გადის წლები და 1978 წელს მიღებულ იქნა ბოლო საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც აშკარად დახვეწილი და მოწესრიგებული იყო წინა კონსტიტუციებთან შედარებით. ამ კონსტიტუციაში

¹⁵³ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია. (1938) სსრ. კავშირის უზენაესი საბჭოს გამოცემა. მუხლი 111.

¹⁵⁴ ი.აქუბარდია. (2011) დაცვის ხელოვნება. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 21.

ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა ცალკე, დამოუკიდებელ მუხლადაა გამოყოფილი“¹⁵⁵.

კონსტიტუციური პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების მიზნით, იქმნებოდა შესაბამისი საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებიც, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარად აწესრიგებდნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებს. აღსაღნიშნავია 1923 წლის საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სადაც ბრალდებული და ადვოკატი დაცვის მხარედაც კი არ არის მოხსენიებული¹⁵⁶. ანუ იმ პერიოდში ბრალდებული და დამცველი პროცესის მხარედ არ მოიაზრებოდნენ და ბრალდებული იყო სამართლის „ობიექტის“¹⁵⁷ როლში.

რა თქმა უნდა, იურისტთა გარკვეული წრე მხარს უჭერდა დაცვის უფლებების გაფართოვებას, თუმცა, მათი მოსაზრების საწინააღმდეგოდ მ. ჩელცოვი მიუთითებდა, რომ „კანონმდებელმა სრულიად გარკვევით გამოხატა აზრი იმის შესახებ, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში არ არიან მხარეები, რომლებიც სამართალში მიცემულისათვის წაყენებული ბრალდების საგანზე აწარმოებდნენ შეჯიბრებას ურთიერთ შორის“¹⁵⁸.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა საქართველოში საადვოკატო გამოძიების არსებობაზე საუბარიც კი არ შეიძლება, რადგან მათ, არათუ საგამოძიებო უფლებამოსილება გააჩნდათ, არამედ პროცესის მხარედაც კი არ ცნობდნენ.

შედარებით გაუმჯობესდა პროცესის მონაწილეთა უფლებრივი მდგომარეობა 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სადაც უკვე გაჩნდა ჩანაწერი, რომ „პროცესი მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობის

¹⁵⁵ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია. (1978) გამ: „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. მუხლი 170.

¹⁵⁶ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. (1938) თბილისი. მუხლი 23

¹⁵⁷ А.Я. ВЫШИНСКИЙ. (1937) к положению на фронте правовой теории. Издательство: Юрид. изд-во НКЮ СССР Москва. Стр. 60.

¹⁵⁸ ბ.ფურცხვანიძე. (1963) საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“. თბილისი. გვ. 92.

საფუძველზე. ამ კანონის თანახმად ჩანს, რომ დამცველს შეუძლია საქმეში ჩაერთოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრდება წინასწარი გამოძიება და ბრალდებულს გადასცემენ საქმეს გასაცნობად¹⁵⁹. ამავე კანონის 46-ე მუხლის თანახმად, დამცველს შეუძლია წარადგინოს დამამტკიცებელი საბუთები და სხვა.

ფაქტია, რომ 1960 წლის საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა დაახლოებით ორმოცი წელი იმუშავა და ცხადია, ამ პერიოდის განმავლობაში მასში შევიდა მრავალი ცვლილება, რომელიც საბოლოო ჯამში, 1997 წლის მდგომარეობით, საკმაოდ სახეცვლილი იყო მისი თავდაპირველი ვერსიისაგან განსხვავებით.

საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, აღმოვაჩინოთ ის სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ადვოკატს აძლევდა შესაძლებლობას რაიმე სახით გავლენა მოეხდინა სისხლის სამართლის საქმეზე და მის როლს მნიშვნელობა ჰქონოდა სისხლის სამართლის პროცესში.

თუმცა, საბჭოთა პერიოდის იურისტებში ვხვდებით ისეთ მოსაზრებებს, როგორიცაა: „*დამცველი სასამართლოს თანაშემწეა*.¹⁶⁰ მ. სტროგოვიჩის განმარტებით: „დამცველი სასამართლოს თანაშემწეა იმ აზრით, რომ იგი ეხმარება სასამართლოს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებაში.¹⁶¹ ყოველივე ამის შემდგომ, როდესაც დამცველს სასამართლოს თანაშემწედ მოიხსენიებენ, ალბათ, რთულია ისაუბრო საბჭოთა პერიოდში საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის არსებობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებული ავტორი საკმაოდ პროგრესულად უყურებდა დაცვის ინსტიტუტს და აუცილებლად მიიჩნევდა

¹⁵⁹ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. (1971) გამ: საბჭოთა საქართველო. მუხლი 43.

¹⁶⁰ მ.ს. სტროგოვიჩი. (1948) სისხლის სამართლის პროცესი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. გვ. 411.

¹⁶¹ იქვე, გვ. 412.

მათი უფლებების გაფართოვებას, ვფიქრობთ, რომ ტერმინი „სასამართლოს თანაშემწე“, აშკარად შეურაცხმყოფელია ადვოკატის სტატუსისადმი და იგი მას პროცესის მეორეხარისხოვან ინსტიტუტად წარმოაჩენს. მეტიც, ბ. ფურცხვანიძე დაცვის მხარეს მოიხსენიებს როგორც, „მეორე ჯგუფის პროცესის მონაწილედ“¹⁶².

საბჭოთა ლიტერატურაში დამცველის ძირითად საქმიანობად ასახელებდნენ, რომ „დამცველი ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის **მხოლოდ კანონიერი**, პატივსადები ინტერესები, რაც გულისხმობს ისეთი პირობების მიღწევას, რომ არ იქნეს იგი მსჯავრდებული ქმედობისათვის, რაც მას არ ჩაუდენია, რომ სასამართლოს განაჩენი სამართლიანი იყოს. ასეთი მიზანი სავსებით ემთხვევა სსრ კავშირში მართლმსაჯულების განხორციელების საერთო მიზანს“¹⁶³.

მოცემულ მსჯელობაში, თითქოს არაფერია განსაკუთრებული, მაგრამ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ტერმინზე „ბრალდებულის **მხოლოდ კანონიერი ინტერესები**“. რა თქმა უნდა, ზოგადად, ადვოკატი იცავს მისი დაცვის ქვეშ მყოფის კანონიერ ინტერესებს, რათა სახელმწიფოს მიერ იგი უხეშად არ იყოს შელახული და დარღვეული, თუმცა საბჭოთა პერიოდში იურისტთა გარკვეული წრე მიიჩნევდა, რომ დამნაშავე არ უნდა გათავისუფლდეს სასჯელისგან მხოლოდ იმის გამო, რომ ბრალდებამ ვერ დაამტკიცა მისი დანაშაული.

ზემოთ ხსენებულის ცხადი მაგალითია შემდგომი ჩანაწერი: „საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ საბჭოთა კანონისა და სოციალისტური თვალსაზრისით, დამცველს არ შეუძლია ისე მოიქცეს, რომ ყოველი საშუალებითა და ხერხით გამოიხსნას თავისი მარწმუნებელი. საბჭოთა დამცველი უნდა ემსახურებოდეს სოციალისტური საზოგადოების, კანონის,

¹⁶² ბ.ფურცხვანიძე. (1963) საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. სახელმწიფო გამომცემლობა ცოდნა. თბილისი. გვ. 93.

¹⁶³ ავტ. კოლ. ა.ფალიაშვილი. ლ.თალაკვაძე. (1988) საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. გვ. 97.

სიმართლისა და სამართლიანობის დაცვის ჰუმანურ საქმეს. სწორედ ამით უნდა განისაზღვროს მისი ქცევის ხაზი ბრალდებულის დაცვის დროს. ბრალდებულის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვა - აი ის, რაც შეადგენს დამცველის ამოცანას, და არა ბრალდებულის უკანონო დაჩემებათა დაცვა, რაც უცილობოდ გადაიზრდება დამნაშავისა და დანაშაულის დაცვაში¹⁶⁴.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ავტორები ლიტერატურაში მიუთითებდნენ დამცველის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე წინასწარი გამოძიების პროცესში. მათი გადმოცემით: „დამცველის მონაწილეობას წინასწარი გამოძიების დროს დიდი როლი ენიჭება. დამცველი ვალდებულია სისხლის სამართლის პროცესის ამ სტადიაზე აღმოუჩინოს ბრალდებულს რეალური და კვალიფიციური დახმარება, ხელი შეუწყოს საქმეზე გამამართლებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა დადგენას, აგრეთვე, სისხლის სამართლის საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოძიებას ჭეშმარიტების დადგენის მიზნით“¹⁶⁵.

ზემოთ მოცემული სიტყვები აუცილებლად განხილვის საგანია, რადგან 1958 წლის 25 დეკემბრამდე, დამცველი სისხლის სამართლის საქმეში დაიშვებოდა მხოლოდ სასამართლო განხილვის დაწყების ეტაპიდან. გამომდინარე აქედან, ალბათ, არ ღირს საუბარი ადვოკატის როლსა და მნიშვნელობაზე გამოძიების პროცესში იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ადვოკატი, უბრალოდ, ვერ ერთვებოდა გამოძიებაში. ხოლო 1958 წლის 25 დეკემბრის შემდგომ, დამცველს მიეცა უფლება, ჩართულიყო საქმეში გამოძიების დასრულების შემდგომ, სასამართლო განხილვის დაწყებამდე. კანონის ახალი ჩანაწერი, უფლებრივად, აშკარად გაუმჯობესებული იყო წინა ნორმასთან შედარებით, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც სრულიად

¹⁶⁴ Заседания Верховного Совета СССР 5-го созыва. (1959) вторая сессия (22-25 декабря 1958 г.) : стенографический отчет. Стр. 501-502.

¹⁶⁵ ავტ. კოლ. ა.ფალიაშვილი. ლ.თალაკვაძე. (1988) საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. გვ. 237.

ფუქია ზემოთ ციტირებული სიტყვები, გამომდინარე იქიდან, რომ დამცველი კვლავ ვერ ერთვებოდა გამოძიების პროცესში.

მიუხედავად ყველაფრისა, ამ ცვლილებას ჰყავდა თავისი მომხრეები და მასში, დაცვისათვის, უფლებრივად, წინ გადადგმულ ნაბიჯს ხედავდნენ. ბ. ფურცხვანიძის განმარტებით, ეს ცვლილება „გარდა იმისა, რომ აფართოვებს ბრალდებულის უფლებას დაცვაზე, უდავოდ, ხელს უწყობს სისხლის სამართლის საქმეების გამოკვლევის ხარისხის ამაღლებას, რამდენადაც, დამცველს შეუძლია დასაბუთებული შუამდგომლობების დაყენებით გამოასწოროს გამოძიების ცალკეული ხარვეზი და შეავსოს საქმის მასალა, აღკვეთოს სასამართლოში არასრულად, ცალმხრივად, გამოძიებული საქმეების გაგზავნის შემთხვევები“¹⁶⁶.

ყოველგვრე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა პროცესი, მკაცრ ინკვიზიციურ პრინციპებზე იყო დამყარებული, სადაც დაცვის მხარეს არ შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა სისხლის სამართლის საქმეზე და ჯეროვნად დაეცვა კლიენტის ინტერესები. ჩვენ დავძენთ, რომ დამცველის ინსტიტუტი ალბათ, უფრო ფორმალობას ატარებდა საბჭოთა პერიოდში, რომლის არსებობაც, საჭირო იყო ვითომ „ადამიანის ინტერესების დასაცავად“, თუმცა, პრაქტიკამ და სხვადასხვა იურისტთა შეხედულებებმა აჩვენა, რომ დამცველის ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში ვერ იდგა შესაბამის სიმაღლეზე და იგი მეორეხარისხოვან ინსტიტუტად მიიჩნეოდა. აქედან გამომდინარე, ცალსახად უნდა დავადასტუროთ, რომ საბჭოთა საქართველოში საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი არ არსებობდა.

¹⁶⁶ ბ.ფურცხვანიძე. (1963) საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. სახელმწიფო გამომცემლობა ცოდნა. თბილისი. გვ. 62.

2.4. საადვოკატო გამოძიება 1998 წლის წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად

გადაჭარბების გარეშე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებებზე ზრუნვა და სამართლებრივი სისტემის სრულყოფა უდავოდ მისასაღმებელია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად და ლოგიკურია, ამის შემდგომ ქვეყანა ისწრაფვოდა შეექმნა საკუთარი სამართლებრივი ინსტიტუტები.

სხვადასხვა განხორციელებულ რეფორმებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1995 წელს, საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა ქვეყნის ახალი პოლიტიკური ვექტორი და მასში ჩამოყალიბებული იყო ყველა ის ძირითადი პრინციპი, რის საფუძველზეც აპირებდა ქვეყანა ფუნქციონირებას.

უნდა ვაღიაროთ, რომ მიღებული კონსტიტუცია ძირეულად განსხვავებული იყო საბჭოთა კონსტიტუციისაგან და ითვალისწინებდა აბსოლუტურად სხვა სახის სახელმწიფოს მშენებლობას (ვიდრე საბჭოთა კავშირი). 1995 წლის კონსტიტუციაში მკაცრად არის განსაზღვრული, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი¹⁶⁷, ასევე ცალკე თავი ეთმობა ადამიანის უფლებებს, რაც გარანტიაა ქვეყანაში კანონიერების და სამართლიანობის დამკვიდრებისა.

კონსტიტუციის მიღების შემდგომ, კონსტიტუციური პრინციპების განხორციელების მიზნით, 1998 წელს, მიღებულ იქნა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც, ასევე განსხვავებული იყო მანამდე

¹⁶⁷ საქართველოს კონსტიტუცია. (1995) მუხლი 85.

მოქმედი კანონისაგან და სრულიად ახლებურად არეგულირებდა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებას, წინ უძღოდა დიდი წინააღმდეგობა ზოგიერთი ძალოვანი თანამდებობის პირის მხრიდან, რომლებიც მყარად იდგნენ იმ აზრზე, რომ არ უნდა გაფართოვებულიყო დაცვის უფლებები და არგუმენტად მოჰყავდათ შემდეგი: **„მიმტევებლობის პოლიტიკამ დაგვაქცია“** - ეს სიტყვები, ადვოკატ ოთარ ბერიშვილის გადმოცემით, ეკუთვნის იმ დროინდელ საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოადგილეს ანზორ ბალუაშვლს¹⁶⁸.

მასვე ეკუთვნის სიტყვები: „ადვოკატი ხელს უწყობს დამნაშავეთა დაუსჯელობას და იწვევს საგამომიებო აპარატის პარალიზებას!“... „გამომიებლები ადვოკატთა და ბრალდებულთა ხელში მარიონეტებად და მათი უკანონო მოთხოვნების შემსრულებლებად იქცნენ“¹⁶⁹.

ადვოკატი ოთარ ბერიშვილი ასევე ამხელდა იმ პერიოდის პოლიციის ხელმძღვანელს, რომელმაც ტელევიზიის საშუალებით ორჯერ განაცხადა, რომ ადვოკატები „ხელს უშლიან გამოძიებას“¹⁷⁰.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ მარტივი არ უნდა ყოფილიყო ახალი საპროცესო კანონის მიღება იმ ფონზე, როდესაც მაღალი დონის პოლიტიკური პირები ასე აგრესიულად იყვნენ განწყობილნი ადვოკატთა და ზოგადად, დაცვის ინსტიტუტის მიმართ.

თუმცა, ქვეყნისათვის სასიკეთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დემოკრატიულმა და პროგრესულად მოაზროვნე ძალებმა, ბოლომდე მიიყვანეს თავიანთი ჩანაფიქრი და 1998 წელს მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

¹⁶⁸ ოთარ ბერიშვილი. (1995) ადვოკატის დაცვითი სიტყვები; უდანაშაულობის პრეზუმპცია, გამოძიება, სასამართლო, პრესა. გამ: თინათინი. თბილისი. გვ. 115.

¹⁶⁹ იქვე, გვ. 116.

¹⁷⁰ იქვე, გვ. 115.

ქართველი ავტორის ვ. ბენიძის განმარტებით: „ახალი კოდექსი ითვალისწინებდა სამართალწარმოების განხორციელებისათვის დადგენილი წესების და პროცესის მოქმედებათა წარმოებისათვის გასნაზღვრული ვადების მკაცრ რეგლამენტაციას, გამორიცხვდა ინკვიზიციურობას და სრულად უზრუნველყოფდა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას დანაშაულის ჩადენაში. ბრალდებულ პირსა და სახელმწიფოს შორის დავაში, ადამიანის პირად, კანონიერ ინტერესს ანიჭებდა პრიორიტეტს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეს დასჯის საჯარო ინტერესებთან შედარებით; რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აწესებდა მკაცრ სასამართლო კონტროლს ბრალდების მხარის იმ მოქმედებებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან“¹⁷¹.

ახალი საპროცესო კოდექსი უკვე გარანტი იყო მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობისა. ამ კოდექსით მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი დაცვის მხარის უფლებები და ზოგადად, კარგად იყო მოწესრიგებული სამართლებრივი თუ საპროცესო ურთიერთობები.

ახალი კოდექსით, დაცვის მხარეს, საქართველოს ისტორიაში პირველად, მიეცა საშუალება ჩაეტარიბინა დამოუკიდებელი გამოძიება, რაც უკვე კანონით პირდაპირ იყო გასნაზღვრული. მაგალითად, კოდექსში ამოიკითხავდით ტერმინს „კერძო გამოძიება“. მართალია, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაფერი იყო ნათქვამი კერძო გამოძიების ინსტიტუტის შესახებ, თუმცა ცხადია, რომ ეს იყო დაცვის მხარისათვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, სისხლის სამართლის საქმეზე მოეხდინა ეფექტური გავლენა და უკეთ დაეცვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესები.

კანონის თანახმად, „კერძო გამოძიება“ განიმარტებოდა, როგორც დაცვის მხარის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის

¹⁷¹ ვენედი ბენიძე. (2000) სისხლის სამართლის პროცესი. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 3.

მიზნია დაცვისათვის საჭირო მონაცემების შეკრება და მტკიცებულებათა სახით პროცესის მწარმოებელი ორგანოსთვის წარდგენა. თუმცა, იქვე იყო აღნიშნული, რომ ეს საქმიანობა არ წესრიგდებოდა იმავე კანონით¹⁷².

ტერმინი „კერძო გამოძიება“, სისხლის სამართლის პროცესში ორჯერ იყო მოხსენიებული, ერთი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავად ტერმინთა განმარტებაში და მეორედ, იგი მიკუთვნებულია ბრალდებულის უფლებების მუხლში, სადაც გაწერილია, რომ კერძო გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები აუცილებლად უნდა დაერთოს საქმეს. როგორც კანონის ჩანაწერიდან ირკვევა, საკმაოდ დიდი მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო კერძო გამოძიების ინსტიტუტი, რადგან მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები უპირობოდ უნდა დართვოდა სისხლის სამართლის საქმეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაცვის მიერ „დამოუკიდებელი გამოძიების“ ჩატარების შესაძლებლობას 1998 წლის საპროცესო კანონი ცალსახად ითვალისწინებდა, რასაც კიდევ მეტად ამყარებდა იმავე კანონის 129-ე მუხლი, სადაც ნათქვამი იყო, რომ *დამცველს, აგრეთვე დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ: შეაგროვონ მათ მარწმუნებელ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები, მათ შორის, გამოავლინონ და შეკითხვები დაუსვან კერძო პირს, რომელიც ჯერ ოფიციალურად დაკითხული არ არის; გამოითხოვონ ცნობა, დახასიათება და სხვა დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ასეთი მოთხოვნა; მიმართონ მცოდნე პირს, გამოთქვას თავისი აზრი საქმის გამო წამოჭრილი სპეციალური საკითხის განსამარტავად, ჩატარებული ექსპერტიზის შესაფასებლად და შუამდგომლობის დასასაბუთებლად; მოიწვიონ ექსპერტი, ასევე საფინანსო-საბუღალტრო*

¹⁷² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. (1998) მუხლი 44.

ექსპერტი დასკვნის შესადგენად; ისარგებლონ კერძო დეტექტივის მომსახურებით მტკიცებულების მნიშვნელობის მეორე ცნობების მისაღებად.

მოცემული ჩანაწერი, გარდა იმისა, რომ საკმაო დემონსტრირებას ახდენდა დაცვის უფლებებისა, საინტერესო იყო იმითაც, რომ 1998 წელს მიღებული საპროცესო კანონი ცნობდა „*კერძო დეტექტივის*“ ინსტიტუტს და დამცველს უფლებას აძლევდა ესარგებლა კერძო დეტექტივის მომსახურებით.

მართალია, ამ შემთხვევაშიც საპროცესო კანონი არ განსაზღვრავდა კერძო დეტექტივების სამართლებრივ მდგომარეობას, ასევე ქართველი პროცესუალისტებიც გვერდს უვლიდნენ ამ საკითხს და არც ერთ იურიდიულ ლიტერატურაში საუბარი არ არის კერძო დეტექტივის იურიდიულ ბუნებასა და მის რაობაზე. თუმცა, კანონში ამ ინსტიტუტის არსებობა წარმოადგენდა კანონმდებლის მზაობას, გაეზარდა დაცვის უფლებრივი გარანტიები, რაც ქართულ სამართალში აშკარად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. კერძო დეტექტივის ინსტიტუტის მეშვეობით დაცვის მხარეს კანონიერად და აქტიურად შეეძლო ჩაეტარებინდა „*დამოუკიდებელი გამოძიება*“.

1998 წლიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შედიოდა ცვლილებები, ფართოვდებოდა დაცვის მხარის უფლებები, რომელიც საბოლოო ჯამში დაგვირგვინდა კიდევ ერთი ახალი საპროცესო კანონის მიღებით, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წელს და მოქმედება დაიწყო 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმა რევოლუცია მოახდინა საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში. მოცემული კანონი იყო საკმაოდ დახვეწილი და პასუხობდა დემოკრატიულ მოთხოვნებს. ქართველ იურისტთა საკმაო ნაწილი დღესაც ხმამაღლა საუბრობს, რომ წინათ მოქმედი კოდექსი გაცილებით მოქნილი, ეფექტური და პრაქტიკული იყო.

საქართველოში პირველად, კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი, სადაც დაცვის მხარეს, შეედლო „კერძო გამოძიების“ მეშვეობით ან „კერძო დეტექტივის“ დახმარებით მიეღო მისთვის საჭირო მონაცემები და განეხორციელებინა ჯეროვანი, სრულყოფილი და ეფექტური დაცვა.

თავი III

გამოძიების ტრადიციული ფორმა და მისი თანაფარდობა საადვოკატო გამოძიებასთან

3.1. ტრადიციული გამოძიების არსი და მნიშვნელობა

საადვოკატო გამოძიების, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის, სრულყოფილად შესწავლის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს გამოძიების ტრადიციული ფორმის შესწავლა, მისი ცნების, სისტემის, მიზნებისა და ამოცანების დადგენა, ასევე იურიდიული ბუნების შესწავლა.

წინა თავებში ჩვენ მიმოვიხილეთ საადვოკატო გამოძიების ცნება, მნიშვნელობა და შეძლებისდაგვარად დავადგინეთ მისი სამართლებრივი ბუნება, საჭიროდ ვთვლით, რომ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი შევადაროთ ტრადიციული გამოძიების ფორმას და გამოვიკვლიოთ, აქვს თუ არა ამ ორ სამართლებრივ ინსტიტუტს რაიმე საერთო, თუ ისინი თვისობრივად განსხვავებული ინსტიტუტები არიან?

ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, უნდა მიმოვიხილოთ თავად ტრადიციული გამოძიების არსი, მისი სამართლებრივი ბუნება, შინაგანი აგებულება და მხოლოდ ამის შემდგომ შეგვეძლება გამოვიტანოთ დასკვნები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

უდავოა, რომ სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში ვერ განიხილება მანამ, სანამ კონკრეტულ საქმეზე გამოძიება არ ჩატარდება, ხოლო გამოძიების ჩატარება სავალდებულოა ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას უნდა მოხდეს პირველ რიგში, მტკიცებულებების შეგროვება, შემდგომ, მათი შემოწმება და

რელევანტურობის დადგენა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ასევე ადგენს მტკიცებულებების მოპოვების წესებს, რომლის შეუსრულებლობის ან უხეშად დარღვევის შემთხვევაში, მტკიცებულება ძალას კარგავს და იგი დაუშვებელი ხდება.

სისხლის სამართლის პროცესში მოღვაწე იურისტები ვერ თანხმდებიან “გამომძიების” ცნების ერთიან განსაზღვრებაზე. მასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია სხვადასხვა მიდგომა და თეორიები. ავტორთა ნაწილი სხვადასხვაგვარად ხსნის “გამომძიების” ცნებას, მეთოდოლოგიას, მის ფორმებსა და ამოცანებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად: გამოძიება ეს არის უფლებამოსილი პირის მიერ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებული მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

ნ. ერიაშვილის განცხადებით: „გამომძიება არის მიზანმიმართული პროცესი, რომლის მიზანს შეადგენს დანაშაულის წარსული მოვლენის რეკონსტრუქცია (აღდგენა) იმ კვალთა მიხედვით, რომელიც აწმყოშია აღმოჩენილი გამომძიებლის მიერ“¹⁷³.

სხვათა განმარტებით: „გამომძიების არსი ისაა, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ყველა ფაქტობრივი გარემოება ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულყოფილად იყოს შესწავლილი და გამოძიებული“¹⁷⁴.

ქართველ ავტორთა მიერ, გამოძიების პრობლემატიკა სხვადასხვა ასპექტში მრავალჯერ იქნა გამოკვლეული, მაგრამ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების შემდგომ, ახლებურად მოწესრიგებული გამოძიების ინსტიტუტის სიღრმისეული შესწავლა არ მომხდარა. მართალია,

¹⁷³ ნ.ერიაშვილი. (2010) წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებები : სახელმძღვ. უმაღლესი სასწავლ. სტუდენტებისათვის / რედ.: ს. ბარამიძე, მ. სულხანიშვილი. - თბ. : სამართლიანი. გვ. 6.

¹⁷⁴ ა/კ.შ.ფაფიაშვილი,მ.მამნიაშვილი,ჯ.გახოკიძე.(2013)საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი: (ზოგადი ნაწილი) გამ: იურისტების სამყარო. თბილისი. გვ. 7.

ქართველ ავტორთა მიერ პერიოდულად ქვეყნდება სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ხსენებულ თემატიკას, თუმცა, სამწუხაროდ, იგი არ არის საკმარისი პრობლემის სრულყოფილად გაშუქებისათვის.

ვიდრე უშუალოდ დავიწყებდეთ ორი სამართლებრივი ინსტიტუტის შედარებას, მანამ აუცილებელია მიმოვიხილოთ გამოძიების შინაგანი აგებულება, მისი სისტემა და მოვახდინოთ შესაბამისი ანალიზი.

გამოძიების სისტემური განხილვისას, შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე სამეცნიერო მიმართულება. პირველი მიმართულებაა ე.წ სისტემის ზოგადი თეორია, რომელიც, მისი ერთ-ერთი დამაარსებლის, ლ. ბერტალანფის აზრით წარმოადგენს “მეცნიერების ფუნდამენტურ საფუძველს”¹⁷⁵ და რომელიც, როგორც ამტკიცებს ი. ვიატკინი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც „თავისებური მოძღვრება ერთიანობაზე (მთლიანობაზე)”¹⁷⁶.

მეორე მიმართულებაა სისტემურ ანალიზზე დაფუძნებული სხვადასხვა სამეცნიერო კონცეფციების შექმნა¹⁷⁷ (მაგ: მიდგომა სხვადასხვა ობიექტთან, როგორც სისტემებთან, მათ შორის სოციალურთანაც).

მესამე მიმართულება შეიცავს სხვადასხვა პრობლემის დამუშავებას სამეცნიერო შემეცნების სისტემების შესახებ¹⁷⁸. ეს მიმართულება ატარებს მეთოდოლოგიურ ხასიათს (სამეცნიერო თეორიების აგება, სამეცნიერო აზროვნების ზოგადი მეთოდები, კვლევის ობიექტების ანალიტიკური დანაწილების პრინციპები და სხვა¹⁷⁹.)

ავტორთა უმეტესობა, მსგავსად „გამოძიების ცნებისა“, ასევე ვერ თანხმდება ტერმინ გამოძიების “სისტემის” განმარტებაზე. მიუხედავად ამისა, როგორც ამტკიცებენ ვ. სადოვსკი და მ. იუდინი, ტერმინი „სისტემა“ მოიცავს შემდეგს: 1. თვითონ სისტემა წარმოადგენს ერთმანეთთან

¹⁷⁵ Barefoot J. K. (1995) Undercover investigation. Newton, MA: Butterworth-Heinemann. P.37.

¹⁷⁶ Вяткин И.С. (2006) Суд. Философия и право. Стр. 52.

¹⁷⁷ იქვე, გვ. 52.

¹⁷⁸ იქვე, გვ. 53.

¹⁷⁹ იქვე, გვ.53

დაკავშირებულ ელემენტთა მთლიან კომპლექსს. 2. იგი წარმოქმნის განსაკუთრებულ ერთიანობას გარემოსთან. 3. როგორც წესი, ნებისმიერი გამოსაკვლევი სისტემა წარმოადგენს უფრო მაღალი წესრიგის სისტემის ელემენტს. 4. ნებისმიერი გამოსაკვლევი სისტემის ელემენტი, თავის მხრივ, როგორც წესი, გამოდის, როგორც უფრო დაბალი წესრიგის სისტემა¹⁸⁰.

გამოძიების, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის ცალკეულ სისტემად წარმოდგენის მცდელობა მე-20 საუკუნის დასაწყისშიც შეიმჩნეოდა. მაგ: ი. იაკიმოვი წერდა, რომ „გამოძიება არ უნდა იყოს შემთხვევითი და უსისტემო საპროცესო ქმედებათა ერთიანობა, არამედ, უნდა წარმოადგენდეს ერთიან, ლოგიკურად აგებულ მთლიანობას, სადაც თითოეული შემდგომი ეტაპი უნდა გამომდინარეობდეს წინა ეტაპიდან.“¹⁸¹

ვ. ბოჟიევის განმარტებით: „გამოძიების, როგორც სისტემის განხილვა, დამოკიდებულია განხორციელებულ ქმედებათა ერთობლიობასა და ხასიათზე, დანაშაულის გახსნის ეფექტურობის აუცილებლობაზე და ამ მიზნით მან განიხილა გამოძიება სამართალდამცავი საქმიანობის სისტემაში¹⁸².

ამერიკელი ავტორების აზრით: “გამოძიების არსის შესწავლისა და შემეცნებისათვის, გამოძიება უნდა წარმოვიდგინოთ სისხლის სამართლის საპროცესო სისტემაში. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფორმათა სისტემა, ეტაპების სისტემა, გამოძიების ამოცანების სისტემა და სხვა. სისტემური ანალიზის პროცესი უსაზღვროა”¹⁸³.

იგივე ავტორთა განმარტებით: “გამოძიების შემეცნების ყველა სისტემაში “გამოძიება” უნდა წარმოადგენდეს თვითონ სისტემას, ამასთან ერთად, უნდა

¹⁸⁰ Садовский В.Н., Юдин Э.Г. (1969) Исследования по общей теории систем. Стр. 22.

¹⁸¹ Якимов И.Н. (1924) Практическое руководство к расследованию преступлений», Стр. 67.

¹⁸² Божьев В.П. (1994) Уголовно-процессуальные правоотношения. Стр. 350.

¹⁸³ Chang, D. & Fagin, J. (1985) Introduction to criminal justice: Theory and application (2nd ed.). Geneva, IL: Farley Court of Publishers. P. 71

შეეძლოს ცალკეულ ქვესისტემებად, ელემენტებად დაყოფა, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაკარგოს სახე, როგორც ერთიანმა სისტემამ¹⁸⁴.

როგორც მსჯელობიდან ირკვევა, გამოძიების ინსტიტუტი მეტად საინტერესო და რთული იურიდიული ბუნებისაა, იგი შედგება საკუთარი სისტემისა და ელემენტებისაგან, ხოლო მასში ძირეული ცვლილებების შეტანა საჭიროებს ფრთხილ და სათუთ მოპყრობას, რათა არ დაზიანდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები. მაგალითად: საგულისხმოა, რომ საქართველოში მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს ქვეყანაში მომხდარ ყველა სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებას. სწორედ იგი განაპირობებს სისხლის სამართლის პროცესში, კერძოდ, კი გამოძიებაში მრავალი ინსტიტუტის ცვლილების საფუძველს, რომლებმაც უფრო უნდა განავითაროს (გააფართოვოს) ადამიანის უფლებები.

ამრიგად, გამოძიების ინსტიტუტი შემდგომშიც საჭიროებს აქტიურ კვლევასა და შესწავლას, ხოლო სისტემური ანალიზისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები კი მისი შესწავლისთვის იძლევიან ფართო, შეუზღუდავ შესაძლებლობებს.

გამოძიებას განმარტავენ, როგორც სისხლის სამართლის სამართალწარმოების დამოუკიდებელ ნაწილს, რომელსაც სტადიას უწოდებენ. როგორც სტადიას, გამოძიებას გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები (თვისებები), გამოძიებას აქვს თავისი კონკრეტული ამოცანები, რომლებიც მომდინარეობენ სისხლის სამართალწარმოების საერთო ამოცანებიდან¹⁸⁵.

ე. მარტინჩიკის განმარტებით: “გამოძიებას” ასევე გააჩნია საკუთარი სამოქმედო პრინციპები და თავისებურებები, მისთვის დამახასიათებელი გამოხატვა. ამასთან ერთად, მისი ადგილის გათვალისწინებით სისხლის

¹⁸⁴ Chang, D. & Fagin, J. (1985) Introduction to criminal justice: Theory and application (2nd ed.). Geneva, IL: Farley Court of Publishers. P. 78.

¹⁸⁵ Ларин А.М. (1986) Расследование по уголовному делу: процессуальные функции. М.: Юрид. лит., Стр. 91.

სამართლის პროცესის სისტემაში. არსებობს პრინციპებიც, რომლებიც ასევე შედიან სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების სისტემაში და ამავე დროს, განსაზღვრავენ გამოძიების სტადიის აგებასა და როლს. გამოძიებაში მოქმედებს სპეციფიკური წრე სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებისა. ამ სტადიებზე ვლინდება თავისებური სისხლისსამართლებრივი და სისხლისსამართლებრივ - საპროცესო ურთიერთობანი¹⁸⁶.

ზემოაღნიშნულის გარდა, გამოძიების პროცესისათვის დამახასიათებელია პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე შესაბამისი საპროცესო დოკუმენტების მიღება. ამ დოკუმენტების ტიპიურ სახეს წარმოადგენენ მრავალრიცხოვანი დადგენილებები და ოქმები, რომელსაც ადგენენ ის უფლებამოსილი თანამდებობის პირები, ვინც ატარებენ საგამოძიებო მოქმედებებს.

საპროცესო დოკუმენტებთან დაკავშირებით მომდევნო თავებში გვექნება საუბარი, მანამდე კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამართლის უცხოურ ლიტერატურაში, სადაც საუბარია გამოძიების თეორიაზე, უმეტესად აპელირება ხდება მხოლოდ ტრადიციულ (სახელმწიფო) გამოძიებაზე და ორიენტირად სახელმწიფო ბრალდება გვევლინება.

არც თუ ისე ხშირად შევხდებით ნაშრომებს, სადაც დაცვის მხარე გათვალისწინებულია გამოძიების შემადგენელ ნაწილად, როგორც სუბიექტად, რომლის როლიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო ბრალდების. ძირითადად, ამგვარი ნაშრომები იქმნება საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში.

ფაქტია, რომ საადვოკატო გამოძიება ჯერ კიდევ ახალი ხილია სამართლებრივ სივრცეში, თუმცა ცხადია, რომ დასავლეთსა და შეერთებულ შტატებში შეიმჩნევა სასიამოვნო ბიძგები, ადვოკატის როლისა და

¹⁸⁶ Мартыничик Е.Г. (2004) Адвокатское расследование: понятие, природа, особенности и сущность (к разработке модели). // Адвокатская практика. 2004. №1. Стр. 78.

საადვოკატო გამოძიების (როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის) გაძლიერების კუთხით.

როგორც აღვნიშნეთ, გამოძიება სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადიაა, რომელიც რეგულირებულია კანონით, ხოლო შიდა სამუშაო დოკუმენტები დამოწმებულია შესაბამისი უწყების თანამდებობის პირების მიერ, რომლებიც ასევე ჩაბმულნი არიან გამოძიების ჩატარებისა და დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ პროცესებში. მათი ძალისხმევა მიმართულია დაზარალებულის, ბრალდებულისა და გამოძიების პროცესში ჩართული სხვა პირებისათვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

დაცვის მხარისგან განსხვავებით, ტრადიციულ გამოძიებაში ბრალდების მხარეს მკაცრად აქვს განსაზღვრული, როგორც კანონით ისე შიდა ბრძანებებით კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების გეგმა. აღსანიშნავია, რომ ადვოკატი ასეთი ჩარჩოებით შეზღუდული არ არის და გამოძიების პროცესში ვერცერთი სახელმწიფო ორგანო ვერ ავალდებულებს რაიმე დოკუმენტების შექმნას ან რაიმე სავალდებულო დირექტივებით ხელმძღვანელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ „გამოძიება“ სისხლის სამართლის პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტია, ამავდროულად, იგი წარმოადგენს სამართალწარმოების დამოუკიდებელ სტადიას, რომელიც დაფუძნებულია სამართლის პრინციპებზე და გააჩნია საკუთარი შინაგანი სტრუქტურა.

თუმცა მოცემული განსაზღვრებაც არ შეიძლება მივიჩნიოთ საბოლოოდ. ამ ფენომენის შესახებ ცოდნის გაღრმავება აუცილებლად მიგვიყვანს მისი განსაზღვრების სრულყოფამდე. გამოძიება ცოცხალი ორგანიზმია და შესაბამისად, იგი განვითარებადია. აქედან გამომდინარე, განიცდის

პერიოდულ ცვლილებებს და მისი ერთ ჩარჩოში მოქცევა არ იქნება მართებული.

3.2. გამოძიება - როგორც წარსულში მომხდარი ფაქტების რეკონსტრუქცია

სამეცნიერო წრეში მყარად განმტკიცებულია მოსაზრება, რომ გამოძიების ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ფაქტების, მოვლენების შემეცნება, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წარსულში და ყოველგვარი იურიდიული გაგებით, მიეკუთვნებიან დანაშაულის კატეგორიას. ამგვარი შემეცნების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მატერიალისტური დიალექტიკა.

ამერიკელი ავტორის, ჯ. დემპსის მოსაზრების თანახმად: "გამოძიებაში, წარსულში მომხდარი მოვლენების შემეცნება ხორციელდება დიალექტურ-მატერიალისტური ასახვის თეორიის უნივერსალური კანონების მიხედვით, ვინაიდან, თავისი არსით, იგი არის სინამდვილის ასახვა. მეთოდოლოგიის ცნების ქვეშ, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მატერიალისტური ფილოსოფია გულისხმობს იდეების სისტემას, სინამდვილის შემეცნების თეორიულ წარმოდგენებს"¹⁸⁷.

ბულგარელი ფილოსოფოსი ნიკოლა სეფანოვი მიუთითებს: „მეთოდოლოგია - ეს არის განსაზღვრული თეორიების სისტემა, რომლებიც ასრულებენ სახელმძღვანელო პრინციპების როლს, იგი არის სამეცნიერო ანალიზის იარაღი.“¹⁸⁸

¹⁸⁷ Dempsey J. (2003). Introduction to investigations. Belmont, CA: Wadsworth/Thompson.p. 72.

¹⁸⁸ Быховский И.Е. (1975) Процессуальные и тактические вопросы системы следственных действий. Стр. 53.

ქართველი ავტორი შ. ფაფიაშვილი თავის სახელმძღვანელოში გამოძიების მეთოდიკას და მის მნიშვნელობას ვრცელ მონაკვეთს უთმობს. ამასთანავე, იგი განმარტავს, რომ გამოძიების მეთოდებს თავისი სახელმძღვანელო პრინციპები გააჩნიათ. ესენია: 1. გამოსაძიებელი საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი. 2. გამოსაძიებელ საქმეზე არსებული მონაცემების საფუძველზე ლოგიკური აზროვნების განვითარების გამოყენების პრინციპი. 3. მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე მიღებული ცნობების საფუძველზე გამოძიების სავალდებულო წარმოების პრინციპი. 4. გამოძიების პროცესში მონაწილე პირთა კანონიერი უფლებების უმკაცრესი დაცვის პრინციპი. 5. გამოძიების მონაცემების გახმაურების დაუშვებლობის პრინციპი. 6. მკიცხვულებათა მოპოვებისა და შინაგანი რწმენით მათი შეფასების პრინციპი. 7. გამოძიების პროცესში უდანაშაულობის პრეზუმპციისა და შეჯიბრებითობის დაცვის პრინციპი. 8. წინასწარი გამოძიების პროცესში ცოდნის გამოყენების პრინციპი. 9. ოპერატიულობა და სისწრაფე, როგორც დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების პრინციპი. 10. კრიმინალისტური თეორიისა და საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადების პრინციპი და სხვა.¹⁸⁹

გამოძიების მეთოდოლოგიის განმარტებაში უნდა ვიგულისხმოთ გამოძიების არსის შესახებ თეორიული დებულებების ერთობლიობა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის სისტემაში შემეცნებითი საქმიანობის ცალკეული ელემენტები. გამოძიების მეთოდოლოგია საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ამ საქმიანობის იურიდიული ბუნება, როგორც შემეცნების პროფესიისა, რათა დადგინდეს ჭეშმარიტება სისხლის სამართლის საქმეებზე¹⁹⁰.

¹⁸⁹ შ. ფაფიაშვილი. (2013) კრიმინალისტიკა. (განსაკუთრებული ნაწილი) დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდისა. სახელმძღვანელო გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 26-27.

¹⁹⁰ Протасевич А.А., Степаненко Д.А., Шиканов В.И. (1997) Моделирование и реконструкция исследуемого события: очерки теории и практики следственной работы. Иркутск, стр. 84.

როგორც ავტორთა განმარტებიდან ჩანს, გამოძიების მიზანს, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას უკავშირებენ. ამ მოსაზრებას ავტორთა საკმაოდ ფართო წრეც იზიარებს, თუმცა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.“

სამწუხაროდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განმარტავს თუ რა იგულისხმება საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურ გამოკვლევაში, თუმცა, იურისტთა წრეში განმტკიცებულია აზრი, რომ გამოკვლევა შეიძლება ცნობილ იქნეს სრულად მხოლოდ მაშინ, როდესაც გამორკვეული და გამოძიებულია საქმის ყველა გარემოება, როცა გადაწყვეტილი და აცილებულია ყველა წამოჭრილი ეჭვი და წინააღმდეგობა, გამორკვეულია ჩადენილი დანაშულის სრული სურათი და დანაშაულის ჩადენაში თითოეული ბრალდებულის როლი და მონაწილეობის ხარისხი.

გამოკვლევის სისრულესთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს ქართველ ავტორს პ. ტარასოვ-როდიონოვს. მისი განმარტებით: გამოკვლევის სისრულე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის ამა თუ იმ გარემოებებზე. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ გამოძიება არასრული იქნება, თუ არ გვაქვს პასუხი ცნობილი რომაული შვიდწევრიანი ფორმულის კითხვებზე: რა, ვინ, სად, როდის, რისთვის, როგორ, რით.¹⁹¹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ გამოძიების ვალდებულება არ წარმოადგენს შედეგზე ორიენტირებულ ვალდებულებას, არამედ, იგი ეხება გამოყენებულ საშუალებებს. არ არის აუცილებელი, რომ ყოველი გამოძიება წარმატებული იყოს ან გამოძიება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომელიც ემთხვევა მომჩივნის ფაქტების აღწერას;

¹⁹¹ პ.ე. ტარასოვ - როდიონოვი. (1948) წინასწარი გამოძიება. სახელმძღვანელო გამომძიებლებისათვის. რედ: მ.ა ჩელცოვ-ბებუთოვი. სახელგამი. პოლიტიტერატურის სექტორი. თბილისი. გვ. 82.

თუმცა პრინციპში, გამოძიებას უნდა შეეძლოს საქმის ფაქტების დადგენა და იმ შემთხვევაში, თუკი საჩივარი/ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, პასუხისმგებელ პირთა გამოაშკარავება და დასჯა.¹⁹²

როგორც აღვნიშნეთ, გამოძიების მიმდინარეობისას, მოვლენების შემეცნების შესაძლებელ მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკა, როგორც მოძღვრება, ბუნებაში მოვლენების განვითარებისა და ურთიერთკავშირზე. “შევიმეცნოთ სინამდვილე - ე.ი დავადგინოთ, როგორ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან ელემენტები, ნაწილები, სინამდვილის ასპექტებში, ან როგორ არ არიან ისინი დაკავშირებულნი.”¹⁹³

დანაშაულს, როგორც ობიექტური სინამდვილის მოვლენას, გააჩნია მრავალმხრივი შინაგანი და გარეგანი კავშირები, რომლებიც ატარებენ აუცილებელ ან/და შემთხვევით ხასიათს. დანაშაულის ჩადენის დროს დამნაშავე შედის სხვა პირებთან კონკრეტულ ურთიერთობაში, თავისი ქმედებით არღვევს დამყარებულ კავშირებს, საგნებს, ნივთების წესრიგს, იყენებს დანაშაულის იარაღს. ეს ყველაფერი გარკვეულ გამოხატვას (ასახვას) პოულობს შინაგან და გარეგან სამყაროში, ადამიანთა აზროვნებაში, რომლის შედეგადაც ყალიბდება ახალი ურთიერთობები, კავშირები. გამომძიებელი გამოავლენს ამ ურთიერთობებსა და კავშირებს, შეიმეცნებს სინამდვილეში მომხდარი მოვლენის არსს და ამგვარად, გახსნის მომხდარ დანაშაულს¹⁹⁴.

რადგან საუბარია წარსულში მომხდარი ფაქტების შემეცნებასა და მის რეკონსტრუქციაზე, ამასთან დაკავშირებით, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საადვოკატო გამოძიების იდეა და უშუალოდ გამოძიების პროცესი, თავის თავში არ წარმოშობს საქმეზე წარსულში მომხდარი ფაქტების რეკონსტრუქციას. საადვოკატო გამოძიება საქმის არც ყოველმხრივ და ობიექტურ შესწავლაზეა ორიენტირებული. მისი მიზანი ბრალდებულის

¹⁹² Barabanshchikov v. Russia, 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი # 36220/02, პუნქტი 54.

¹⁹³ Gilbert, J. (2004). Criminal investigation. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice Hall. p. 205

¹⁹⁴ იქვე, გვ. 207.

უფლებების დაცვა და მისი მდგომარეობის შემსუბუქებაა და ამავდროულად, გამოძიებისათვის დახმარების აღმოჩენა, რომელიც შეიძლება სხვა გზითაც იყოს მიღწეული, ვიდრე საქმეზე სინამდვილის აღდგენით.

ავტორთა უმრავლესობა თვლის, რომ სისხლის სამართალწარმოებაში სინამდვილის ყოველი მოვლენა შეიძლება იყოს შემეცნებითი, ყველა სისხლის სამართლის საქმე იყოს გახსნილი და დადგინდეს ჭეშმარიტება. თუმცა ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო დასკვნების გადაქცევა უტყუარ მტკიცებულებებად რთულდება ან საერთოდ შეუძლებელია, რასაც ზოგიერთი ავტორი მიჰყავს დასკვნამდე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, გამოძიებაში შეუძლებელია ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. მაგ: ა. პიგოლკინი წერს: „არ უნდა შევიქმნათ ილუზია და ვივარაუდოთ, რომ სინამდვილის რეკონსტრუქცია მიღწევადია ნებისმიერ საქმეზე. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც მიუხედავად დიდი ძალისხმევისა და ყველა კანონიერი ხერხის გამოყენებისა, შეუძლებელია საკმარისი მტკიცებულებების მოგროვება, მათი უტყუარობის დადგენა, ეჭვის და გაუგებრობის ბოლომდე გაფანტვა.“¹⁹⁵

თუმცა, უნდა დავეთანხმოთ მათ ოპონენტებსაც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არ არსებობს გაუხსნელი დანაშაული, არამედ, არსებობს მხოლოდ ცალკეული გაუხსნელი დანაშაულები, რომელთა გაუხსნელობის მიზეზს წარმოადგენს შეცდომები ან/და ნაკლოვანებები, რომელიც დაშვებულია გამოძიების ან სასამართლო განხილვის დროს, ან უუნარობა სიძნელების გადალახვის და უტყუარი დასკვნების გამოტანის¹⁹⁶.

ნ. იაკუბოვიჩი წერს, “რა პირობებშიც არ უნდა მოქმედებდეს დამნაშავე, რა ზომებიც არ უნდა მიიღოს დანაშაულის დასაფარად, ყოველთვის რჩება თუნდაც მინიმალური კვალი მისი დანაშაულებრივი მოქმედებისა. აზრი იმის

¹⁹⁵ Пиголкин А.С. (2003) Теория государства и права. Стр. 47.

¹⁹⁶ Азаров В. А., Ревенко Н. И., Кузембаев М. М. (2006) Функция предварительного расследования в истории, теории и практике уголовного процесса России. Омск Стр. 118-119.

შესახებ, რომ დამნაშავეს შეუძლია ჩაიდინოს დანაშაული ისე, რომ არ დატოვოს რაიმე კვალი, მცდარია, რადგან იგი ეწინააღმდეგება მოვლენების კანონზომიერებასა და ურთიერთკავშირს”¹⁹⁷.

ზემოხსენებულს მივყავართ დასკვნამდე, რომ შემეცნების პრინციპი წარმოადგენს გამოძიების მეთოდოლოგიურ საფუძველს და თავისი არსით, იგი არის ასახვის პრინციპი. სწორედ, ასახვის პრინციპი ქმნის პრაქტიკულ შესაძლებლობას, რომ გამოძიების დროს დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება.

ვ. ბენეტის განმარტებით: „ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევა სისხლის სამართალწარმოებაში არის გამოძიების სტადიის ერთ - ერთი ამოცანა. იგი საშუალებას იძლევა გაკეთდეს ორიენტირი დანაშაულის სრულ გახსნაზე, დამნაშავის მხილებაზე, დანაშაულის მოტივის დადგენაზე, მისი ხასიათისა და მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრაზე“¹⁹⁸.

ამრიგად, გამოძიების მიმდინარეობისას მისაღწევი ცოდნის წერტილი შეიძლება აღინიშნოს, როგორც მომხდარი ფაქტის სრული რეკონსტრუქცია.

რ. ოგელის განმარტებით: “ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის პროცესში იწყება ობიექტური სინამდვილის ასახვის პროცესი ადამიანის ცნობიერების მიერ”¹⁹⁹. მისივე განმარტებით: „ობიექტური ჭეშმარიტების პროცესის შემეცნება სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში ხორციელდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: “ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებამდე და მისგან პრაქტიკამდე - ასეთია ჭეშმარიტების შეცნობის, ობიექტური რეალობის შეცნობის დიალექტიკური გზა.”²⁰⁰

შემეცნების თეორიის დასახელებულ დებულებებს სისხლის სამართალწარმოებაში შეცნობისათვის გააჩნიათ მეთოდოლოგიური

¹⁹⁷ Якубович Н.А. (1971) Теоретические основы предварительного следствия. Стр. 78.

¹⁹⁸ Bennett, W. W., & Hess, K. M. (2004). Criminal investigation (7th ed.). Belmont, CA: Wadsworth/Thompson. p. 112.

¹⁹⁹ Ogle, R. (2004). Crime scene investigation and reconstruction. Upper Saddle River, NJ: Prentice-Hall. P. 84.

²⁰⁰ იქვე, გვ. 93.

მნიშვნელობა, კერძოდ, გამოძიების დროს, შემეცნება ხორციელდება არა მარტო თვით გამომძიებლის დასარწმუნებლად, რამდენად ალიქვა მან ფაქტები სინამდვილის მისაღწევად, არამედ მათ დასადასტურებლადაც. ეს უკანასკნელი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ გამომძიებლის მიერ დადგენილი ფაქტების სისწორე და დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ მოხდება მოპოვებული მასალების შეფასება სასამართლოს მიერ.

ყოველივე ზემოთ ხსენებული მიუთითებს შემდეგზე, რომ გამოძიებაში შემეცნება ხორციელდება მხოლოდ მტკიცების გზით, ხოლო მტკიცება სისხლის სამართალწარმოებაში ხორციელდება საპროცესო ნორმების დაცვით.

ამრიგად, გამოძიებისას, შემეცნება ატარებს მტკიცებით ხასიათს, მისი მიზანია წარსულში მომხდარი ფაქტის სრული რეკონსტრუქცია, რომელიც შეესაბამება როგორც სისხლის სამართალწარმოების პრინციპებს, ასევე გამოძიების ამოცანებსაც.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რადგან გამოძიების ტრადიციული ფორმის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს წარსულში მომხდარი ფაქტების სრული რეკონსტრუქცია, იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტისაგან, რადგან ამ უკანასკნელისათვის არც სავალდებულოა და არც დამახასიათებელი ამგვარი სინამდვილის დადგენისაკენ სწრაფვა.

ამავდროულად ჩვენ ვიზიარებთ იმ პოზიციას, რომ როგორც ზოგადად სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე გამოძიების ეტაპზეც, უნდა დადგინდეს ჭეშმარიტება ან მინიმუმ, კანონმდებლის ორიენტირი აქეთ იყოს მიმართული და არ იყოს ჭეშმარიტება იგნორირებული.

ტრადიციული გამოძიების საადვოკატო გამოძიებასთან შედარებისას, ცალსახად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ ინსტიტუტს, მართალია, გააჩნია თავისი საქმიანობის მეთოდოლოგიური საფუძველები, თუმცა, იგი რადიკალურად განსხვავებულია ტრადიციული გამოძიებისაგან, რადგან

საადვოკატო გამოძიება, არც წარსულში მომდარი ფაქტების რეკონსტრუქციისაკენ არის მომართული და არც ობიექტური სინამდვილის დადგენისაკენ მიისწრაფვის.

3.3. ტრადიციული გამოძიების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები

მსგავსად გამოძიების ცნების განსაზღვრებისა, ავტორებს გამოძიების მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებითაც სხვადასხვა შეხედულებები გააჩნიათ.

სამართალწარმოებაში გამოძიების ამოცანებს, როგორც წესი, წარმოადგენს დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავის მხილება, კანონის სწორად გამოყენების უზრუნველყოფა, ყველა ჩადენილი დანაშაული უნდა იყოს გახსნილი და დამნაშავეს შეეფარდოს სამართლიანი სასჯელი, არცერთი უდანაშაულო ადამიანი არ უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სისხლის სამართალწარმოება უნდა უზრუნველყოფდეს კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვას, უნდა ჩატარდეს შესაბამისი აუცილებელი ღონისძიებები დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის, მკაცრად უნდა იყოს დაცული საზოგადოების ინტერესები, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, თითოეული მოქალაქის ვალია პატივი სცეს ქვეყნის კონსტიტუციას და განუხრელად დაიცვას იგი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი გამოძიების ამოცანების ან თუნდაც მისი ცალკეული სტადიების დეტალურ აღწერას არ გვთავაზობს. ზოგიერთი ავტორის აზრით, “თუ კანონში დეტალურად არ არის

გაწერილი თითოეული ინსტიტუტის სრული მნიშვნელობა, ასეთი კანონმდებლობა უმწეოა”²⁰¹.

რუსი ავტორის ა. დუბინსკის აზრით: “სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას, არ გააჩნიათ საყოველთაო მიზანი, რომლის მისაღწევადაც უნდა ისწრაფვოდნენ. ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის მძიმე, გაუარესებული მაჩვენებელი”²⁰².

ავტორთა განმარტებით, სისხლის სამართალწარმოების მთავარი არსი მდგომარეობს დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ კანონიერი, დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანასა და სამართლიანი სასჯელის შეფარდებაში.

“გამოძიების” თემატიკას და კონკრეტულად გამოძიების ამოცანების ნაწილს, რამოდენიმე ავტორი თავის სამეცნიერო ნაშრომში შეეხო. ამოცანათა შესახებ ავტორთა განსაზღვრებები თითქმის ერთგვარია, განსხვავება მხოლოდ მათ მოცულობასა და რაოდენობაშია. მაგ: ამერიკელი იურისტი ე. ბაიბიე გამოძიების ამოცანებად თვლის შემდეგს: “დანაშაულის გახსნა, პიროვნების გამოვლენა და ბრალეული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, საქმის მასალების მომზადება”²⁰³.

ნ. პოლიანსკი წერდა: ”გამოძიება უნდა ჩატარდეს სრულყოფილად და ამომწურავად, იგი მიმართული უნდა იყოს დანაშაულის გახსნისკენ, გამოავლინოს და ამხილოს დანაშაულის ყველა მონაწილე პირი, შეაგროვოს და შეამოწმოს საქმისათვის საჭირო ყველა მტკიცებულება, ნათელი მოჰფინოს საქმის დეტალებს, დაიცვას უდანაშაულო ადამიანები დაუსაბუთებელი

²⁰¹ Макарова З. В. Уголовно-процессуальная функция следователя в российском уголовном судопроизводстве. Тюмень, 2006. Стр. 121.

²⁰² Дубинский А.Я. (1975) Прекращение уголовного дела в стадии предварительного расследования. Киев. Стр. 130.

²⁰³ Babbie E. (2004). The practice of social research (10th ed.). Belmont, CA: Wadsworth/Thompson. p. 31.

ბრალდებისაგან”²⁰⁴. ამ ჩამონათვალში ავტორი საუბრობს გამოძიების ამოცანებზე, თუმცა არ ხმარობს ტერმინს “ამოცანები”.

ამავე ნაშრომში ავტორი მიუთითებს: “დანაშაულის გახსნა, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა, მხილება და მისი მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ ამოწურავს გამოძიების უშუალო ამოცანებს. საქმე მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გამოძიებულად, როდესაც გამომძიებელი გამოიკვლევს იმ მიზეზებსა და პირობებს, რომლებმაც გამოიწვიეს დანაშაულის ჩადენა”²⁰⁵.

ა. გულიაევი თვლის, რომ “გამოძიების ამოცანებს წარმოადგენს დანაშაულის სწრაფი და დროული გახსნა, დამნაშავეთა მხილება. კანონის შესაბამისად, თითოეული დამნაშავეს მიცემა პასუხისგებაში, მოქალაქეთა დაცვა უსაფუძვლო ბრალდებისგან”²⁰⁶.

რუსი ავტორი ა.ხალიულინი თვლის, რომ გამოძიებას ნათლად ჩამოყალიბებული ამოცანები გააჩნია და ესენია: “დანაშაულის დროულად გახსნა, ბრალდებულის მიცემა პასუხისგებაში და ყველა აუცილებელი პირობის შექმნა სასამართლოსათვის გადასაცემად, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება, იმ პირობებისა და მიზეზების გამოვლენა, რაც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას”²⁰⁷.

ქართველ ავტორთა განმარტებით: „გამოძიების მიზანია - დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა; ბრალეული პირის მხილება დანაშაულის ჩადენაში, საკმარისი მტკიცებულებების ბაზის შექმნა სასამართლო განხილვის ჩასატარებლად, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. გამოძიების ამოცანაა დანაშაულის ფაქტის და მის ჩადენაში ბრალეული პირის დადგენა, მტკიცებულებათა შეკრება, შემოწმება, შეფასება,

²⁰⁴ Полянский Н. Н. (1947) Учение о материальной истине в уголовном процессе. Стр. 276.

²⁰⁵ იქვე, გვ. 278.

²⁰⁶ Гуляев А.П. (1981) Следователь в уголовном процессе. М.: Юридическая литература, Стр. 48.

²⁰⁷ Халиулин А.Г. (1997) Осуществление функции уголовного преследования прокуратурой России. Кемерово: Кузбассвузиздат. Стр. 88.

საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების დადგენა და ზომების მიღება მათი აღმოფხვრისათვის²⁰⁸.

საინტერესოა ქართველი ავტორის მ. ქურდაძის განმარტება: „როგორც წესი, გამოძიების ამოცანაა სრული სიზუსტით აღადგინოს სინამდვილეში მომხდარი ფაქტი“²⁰⁹.

გამოძიების ამოცანებთან დაკავშირებით საინტერესო შეხედულება აქვს ამერიკელ ავტორს ს. ბრანდელს. მისი განმარტებით: „გამომძიებლის ამოცანები არ განისაზღვრება მხოლოდ დანაშაულის გახსნით, ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა გამოვლინებით და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით. მან უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის დანაშაულებრივი მოქმედებებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, აგრეთვე, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, დანაშაულის ჩადენის ხელის შეწყობი მიზეზების აღსაკვეთად, დანაშაულის წინასწარ ასაცილებლად.“²¹⁰

პ. ელკინდი ერთმანეთთან აიგივებს გამოძიების მიზნებსა და ამოცანებს. ავტორს მიზნებად მიაჩნია: დანაშაულის გარემოებების უფრო მეტად დეტალებში შესწავლა, დამნაშავეთა მხილება, მტკიცებულებათა შეგროვება, მათი შეფასება, საქმეზე დართვა და სასამართლოსათვის გადაგზავნა.²¹¹

ამერიკელი ავტორი ჯ. ბეირფუტი თვლის, რომ გამოძიების წინაშე დგას ექვსი, ერთმანეთთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანა და მიზანი: 1. მომხდარ დანაშაულზე საგამომძიებო და სასამართლო ორგანოების სწრაფი რეაგირება; 2. თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური

²⁰⁸ ავტ. კოლ. ხელმძღვ. და რედ. რეზო გოგშელიძე, ი. აქუზარდია, ლ. ფაფიაშვილი და სხვ. (2008) სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი. გამ: „სამართალი“. თბილისი. გვ. 8.

²⁰⁹ მ.ქურდაძე. (1972) გამოძიების დამთავრების ძირითადი საკითხები. გამ: საბჭოთა საქართველო. თბილისი. გვ. 3.

²¹⁰ Brandl S. (2004) Criminal investigation. Boston: Pearson Education. P. 82.

²¹¹ Элькин П. (1959) Расследование и судебное рассмотрение дел о невменяемых. Стр.129.

ქეშმარიტების დადგენა; 3. დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემის უზრუნველყოფა; 4. ბრალდებულისათვის სამართლიანი განაჩენის გამოტანა; 5. უდანაშაულო ადამიანის პასუხისგებაში მიცემის დაუშვებლობა; 6. მაქსიმალური აღმზრდელობით - გამაფრთხილებელი ეფექტის მიღწევა²¹².

რაც შეეხება საკითხს, რომ გამოძიების ამოცანები ამავდროულად წარმოადგენენ სისხლის სამართალწარმოების ამოცანებსაც, ამ შეფასებას ყველა ავტორი ერთხმად ეთანხმება.

ზემოთ ჩამოთვლილი გამოძიების ამოცანებიდან, გარდა სამართლიანი სასჯელის შეფარდებისა, ყველა მათგანის განხორციელება ხდება გამოძიების სტადიაზე. პ. ეფიმიჩევი, თავის ნაშრომში აღწერს გამოძიების ამოცანების შესახებ მოსაზრებას, სადაც განმარტებულია, რომ “კანონმდებლობაში ვიზუალურად ჩანს მხოლოდ უახლოესი და ძირითადი ამოცანები, თუმცა ისინი თავის თავში აიგივებენ სხვა ამოცანებსაც”²¹³. მისივე აზრით: “გამოძიების მიზნები ყალიბდება და ხორციელდება სხვა სოციალური ინსტიტუტების და სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობით და გამომძიებლის წვლილი მათ მიღწევაში ახლანდელ დროში უკვე ნაკლებად ჩანს”²¹⁴.

როგორც კვლევა აჩვენებს, საკმაოდ სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს გამოძიების მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებით. კონკრეტულ სტადიაზე გამოძიების ამოცანების ზუსტ განსაზღვრას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ავტორები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთში ურევენ “ამოცანებისა” და “მიზნების” მნიშვნელობას. როგორც ზემოთ აღვწერეთ, ზოგ ავტორს ერთმნიშვნელოვნად მიაჩნია ეს ორი ტერმინი და მათში სხვაობას ვერ ხედავს. ვფიქრობთ, დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია გავარკვიოთ ტერმინების “მიზანი” და

²¹² Barefoot, J. K. (1995) Undercover investigation. Newton, MA: Butterworth-Heinemann. p. 226.

²¹³ Ефимичев П.С. (2007) Следственные действия по уголовно-процессуальному праву России. Стр. 83.

²¹⁴ იქვე, გვ. 86.

“ამოცანა” მნიშვნელობა. ტერმინი “მიზანი” განიმარტება, როგორც მისწრაფება, რაღაცის განხორციელება. ტერმინი “ამოცანა” კი ის, რასაც სჭირდება შესრულება, გადაწყვეტა”²¹⁵.

რუსი ავტორის ა. ლარინის მოსაზრებების თანახმად, “არ შეიძლება ტერმინების “ამოცანა” და “მიზანი” გაიგივება, ის ფიქრობს, რომ ეს ორი აბსოლუტურად დამოუკიდებელი, ერთმანეთისგან შინაარსით განსხვავებული მისწრაფებაა მათი მოცულობის, პერსპექტიულობისა და შინაარსის მიხედვით”²¹⁶.

ზემოთხსენებულის საპირისპიროდ პ. ელკინდი წერს: ნებისმიერი სახის არგუმენტი და მცდელობა, რომელიც აცალკევებს მიზანსა და ამოცანას ერთმანეთისგან მათი შინაარსის მიხედვით, არის ხელოვნურად გამოგონილი. მოცემული ტერმინების განმსაზღვრელი ნიუანსები დევს არა მათ შინაარსობრივ განსხვავებაში, არამედ მათი სხვადასხვა ასპექტებში გამოყენების შესაძლებლობაში. ტერმინი “მიზანი” – ფილოსოფიური მნიშვნელობისაა. ტერმინი - “ამოცანას” კი გააჩნია პრაქტიკული, ცხოვრებისეული გამოყენება”²¹⁷.

პ.ელკინდის მოსაზრების თანახმად, როდესაც ტერმინს განვიხილავთ მისი ფილოსოფიური გაგების მიხედვით, უნდა გამოვიყენოთ სიტყვა “მიზანი”. ხსენებულ ტერმინს გააჩნია ფილოსოფიური გაგების ოთხი სახე. 1. შინაგანი (როგორც ადამიანის მოთხოვნილებების აზრობრივი ასახვა). 2. გარეგანი (როგორც გარეშე სამყაროს, ობიექტურად, რეალურად არსებული სინამდვილის ობიექტური ასახვა). 3. სუბიექტური (ვინაიდან მიზნები

²¹⁵ Гаврилов А.К., Ефимичев С.П., Михайлов В.А., Туленков П.М. (1975) Следственные действия по советскому уголовно-процессуальному праву. Стр. 245.

²¹⁶ Ларин А.М. (1986) Расследование по уголовному делу: процессуальные функции. М.: Юрид. лит. Стр. 190.

²¹⁷ Элькин П. (1959) Расследование и судебное рассмотрение дел о неменяемых. Стр. 142.

წარმოიქმნება ადამიანთა ცნობიერებაში). 4. ობიექტური (ისინი განისაზღვრება საბოლოო ჯამში საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობებით)²¹⁸.

იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარი ეხება “ტერმინის” შინაარსის გამოხატვას ქცევის განსაზღვრულ წესებში, ნორმატიულ აქტებში, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობისაკენ, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ სიტყვა “ამოცანა”²¹⁹.

ჩვენ მიმოვიხილეთ ტერმინები გამოძიების ამოცანებსა და მიზნებთან დაკავშირებით და დიდი სხვაობა ვერ აღმოვაჩინეთ. როგორი გაგებითაც ან როგორი მეთოდოლოგიითაც არ უნდა გამოვიკვლიოთ იგი, ფაქტია, რომ გამოძიების ამოცანებსა და მის მიზნებს შორის ძალიან მჭიდრო კავშირია მისწრაფებების კუთხით.

ანალიზის შედეგად, ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ განსახილველ საკითხში იდეათა კონკურენცია. ამასთან ერთად, ნამდვილად დავრწმუნდით მათ ურთიერთ დამოკიდებულებაზე.

ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ იურისტთა შეხედულებანი გამოძიების ამოცანებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი შეეხებოდა სახელმწიფო (ტრადიციულ) გამოძიებას, ანუ საკითხი დაკავშირებული იყო სახელმწიფოს მიერ წარმოებულ გამოძიებაზე. თუ შევადარებთ ავტორთა მიერ დასახელებული გამოძიების მიზნებსა და ამოცანებს საადვოკატო გამოძიების ამოცანებთან, მივხვდებით, რომ ამ ორ ინსტიტუტს ერთმანეთთან არანაირი კავშირი არ გააჩნიათ, რადგან ზემოთ დასახელებული ამოცანებიდან, არცერთი არ ხვდება საადვოკატო გამოძიების ინტერესებში.

ტრადიციული გამოძიების მიზნებისა და ამოცანების შესწავლის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ტრადიციული გამოძიების მიზნებსა და ამოცანებს არავითარი მსგავსება ან საერთო არ გააჩნია საადვოკატო გამოძიების

²¹⁸ Элькин П. (1959) Расследование и судебное рассмотрение дел о невменяемых. Стр. 143.

²¹⁹ იქვე, გვ. 143.

მიზნებთან მიმართებაში, რადგან, ჩვენს მიერ ნახსენებ სამართლებრივ ინსტიტუტებს, საქმიანობის პროცესში სხვადასხვა მისწრაფებები გააჩნიათ.

3.4. გამოძიების ცალკეული ეტაპები და მათი თავისებურებები

დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა, კანონების მკაცრად დაცვის უზრუნველყოფა და პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სახელმწიფოს ეფექტურ სამართლებრივ მექანიზმებზე.

სახელმწიფოს მიერ ამგვარი რეაგირების სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს გამოძიება, რომელსაც გააჩნია თავისი ცალკეული ეტაპები და ისევე როგორც ყველა სხვა ცოცხალ ორგანიზმს, გააჩნია საკუთარი მწყობრი სისტემა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოძიება წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ ნაწილს - საპროცესო ეტაპს. ამ ეტაპის სტრუქტურული აგებულება განისაზღვრება ამოცანათა ერთობლიობით.

გამოძიება - ეს არის გარკვეულ ქმედებათა და საქმიანობათა განსაზღვრული, მწყობრი სისტემა. იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც ერთიანი მთელი, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული, დამოუკიდებელი ნაწილებისგან. რასაკვირელია, გამოძიებას აქვს სხვადასხვაგვარი დასასრული და ზოგიერთი ასეთი დასასრულის დროს, ცხადია, გამოყენებული არ იქნება მისთვის დამახასიათებელი ყველა ეტაპი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოძიების ეტაპების შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება. იურისტთა ერთი რიგი ამ ეტაპებს ყოფს ორ ნაწილად: 1. საქმის წარმოებაში მიღების მომენტიდან პირის სისხლის

სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე და 2. პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემიდან საქმის საბოლოო დასრულებამდე²²⁰.

ავტორთა ნაწილი, საუბრობს მის სამ ნაწილად დაყოფაზე. 1. ზოგადი გამოძიება (გამოძიება ბრალდებულის გარეშე) 2. სპეციალური გამოძიება ბრალდებულის მონაწილეობით 3. გამოძიების დამამთავრებელი ეტაპი²²¹.

ხოლო ავტორთა კიდევ ერთი ჯგუფი თვლის, რომ მოცემული ეტაპი შედგება ხუთი დამოუკიდებელი ნაწილისაგან: 1. საგამოძიებო საქმიანობის წარმოება და გადაწყვეტილების მიღება პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის თაობაზე 2. პირის ბრალდებულად ცნობა, ბრალის წაყენება და ბრალდებულის დაკითხვა. 3. ბრალდებულის დაკითხვის შემდეგ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება 4. გამოძიების დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და მიღებული შედეგების წარდგენა პროცესის მონაწილეთათვის, ასევე დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების წარმოება 5. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან საქმის გადაგზავნა სასამართლოში²²².

ავტორთა მიერ შემოთავაზებული გამოძიების ეტაპები და მისი სისტემის სხვადასხვა ვარიანტები ზოგადად, სწორად ასახავენ მის არსს და ხაზს უსვამენ მის ცალკეულ ელემენტებს და შეძლებისდაგვარად, სრულად ხსნიან მის ყველა თავისებურებას.

ა. შატალოვის აზრით “გამოძიების, როგორც სისტემის განხილვის დროს, უნდა გამოიყოს მისი დამოუკიდებელი ნაწილები, თვითონ სისტემა კი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთმანეთით განპირობებული ნაწილების ერთობლიობა. თითოეული ნაწილი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1. ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი 2.

²²⁰ Swanson C. R., Chamelin, N. C., & Territo, L. (2003) Criminal investigation. New York: McGraw-Hill. P. 241.

²²¹ Brandl, S. (2004). Criminal investigation. Boston: Pearson Education. P. 189.

²²² Шаталов А.С. (2006) Предварительное расследование. Учеб.-метод. пособие. М.: Изд. ГУ ВШЭ. Стр. 188.

წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ინსტიტუტს, რომლებიც რეგულირდება სისხლის საპროცესო კანონით 3. გააჩნდეს დამოუკიდებელი სისხლის სამართლის საპროცესო მნიშვნელობა, თავისი ამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოძიების სტადიის ამოცანების განხორციელებას. 4. თითოეული ასეთი ნაწილი გამოხატული უნდა იყოს დამოუკიდებელი საპროცესო დოკუმენტით ან დოკუმენტთა ერთობლიობით 5. ნაწილები, ძირითადად განლაგებულნი უნდა იყვნენ ერთმანეთის მიყოლებით, ლოგიკური თანმიმდევრობით”²²³.

ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვყოთ გამოძიების შემდეგი ეტაპები: 1. გადაწყვეტილება საქმის წარმოებაში მიღების თაობაზე; 2. საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ან კომპლექსური მოქმედებების წარმოება, რომელიც მიმართულია სინამდვილის დადგენისა და მომხდარი დანაშაულის სურათის აღსადგენად; 3. ბრალის წაყენება, სხვა საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება, რომელიც მიმართულია ბრალდებულის ჩვენების შემოწმებისათვის და საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოების დასადგენად; 4. გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დასრულებაზე და გამოძიების შედეგად მოპოვებული მასალების გაცნობა პროცესის მხარეთათვის ან სხვა მონაწილეთათვის; 5. ბრალდების მხარის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და საქმის გადაგზავნა სასამართლოში.

ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს “გამოძიების” ეტაპებს და მისი განხორციელების სისტემას. ეს არის გზა, რაც უნდა გაიაროს სისხლის სამართლის საქმემ, მისი წარმოებაში მიღებიდან, სასამართლოში გადაგზავნამდე.

ამას გარდა, ცალკეულ შემთხვევებში, სრულებით შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმემ ზემოხსენებული ეტაპები არ გაიაროს. ეს ის

²²³ Шаталов А.С. (2006) Предварительное расследование. Учеб.-метод. пособие. М.: Изд. ГУ ВШЭ. Стр. 189.

შემთხვევაა, როდესაც სისხლისამართლებრივი დევნა შეიძლება შეწყდეს, მოხდეს განრიდება ან გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება.

როგორც კვლევიდან ირკვევა, იურისტებს, ასე თუ ისე, ერთგვარი შეხედულება აქვთ გამოძიების ცალკეულ ეტაპებთან დაკავშირებით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც საუბარია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ წარმოებულ გამოძიებაზე.

თუ გავავლებთ პარალელს საადვოკატო გამოძიებასთან, ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ გარკვეული საერთო ეტაპები, მაგალითად: საქმეში ადვოკატის მონაწილეობა სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებიდან, შემდგომ ადვოკატის მონაწილეობა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში, მისი მონაწილეობა სასამართლო განხილვაში, თუმცა ადვოკატი არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების ან არ დაწყების შესახებ, ასევე მიიღოს გადაწყვეტილება მის შეჩერებასა ან შეწყვეტაზე. გამოძიების დაწყებისა და დასრულების საჭე ყველა შემთხვევაში სახელმწიფოს ხელთაა.

რუსი ავტორის მ. ვიდრიას განმარტებით, „სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტა, გამოძიების დასრულების ცალკეული და დამოუკიდებელი ეტაპია. გამოძიების დასრულება არ უნდა ჩავთვალოთ ერთ ეტაპად, რომელიც იგულისხმებდა გამოძიების დასრულებას, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნას, სასამართლო განხილვას ან სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას. ყველა დასახელებული გამოძიების ფორმები მკვეთრად განსხვავდება არა მარტო შინაარსითა და ამოცანებით, დამდგარი იურიდიული შედეგით, არამედ, საპროცესო გაფორმების წესითაც. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან პროცესის მონაწილეთა წრითაც“²²⁴.

²²⁴ Выдря М. М. (1980) Расследование уголовного дела - функция уголовного процесса // Советское государство и право. Стр. 78-79.

ყოველივე ზემოთაღნიშნულს მივყავართ დასკვნამდე: გამოძიების დასრულების თითოეული დასახელებული ფორმა უნდა განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი ეტაპი, როგორც გამოძიების დამოუკიდებელი ნაწილი. რთული არ არის შევნიშნოთ, რომ თითოეული დასახელებული გამოძიების დასრულების ფორმა გამოირიცხავს ორ სხვა დანარჩენს.

ამას გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა სისხლის სამართლის საქმეზე წარმოადგენს დამოუკიდებელ ეტაპს. მას არეგულირებს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების ერთობლიობა და ახასიათებს სპეციფიკური სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის წარმოშობა.

ამრიგად, თითოეულ სტადიაში შეიძლება თავისი გამოვლინება ჰქონოს გამოძიების ყველა ნაწილმა, რომელთაც გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა. თითოეული მათაგანისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ამოცანათა სპეციფიკურობა, რომლებიც მომდინარეობენ გამოძიების ეტაპის ამოცანებიდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოძიების თითოეული ნაწილი სპეციფიკურია სამართალურთიერთობის წარმოშობითა და განვითარებით, მონაწილეთა წრით, შესადგენი საპროცესო დოკუმენტების ხასიათით.

ზ. მაკაროვას განმარტებით: „გამოძიების“ პირველი ეტაპი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად – გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დაწყების შესახებ. თუმცა, გამოძიების ეს ეტაპი არ შემოიფარგლება მხოლოდ გადაწყვეტილებით, მიიღოს სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში. აქ ასევე განიხილება თანმდევი საკითხები მოსალოდნელი ან სავარაუდო შედეგების შესახებ“²²⁵.

გადაწყვეტილების მიღება, საქმის წარმოებაში მიღების შესახებ წარმოშობს შესაბამის სამართალურთიერთობებს, რაც ავალდებულებს გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმეზე აწარმოოს გამოძიება, რომელიც

²²⁵ Макарова З. В. (2006) Уголовно-процессуальная функция следователя в российском уголовном судопроизводстве. Тюмень, Стр. 221.

უნდა იყოს სრულყოფილი და ობიექტური. მისივე უფლებაა გამოიყენოს შესაბამისი საპროცესო იძულების ღონისძიებები და ისარგებლოს კანონით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებებით.

ზემოთ განხილული ეტაპები, ერთობლიობაში შეადგენენ გამოძიებას, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ ინსტიტუტს. მათგან ერთის გამოკლებაც უკვე აღარ იძლევა შესაძლებლობას, სრული მოცულობით მოხდეს გამოძიების ეტაპების და მათი ამოცანების რეალიზება, უზრუნველყოფილი იქნას კანონების მკაცრი დაცვა და პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.(გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ)

თითოეული ეტაპი, თავის მხრივ, შედგება საპროცესო მოქმედებებისგან, გადაწყვეტილებებისგან, ამ დროს წარმოშობილ სამართალ - ურთიერთობებისგან, მათი საპროცესო გაფორმებისგან. ეს საქმიანობა მიმართულია მტკიცებულებების შეგროვების, შემოწმების, საქმეზე დართვის და შეფასებისკენ, პიროვნების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისკენ, კანონიერების უზრუნველსაყოფად და მთლიანობაში გამოძიების ამოცანების შესრულებისკენ. საპროცესო მოქმედებების და გადაწყვეტილებების ერთობლიობა, მათი საპროცესო გაფორმება შეადგენს “გამოძიების” სისტემას და ამ სტადიის შინაარსს.

გამოძიების ჩატარების უზრუნველყოფა რეგულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით. როგორც კონკრეტულ სისხლის სამართალს საქმეზე შეიძლება არ ჰქონდეს გამოძიების ყველა ეტაპს ადგილი, ასევე ყველა საპროცესო მოქმედებამ და გადაწყვეტილებამ შეიძლება ვერ ჰპოვოს ასახვა საქმის მასალებში. ზოგიერთი მოქმედება შეიძლება საერთოდ არ ჩატარდეს მათი არასაჭიროების გამო. მათი ჩატარება დამოკიდებულია გამომძიებლის შეხედულებაზე. მას შეუძლია ცალკეული გარემოებები დაადგინოს სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების გზით. გამომძიებელი/

პროკურორი წყვეტს, ყველა შემთხვევაში რომელი საპროცესო საშუალება იქნება უფრო ეფექტური და რომელი გამოიყენოს.

ამასთან ერთად, კანონმდებელი ადგენს ცალკეულ საგამომიებო მოქმედებებს, როგორც სავალდებულოს. თუ ისინი არ იქნება ჩატარებული, მაშინ კონკრეტული გარემოებები შეიძლება არ ჩაითვალოს კანონიერად ან გამომიებულად. მაგ: ექსპერტიზის ჩატარება აუცილებელია სიკვდილის მიზეზის დასადგენად, ზიანის ხასიათისა და ხარისხის განსასაზღვრად, ბრალდებულის ფსიქიური მდგომარეობის განსასაზღვრად თუ ჩნდება ეჭვი, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს ფსიქიკური პრობლემები და მის მიმართ აკრძალულიც იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. დასახელებული და ზოგიერთი სხვა გარემოება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ექსპერტიზის ჩატარების გზით, ვინაიდან, სხვა საშუალებით მათი დადგენა შეუძლებელია.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ გამომიებლისათვის ცალკეული საპროცესო თუ საგამომიებო მოქმედებების ჩატარება არა თუ სავალდებულოა, არამედ კონკრეტულ შემთხვევებში კანონმდებელი აწესებს მათი ჩატარების ვადებსაც და ზოგიერთ შემთხვევაში, რიგითობასაც. მაგალითად, პიროვნებას ჯერ მისი კანონიერი უფლებები უნდა განემარტოს და მხოლოდ ამის შემდგომ წარედგინოს ბრალი. ასევე პირის დაკავებისას, კანონმდებელი კონკრეტულ ვადას საზღვრავს მისთვის ბრალის წარსადგენად, ასევე გაწერილია ის ვადებიც თუ რა ვადაში უნდა მოხდეს პირის პირველი წარდგენა სასამართლოში და ა.შ.

დასკვნის სახით შეგვიძლია ცალსახად დავადასტუროთ, რომ გამომიების ტრადიციულ ფორმას გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ეტაპები და იგი მნიშვნელოვნად განსხვავებულია საადვოკატო გამომიებისაგან.

საადვოკატო გამომიება არ იყენებს იმ ეტაპებს და არ ხასიათდება იმ სისტემით, რაც აუცილებელია ტრადიციული გამომიებისათვის. როგორც

აღნიშნეთ, გამოძიების ცალკეული ეტაპები შედგებიან მცირე ელემენტებისაგან, რომლებიც ერთიმეორეზე გადაჯაჭვულნი არიან და გამონაკლისების გარდა, ქრონოლოგიურად მოქმედებენ, ხოლო საადვოკატო გამოძიებას, რა თქმა უნდა, გააჩნია თავისი სისტემა, თუმცა ისინი ქრონოლოგიურად მიბმულნი არ არიან ერთმანეთზე და ადვოკატის ნება - სურვილზეა დამოკიდებული ამ ინსტრუმენტებისა და ხერხების გამოყენება.

აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ცალსახად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ჩვენ მიერ განხილული ორი სამართლებრივი ინსტიტუტის ცალკეული ეტაპები, ძირითადად, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან და მათ ძალიან ცოტა რამ აქვთ საერთო.

3.5. გამოძიების ტრადიციული ფორმის უპირატესობა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებაში

წინა თავში, ძირითადად ვისაუბრეთ ტრადიციული გამოძიების თეორიულ ასპექტებზე, გამოვიკვლიეთ მისი იურიდიული ბუნება, შინაგანი სტრუქტურა, მეთოდოლოგიური საფუძვლები, მიზნები და ამოცანები, ასევე გავავლეთ პარალელი საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან და ცხადად დავინახეთ, რომ ამ ორ სამართლებრივ ინსტიტუტს თეორიული საფუძვლებიდან გამომდინარე, საერთო არაფერი გააჩნიათ. ისინი ორი სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტებია, რომლებიც წარმოადგენენ სისხლის სამართლის პროცესის აუცილებელ ელემენტებს და მათ გადაკვეთის წერტილი აქვთ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე.

ამჯერად, ჩვენ გვინდა ვისაუბროთ იმ პრობლემატურ საკითხებზე, სადაც წარმოჩენილია ტრადიციული გამოძიების დომინანტი როლი საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებაში და ასევე გვინდა რამოდენიმე სიტყვით შევუხოთ იმ მცდარ წარმოდგენებს, რომლის თანახმადაც შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეთა აბსოლუტურ თანაბარუფლებიანობას.

თავდაპირველად გვინდა დავკონკრეტდეთ, რომ მთავარი და მკაფიო განსხვავება ტრადიციულ გამოძიებასა და საადვოკატო გამოძიებას შორის არის ის, რომ პროკურორი, გამომძიებელი სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს სრული მოცულობით, მაშინ როდესაც ადვოკატს ეს ვალდებულება არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება მეცნიერებაში გაჩნდეს მოსაზრება, რომ რადგან ადვოკატი გამოძიებას არ აწარმოებს სრულად და ყოველმხრივ, ესეიგი, ამგვარი გამოძიება „არასრული“, „არასრულყოფილი“ ან „ნაწილობრივი“ გამოძიებაა. ჩვენ მიერ არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ საადვოკატო გამოძიება ატარებს მხოლოდ ცალმხრივ ხასიათს და ადვოკატი ვალდებული არ არის საქმის მსვლელობის დროს დაადგინოს ჭეშმარიტება. იგი თავისი საპროცესო საქმიანობით, მოწოდებულია შეამსუბუქოს კლიენტის სამართლებრივი მდგომარეობა.

აქედან გამომდინარე, არ იქნება მცდარი ასეთი მოსაზრების არსებობა, რომ საადვოკატო გამოძიებას ეწოდოს „ნაწილობრივი“ გამოძიება და რადგან ამგვარი გამოძიება „ნაწილობრივია“, „არასრულია“ „არასრულყოფილია“, მაშინ მას პრეტენზიაც არ უნდა ჰქონდეს ტრადიციული გამოძიების სტატუსთან გათანაბრებაზე. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვიზიარებთ იმ ავტორთა პოზიციას, რომლებიც ტრადიციულ გამოძიებასა და საადვოკატო გამოძიებას ერთმანეთის საპირწონე ინსტიტუტებად არ მიიჩნევენ.

აღნიშვნას საჭიროებს კიდევ ერთი გარემოება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას“. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში საუბარი ეხება მტკიცებულებათა იმ ერთობლიობას, რომელიც ბრალდების მხარის მიერ არის შეგროვილი და წარდგენილია სასამართლოში.

მტკიცებულებები, რომელსაც ადვოკატი აგროვებს და შემდგომ წარადგენს სასამართლოში, დასახელებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში არ შედის, რადგანაც საადვოკატო გამოძიების მიზანია სისხლის სამართლის საქმისათვის მოიპოვოს და წარადგინოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებენ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, ხოლო დაცვის ინტერესში არ შედის ობიექტური სინამდვილის დადგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელსაც სასამართლო ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, ეკუთვნის მხოლოდ ბრალდების მხარეს, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები ხომ არ არის მეორეხარისხოვანი და აქვს თუ არა მსგავსი იურიდიული ძალა, ბრალდების მხარის მოპოვებულ მტკიცებულებეთან შედარებით? ჩვენ ამ საკითხზე წინა თავებში უკვე ვისაუბრეთ. რა თქმა უნდა, მხარეთა მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ და ამავდროულად, დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები არ არის მეორეხარისხოვანი, გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატი, სასამართლოში არასოდეს წარადგენს მისი საწინააღმდეგო მტკიცებულებებს, აქედან გამომდინარე, ამგვარი მტკიცებულებები სასამართლოს მიეწოდება მხოლოდ მისი მოწინააღმდეგე მხარისაგან, რომელსაც პროკურატურა წარმოადგენს.

ყოველივეს გათვალისწინებით, მცდარია აზრი იმის თაობაზე, რომ დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, მეორეხარისხოვანია.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ გამოძიების სახელმძღვანელო პრინციპზე, კერძოდ, სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ახალ სტანდარტზე - დასაბუთებულ ვარაუდზე. მოქმედი საპროცესო კანონის თანახმად, გამოძიების მიმდინარეობისას, მოქმედებს მხოლოდ ერთი მტკიცების სტანდარტი და იგი გახლავთ დასაბუთებული ვარაუდი.

გამომძიებელი, პროკურორი ნებისმიერი საპროცესო თუ საგამომძიებო მოქმედების განხორციელებისას ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ზემოთხსენებული სტანდარტით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულება ან ჩატარებული საგამომძიებო მოქმედება დაუშვებელ მტკიცებულად ცხადდება.

საინტერესოა გამოვიკვლიოთ, საადვოკატო გამოძიების პროცესში, ადვოკატმა უნდა იხელმძღვანელოს თუ არა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით?

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის შესაბამისად, „დასაბუთებული ვარაუდი არის ინფორმაციის ან/და ფაქტების ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა, დაესკვნა კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა. მუხლის ამავე ნაწილში განმარტებულია, რომ მოცემული მტკიცების სტანდარტი ვრცელდება საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებაზე.

ზემოთ ხსენებული ნორმის განმარტება პირდაპირ უთითებს, რომ გამომძიებელს სასამართლოში მოუწევს ამტკიცოს რამ შეუქმნა დასაბუთებული ვარაუდი, როდესაც განახორციელა კონკრეტული საგამომძიებო მოქმედება. თუ გამომძიებელი ვერ მოიყვანს შესაბამის არგუმენტებს, მაშინ განხორციელებული საგამომძიებო მოქმედება ითვლება

უკანონოდ და მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებიც დაუშვებელი მტკიცებულებები ხდება.

აქედან გამომდინარე, გამომძიებელს, პროკურორს, მუდმივად თან სდევს გარკვეული მტკიცების სტანდარტი, რომელიც ბოჭავს მას თვითნებური უკანონო საქმიანობისაგან და სახელმწიფო გადახრისაგან .

რაც შეეხება დაცვის მხარეს და საადვოკატო გამომძიებას, რა თქმა უნდა, კანონმდებელი არ ავალდებულებს ადვოკატს გარკვეული მტკიცების სტანდარტით ხელმძღვანელობას. იგი თავისუფალია თავის სტრატეგიასა და ხერხების არჩევნაში. ადვოკატს რისი მტკიცების ვალდებულებაც გააჩნია, ეს არის მხოლოდ მის მიერ საგამომძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების წარმომავლობის, ავთენტურობის და რელევანტურობის დადგენა. სხვა შემთხვევაში, ადვოკატს კანონმდებელი სისხლის სამართლის საქმის სხვადასხვა სტადიებზე არ აკისრებს გარკვეული სტანდარტებით ხელმძღვანელობას.

კიდევ ერთი სხვაობა ტრადიციულ გამომძიებასა და საადვოკატო გამომძიებას შორის არის ის, რომ ადვოკატი გამომძიების მიმდინარეობისას პირადად ვერ აღადგენს დაცვის ქვეშ მყოფის დარღვეულ უფლებას, ამისათვის იგი იყენებს კანონით მინიჭებულ საშუალებებს: გასაჩივრებას, შუამდგომლობის დაყენებას, აცილებას და სხვა. ხოლო, რაც შეეხება გამომძიებელს, პროკურორს, იგი უფლებამოსილია დარღვეული უფლების აღმოჩენის შემთხვევაში, პროცესის ნებისმიერ მონაწილეს მყისიერად ან კანონით განსაზღვრული შემთხვევებში აღუდგინოს შელახული უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ადასტურებს ტრადიციული გამომძიების ძალაუფლებას და მის დომინანტურ როლს საადვოკატო გამომძიებასთან მიმართებაში, მაგრამ ყოველივე ეს ლოგიკურია, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც კვლევის მიმდინარეობისას დავადგინეთ, საადვოკატო გამომძიება არ გახლავთ პარალელური ან ალტერნატიული საგამომძიებო

ორგანო, რომლის მიზანი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება იყოს, იგი ტრადიციული გამოძიების შემადგენელი და თანმდევი ნაწილია და როგორც უკვე ვახსენეთ, ჰარმონიულად ესატყვისება და ავსებს ტრადიციულ გამოძიებას.

თავი IV

საადვოკატო გამოძიების პროცესში მტკიცებულების მოპოვების თავისებურებები

4.1. კრიმინალისტიკური მეცნიერების გამოყენება საადვოკატო გამოძიების პროცესში, როგორც მტკიცებულების მოპოვების საშუალება და ხერხი

დაცვის ეფექტური დახმარების მიღების უფლება, რაც ნამდვილად აღიარებს გამოძიების ჩატარების ვალდებულებას, არაფერია სასამართლოში წარსადგენი შესაძლო მტკიცებულებებზე ხელმისაწვდომობის გარეშე.

იურიდულ ლიტერატურაში ყველა თანხმდება იმ აზრზე, რომ სისხლის სამართლის საქმეში, გამოძიების ეტაპზე მოპოვებული ყველა ინფორმაცია ავტომატურად ვერ გადაიქცევა მტკიცებულებად. ამისათვის აუცილებელია მისი მომპოვებელი პირი ფლობდეს შესაბამის ტექნიკას, მეთოდებს, სამართლებრივ ცოდნას, თუ როგორ უნდა მოიპოვოს იგი კანონიერად და შემდგომ მიღებული ინფორმაცია წარუდგინოს სასამართლოს.

მტკიცებულების მოპოვება ერთ - ერთი მთავარი ამოცანაა ადვოკატისათვის, რადგან, სწორედ, ამით ახდენს იგი თავისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის ან შემამსუბუქებელი გარემოებების დადგენას.

ახალი საპროცესო კანონის შემოღების იდეაც ის იყო, რომ დაცვის მხარეს მისცემოდა შესაძლებლობა, სურვილისამებრ მოეპოვებინა ყველა საჭირო ინფორმაცია და მიეწოდებინა შესაბამისი ორგანოებისათვის. სწორედ ამიტომ, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მოქმედმა საპროცესო კანონმა აიძულა ადვოკატები გამოძიების პროცესში იყვნენ უფრო მეტად აქტიურნი,

მიმართონ ყველა კანონიერ საშუალებას, რათა მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია და ამით ედავონ მოწინააღმდეგე მხარეს.

იურისტთა წრეში გაჩნდა მოსაზრებები, რომ ადვოკატებმა გვერდი არ აუარონ და გამოიყენონ ის ტექნიკური საშუალებები და ხერხები, რომელიც შემუშავებულია კრიმინალისტიკის მეცნიერებაში და ფართოდ გამოიყენება ტრადიციულ გამოძიებაში შესაბამისი სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ.

ქართველი ავტორის შ. ფაფიაშვილის განმარტებით: „ცნობილია, რომ კრიმინალისტიკურ ტაქტიკაში შემუშავებულ ხერხებსა და მეთოდებს, დანაშაულის გამოძიების პროცესში, ასევე წარმატებით იყენებს ოპერატიული მუშაკი, დეტექტივი, პროკურორი და სასამართლო, სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. უფრო მეტიც, მხარეს უფლება აქვს თვითონაც ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები. ე.ი კრიმინალისტიკური ტაქტიკის გამოყენებულ სუბიექტთა წრე უფრო ფართოა და იგი მარტოდენ გამომძიებლით არ შემოიფარგლება“.²²⁶

დაცვის მხარის სასიკეთოდ უნდა მივიჩნიოთ ზემოთხსენებული ჩანაწერი, რადგან იგი მიუთითებს, რომ საქართველოში, იურისტთა წრეში, გაჩნდა მოსაზრება, რომ შესაძლებელია დაცვის ინსტიტუტი გახდეს კრიმინალისტიკის მეცნიერების შემადგენელი ნაწილი და იგი აღარ იყოს ექსკლუზიურად მიკუთვნებული მხოლოდ სახელმწიფოს. მართალია, ავტორი თავის განმარტებაში პირდაპირ არ მოიხსენიებს ადვოკატს ან დაცვის ინსტიტუტს, თუმცა იგი იყენებს ტერმინს - „მხარეს“ და აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ „მხარეში“ ავტორი ასევე გულისხმობს ადვოკატსაც.

რუსი ავტორის ვ. კონინის განმარტებით, კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში „დაცვის ტაქტიკა“ ჯერ საყოველთაოდ აღიარებული არ არის, თუმცა, ზოგიერთი ავტორი საკუთარ ნაშრომში უკვე მიაკუთვნებს დაცვის

²²⁶ შ. ფაფიაშვილი. (2013) კრიმინალისტიკა. (ზოგადი ნაწილი) დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდოლოგია, ტენიკა ორგანიზაცია და ტაქტიკა. სახელმძღვანელო. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 306.

მხარესაც²²⁷, თუმცა მათ საწინააღმდეგოდ ავტორთა გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ სრულიად არალოგიკური და დაუშვებელია დაცვის ტაქტიკა მივაკუთვნოთ კრიმინალისტიკურ მეცნიერებას²²⁸.

რუსი ავტორი ტ. ჟუკუსკანოვი თავის ნაშრომში პირდაპირ ხმარობს ტერმინს „საადვოკატო კრიმინალისტიკა“ და იგი მას შემდეგნაირად განმარტავს: „საადვოკატო კრიმინალისტიკა“ - ეს არის კრიმინალისტიკის მეცნიერების ქვესისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს იმ კრიმინალისტიკურ ცოდნას და ხერხებს, რომელიც ადვოკატს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ სუბიექტს, უფლებას აძლევს სამართლის ნორმების საფუძველზე განახორციელოს დაცვის ფუნქცია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის და თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის“²²⁹.

ხსენებულ მსჯელობას არ ეთანხმება ს. იგნატოვი და განმარტავს, რომ „კრიმინალისტიკაში არ არსებობს ცოდნისა და ხერხების ქვესისტემები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან დაცვის ფუნქციაზე“²³⁰.

ნ. კრასნოვას განმარტებით: „კრიმინალისტიკის შესახებ მეცნიერებაში არ შეიძლება მოვიაზროთ „საადვოკატო კრიმინალისტიკა“, თუმცა, ცალსახად უნდა ვადასტუროთ „დაცვითი საქმიანობის“ ტაქტიკის არსებობა, როგორც კრიმინალისტიკური ქვესტრუქტურა“²³¹.

რადგან საუბარი ჩამოვარდა კრიმინალისტიკურ ტაქტიკაზე, უპრიანი იქნება აქვე გავარკვიოთ, თუ რას გულისხმობს მოცემული ტერმინი. ქართველი

²²⁷ Конин В.В. (2003) Тактика профессиональной защиты подсудимого в суде первой инстанции: Автореф. дисс. к.ю.н. – Калининград,. Стр. 7.

²²⁸ Осьмаков М.А., (2007) Адвокатское расследование в современном уголовном процессе. Автореф. дис. ... канд. юрид. Стр. 25.

²²⁹ Жукусканов Т.Ж. (2010) Проблемы адвокатского расследования в процессе осуществления защиты по уголовному делу // Адвокатская практика. № 3. Стр. 54.

²³⁰ Игнатов С.Д. (2009) Авторское видение проблемы адвокатского расследования // Научные труды РАЮН, в 3 то- мах. № 9, Том 3. Стр. 139.

²³¹ Краснова Н.В. (2002) Тактические особенности производства следственных действий с участием защитника: Дис.канд. юрид. наук. Владивосток,. Стр. 15.

ავტორის შ. ფაფიაშვილის აზრით: „კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკური მეცნიერების ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ლოგიკის, ფსიქოლოგიის და სხვა მომიჯნავე მეცნიერების მიღწევების ზოგადი დებულებების, საგამომიებო პრაქტიკის განზოგადებისა და საკუთრივ შემუშავებული კვლევის სპეციალური მეთოდების საფუძველზე, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ქმნის და შეისწავლის გამოსადიებელ საქმეზე მტკიცებულებათა აღმოჩენისა და გამოკვლევის სარეკომენდაციო ხასიათის ისეთ ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა სწორი, თანმიმდევრული გამოყენება ხელს უწყობს საგამომიებო მოქმედებების ეფექტურ ჩატარებას და მთელი საგამომიებო საქმიანობის ოპტიმალურად სწორად წარმართვას“²³².

ჩანაწერიდან ირკვევა, რომ კრიმინალისტიკური ტაქტიკა, ეს არის საქმეზე მტკიცებულებათა აღმოჩენისა და შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების შესწავლა, რომელიც ხელს უწყობს საგამომიებო მოქმედებების ეფექტურ ჩატარებას. აქედან გამომდინარე, რადგან ადვოკატი საგამომიებო მოქმედებას ატარებს, შესაბამისად, მას სჭირდება ცოდნა იმ ხერხებისა და მეთოდების შესახებ, რომელიც უზრუნველფოფს მისი საქმიანობის ეფექტურობას, სწორედ ამიტომ, ჩვენ ვეთანხმებით იმ პოზიციას, რომ კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ მიღებული ცოდნა თავისუფლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საადვოკატო გამოძიების პროცესში და ინსტიტუციურად არ ეწინააღმდეგება მას, პირიქით, უზრუნველყოფს კრიმინალისტიკის მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას.

ჩვენი შეხედულებით, საადვოკატო გამოძიების ეფექტურად წარმართვისათვის, ადვოკატმა საჭიროა სისხლის სამართლის საქმეზე დაგეგმოს და შეიმუშავოს საკუთარი სამოქმედო ტაქტიკა, რომლის თანახმად,

²³² შ. ფაფიაშვილი. (2013) კრიმინალისტიკა. (ზოგადი ნაწილი) დანაშაულთა გამოძიებისა და გახნის მეთოდოლოგია, ტენიკა ორგანიზაცია და ტაქტიკა. სახელმძღვანელო. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 308.

იგი განახორციელებს თავის საქმიანობას. როგორც წესი, საპირისპირო მხარეს ადვოკატს ელოდება, საკმაოდ ორგანიზებული მოწინააღმდეგე მხარე, რომელიც შედგება გამომძიებლისგან, პროკურორისგან, მრავალი სპეციალისტისაგან, აქედან გამომდინარე, ადვოკატი მუდმივად მზად უნდა იყოს თავისი საქმიანობისთვის აღუდგეს მოწინააღმდეგე მხარის „თავდასახმას“.

რუსი ავტორის ვ. კონინის აზრით, „დაცვის ტაქტიკა“ იყოფა რამოდენიმე ნაწილად, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან და ისინი პრიორიტეტის მიხედვით იყოფიან²³³. მისი განმარტებით, ადვოკატმა დაცვითი ტაქტიკის მთავარ ამოცანად უნდა დააყენოს დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის ან მისი შემამსუბუქებელი გარემოებების მტკიცება, ხოლო მეორე ამოცანად აყენებს, ბრალდების მხარისათვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას და მათთვის სირთულეების შექმნას, რაც გამოიხატება დაცვის მხარის მიერ ახალი მოწმეების მოძებნაში, ახალი მტკიცებულებების მოპოვებაში, რომლებიც გაურთულებს ბრალდებას დანაშაულის მტკიცებას²³⁴.

ამავდროულად ვ. კონინი მიუთითებს, რომ გარდა იმისა, რომ ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარეს სირთულეები უნდა შეუქმნას, ეს სირთულეები უნდა იყოს აუცილებლად მწვავე და არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ფორმალობას, ასეთმა მწვავე სირთულეებმა მოწინააღმდეგე მხარეს გეგმები და ვერსიები უნდა დაუნგრეოს, შეცვალოს საქმის ვითარება და აიძულოს სხვაგვარი ტაქტიკის შემუშავებაზე²³⁵.

თუმცა, აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ადვოკატისათვის დაუშვებელია ყველა ტაქტიკური ხერხის გამოყენება, რადგან მასზე კანონის

²³³ Конин, В. В. (2004) Тактика противодействия обвинению и ее субъекты / В. В. Конин // Адвокатура и адвокатская деятельность в свете современного конституционного права (к 10-летию принятой Конституции России) : материалы междунар. науч.-практ. конф., Екатеринбург. Стр. 129–130.

²³⁴ იქვე, გვ. 130.

²³⁵ იქვე, გვ. 130.

სავალდებულო მოთხოვნების გარდა, ვრცელდება ადვოკატის ეთიკის წესებიც, აქედან გამომდინარე, ადვოკატს მოუწევს შეინარჩუნოს ბალანსი კანონიერებასა და ეთიკის დანაწესებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია ადვოკატის ქმედება გასცდეს კანონის ფარგლებს და მიიღოს უკანონო ხასიათი.

ადვოკატისგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ბრალდებულს აძლევს უფლებას თავი დაიცვას ნებისმიერ ხერხით, რაც კანონით არ არის აკრძალული. ამ დანაწესის თანახმად, ბრალდებულს შეუძლია იმგვარად აწარმოოს საკუთარი ტაქტიკა, რომ არ გაითვალისწინოს არავითარი მორალური და ეთიკური წესები და ყველაფრის ფასად ორიენტირებული იყოს მხოლოდ თავის დაცვაზე, რაც მიუთითებს მის განსაკუთრებულ როლზე სისხლის სამართლის პროცესში.

რა თქმა უნდა, პროფესიული ეთიკის წესები ვრცელდება ბრალდების მხარეზეც. მათ არ შეუძლიათ იმოქმედონ ისე, რომ უგულვებელყონ ეთიკური ნორმები, თუმცა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც გამომძიებელი მტკიცებულებას მოიპოვებს კანონის სრული დაცვით, თუმცა, საფუძვლად უდევს ეთიკის ნორმების მიზანმიმართული დარღვევა, (მაგ: სიცრუე, ზეგავლენის გამოყენება) რაც სამწუხაროდ, ხშირად არ ხდება მოქალაქეებისაგან თუ ადვოკატისაგან გასაჩივრების საფუძველი.

რუსი ავტორის განმარტებით, გამომძიებლის „მაცდური“²³⁶ ქმედებები მიეკუთვნება საგამომძიებო ტაქტიკის ერთ-ერთ სახეობას, რადგან იგი მიმართულია მტკიცებულების მოპოვებისაკენ, გარკვეული ინფორმაციის მიღებისაკენ და იგი უმეტეს შემთხვევაში, საკმაოდ ეფექტურადაც მუშაობს. ავტორები, გამომძიებლის ამგვარ ტაქტიკურ ქმედებას უწოდებენ „დეზინფორმაციის“ (სიცრუის) მეთოდს²³⁷.

²³⁶ Любченко, А. А. Некоторые комментарии к методике построения и проверки версий об инсценировках самоубийств [Текст] / Любченко А. А. // "Черные дыры" в Российском законодательстве. стр. 185.

²³⁷ იქვე, გვ. 186.

ლ. ბერტოვსკი, ვ. ობრაზცოვი და ს. ანდრეევი თვლიან, რომ „სამართალდამცავ სფეროში - დეზინფორმაცია, ეს არის ის, რის გარეშეც შეუძლებელია ინფორმაციის შეკრება, რაც საჭიროა დანაშაულის გახსნის, გამოძიებისა და თავიდან აცილებისათვის. ამიტომ, ავტორების განმარტებით, კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში დაშვებული უნდა იყოს დეზინფორმაციის შესახებ თეორიის არსებობა, როგორც ერთ ერთი მეთოდი მტკიცებულებების მოპოვებისა“²³⁸.

სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი დადასტურებული ფაქტი არსებობს, როდესაც გამომძიებლები მიმართავენ მტკიცებულების მოპოვების ამ ხერხს და ტყუილის გამოყენებით იადვილებენ ინფორმაციის მოპოვებას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ საჭიროა ამ საკითხის საჯარო და საფუძვლიანი შესწავლა.

რა თქმა უნდა, ზემოთხსენებულ მოსაზრებას ჰყავს მოწინააღმდეგეები. ისინი განმარტავენ, რომ „ყოვლად დაუშვებელია დეზინფორმაციის არსებობა არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში, არამედ კრიმინალისტიკურ მეცნიერებაშიც, რადგან მისი გამოყენება საფუძველს უთხრის სისხლის სამართლის პროცესის მიზნებსა და ამოცანებს“²³⁹. მათივე განმარტებით, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა მოქმედების სფერო უნდა იყოს დამყარებული მხოლოდ კანონზე და აქედან გადახვევა უკანონოს ხდის კონკრეტულ მოქმედებას, დაუშვებელია პროცესის მონაწილემ მტკიცებულება მოიპოვოს კანონის აკრძალული წესების გამოყენებით“²⁴⁰.

²³⁸ Бертовский, Л. В. (2005) Использование дезинформации при выявлении и расследовании преступлений [Текст] / Л. В. Бертовский, В. А. Образцов, С. В. Андреев // Российский следователь. № 8. Стр. 2.

²³⁹ Малышкин П. В. (2008) Понятие, сущность и виды преступных инсценировок, их логико-психологическая природа [Текст] / П. В. Малышкин // Следователь.- № 12. - Стр. 17.

²⁴⁰ იქვე, გვ. 18.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მხარის მიერ არჩეულ ტაქტიკას და მის სწორედ რეალიზაციას. აქედან გამომდინარე, ადვოკატი იძულებულია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე აარჩიოს და დაეყრდნოს გარკვეულ ტაქტიკას, რომელიც ინდივიდუალურია და დამახასიათებელია კონკრეტული საქმისათვის.

მიუხედავ იმისა, რომ ყოველი სისხლის სამართლის საქმე ინდივიდუალური და ორიგინალურია, ავტორთა მიერ რეკომენდაციის სახით შემოთავაზებულია ის მინიმუმი სტანდარტები, რაც გამოძიებისას ადვოკატს ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმეზე გამოადგება და გაუადვილებს საქმიანობას. ესენია: ა) ადვოკატის, დაცვის მხარის გეგმების საიდუმლოდ შენახვა. ბ) მოწინააღმდეგე მხარის მუდმივი კონტროლი, რაც გამოიხატება მათთან სისტემატიური კონტაქტით. გ) მოწინააღმდეგე მხარის სავარაუდო განზრახვების ცოდნა/გამოცნობა და რეაგირებისათვის მზად ყოფნა²⁴¹.

საადვოკატო გამოძიებისათვის ასევე აუცილებელ და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საქმეზე შესაძლო სიტუაციის განვითარების პროგნოზირება, რაც წარმატებით აქვთ შემუშავებული კრიმინალისტებს. რ. ბელკინის განსაზღვრებით, პროგნოზი - ეს არის ინფორმაცია მომავალზე²⁴².

ს. პომაზანი ასხვავებს პროგნოზს ვერსიისგან და თვლის, რომ პროგნოზის მიზანი არ არის ახსნას უკვე ცნობილი მდგომარეობის არსი, არამედ შექმნას მხოლოდ მიზანმიმართული და მასტიმულირებელი განწყობა პრაქტიკული მიზნის გადასაწყვეტად²⁴³.

იგივე ავტორის განმარტებით: ადვოკატმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე ასპექტი, რათა მისი მიერ წარმოებული გამოძიება იყოს ეფექტური: 1. მოწინააღმდეგე მხარის მოქმედების შესაძლო ვარიანტების

²⁴¹ Becker, R. (2005) Criminal investigation (2nd ed.). Boston: Jones & Bartlett. P. 49.

²⁴² Белкин Р. С. (2001) Курс криминалистики. М., стр. 527

²⁴³ Помазан С.В. (2001) Уголовно-правовые и криминологические аспекты противодействия терроризму: дис...канд. юрид. наук. М., стр. 144.

პროგნოზირება. ე.ი მოწინააღმდეგე მხარის ჩანაფიქრისა და შესაძლო მოქმედებების გამოცნობა. სავარაუდო სცენარების რამდენიმე ვარიანტის განხილვა, რომლითაც შეიძლება დაპირისპირებულმა მხარემ იხელმძღვანელოს. 2. მოვლენების შესაძლო ვარიანტების განვითარება და მათი განსაზღვრა, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ მოიმოქმედებს არაფერს და დაელოდება ბრალდების მხრიდან დანაშაულის მტკიცებას. 3. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი უკანონო ან დაუსაბუთებელი მტკიცებულებების განადგურების გეგმის შემუშავება²⁴⁴.

როგორც ზემოაღნიშნული ცნობებიდან ირკვევა, შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში, საადვოკატო გამოძიების მთავარ მიზანს წარმოადგენს დაცვის ფუნქციის აქტიური უზრუნველყოფა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისთვის სასარგებლო მტკიცებულებების მოპოვება და ბრალდების მხარის არგუმენტების გაქარწყლება.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის შემადგენელ ნაწილს მიაკუთვნებენ კრიმინალისტიკურ ვერსიებს. შ.ფაფიაშვილის განმარტებით: „კრიმინალისტიკური ვერსიები და მათ შორის საგამოძიებო ვერსიები არის წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შემეცნების, დანაშაულის გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ამიტომ სწავლებას საგამოძიებო ვერსიების შესახებ აქვს არა მხოლოდ წმინდა თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.“²⁴⁵

მისივე განმარტებით, „საგამოძიებო ვერსიები გამოძიების დაგეგმვის საფუძველია. გამოძიების დაგეგმვა კი, შეიძლება ითქვას, საგამოძიებო

²⁴⁴ Помазан С.В. (2001) Уголовно-правовые и криминологические аспекты противодействия терроризму: дис...канд. юрид. наук. М., стр. 145.

²⁴⁵ შ. ფაფიაშვილი. (2013) კრიმინალისტიკა. (ზოგადი ნაწილი) დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდოლოგია, ტენიკა ორგანიზაცია და ტაქტიკა. სახელმძღვანელო. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 314.

ვერსიების სწორი, თანმიმდევრული შემოწმების ერთ-ერთი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიების გამოხატულებაა²⁴⁶.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიმინალისტიკის შესახებ მეცნიერებას უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საადვოკატო გამოძიების პროცესში და ამ ინსტიტუტთან მიმართებაში.

კვლევის მიმდინარეობისას ნათლად დავინახეთ, რომ ეფექტური საადვოკატო გამოძიების საწარმოებლად ადვოკატი ვალდებულია ფლობდეს კრიმინალისტიკური მეცნიერების შედეგად შემუშავებულ მეთოდებსა და ხერხებს, ახალი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნას, რომელთა სწორი გამოყენება ადვოკატს უდავოდ გაუადვილებს საქმიანობას და მისცემს შესაძლებლობას, მისი დაცვის ქვეშ მყოფს გაუწიოს კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

დასკვნის სახით ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საადვოკატო გამოძიების მიზანს წარმოადგენს საქმესთან დაკავშირებით სრული ინფორმაციის მოკვლევა, რაც გულისხმობს ცნობებს, არა მხოლოდ საკუთარი სტრატეგიისა და მიზნის შესახებ, არამედ ჰქონდეს ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარის პოზიციებისა და ვერსიების შესახებ.

ამას გარდა, დაცვის ტაქტიკა ადვოკატს ეხმარება გამორიცხოს ბრალდების მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილი უკანონო და დაუსაბუთებელი მტკიცებულებები, ანუ ეს არის ტაქტიკა, რომელიც შეაკავების ბრალდების მხარეს რათა არ მოხდეს მათ მიერ ცრუ და უკანონო ინფორმაციის საქმეში შეღწევა.

²⁴⁶ შ. ფაფიაშვილი. (2013) კრიმინალისტიკა. (ზოგადი ნაწილი) დანაშაულთა გამოძიებისა და გახნის მეთოდოლოგია, ტენიკა ორგანიზაცია და ტაქტიკა. სახელმძღვანელო. გამ: მერიდიანი. თბილისი. გვ. 320.

4.2. საადვოკატო გამოძიების პროცესში ექსპერტის გამოყენების პრობლემატური საკითხები

სისხლის სამართლის საქმეში, ადვოკატის მიერ ექსპერტის ჩართულობა და გამოყენება, წარმოადგენს მეტად აქტუალურ და ნაკლებლად შესწავლილ საკითხს საქართველოში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 21-ე ნაწილის თანახმად, ექსპერტი არის „სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.“

მოქმედი კანონის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს საადვოკატო გამოძიების პროცესში, საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს და საქმეში ჩააბას ექსპერტი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციალური ცოდნა იმ დარგისა ან პროფესიისა, რომელსაც თავად დამკვეთი მხარე არ ფლობს.

სისხლის სამართლის პროცესში, ექსპერტის მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია, რა თქმა უნდა, პროცესის მხარეები არ შეიძლება ფლობდნენ ყველა სახის სპეციალურ ცოდნას, აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას ისტორიულად მუდმივად თან ახლავდა ექსპერტის მონაწილეობა.

იურიდიულ ლიტერატურაში ავტორები ერთხმად თანხმდებიან, რომ ექსპერტის მონაწილეობა აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის სრულყოფისათვის, თუმცა, სხვადასხვა შეხედულებები აქვთ ექსპერტის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე, ანუ ექსპერტის დასკვნაზე. ნაწილი ავტორებისა თვლიან, რომ „ექსპერტის დასკვნა არ წარმოადგენს მტკიცებულებას და იგი იძლევა მხოლოდ ინფორმაციას, რომელიც შეფასებითი

ხასიათისაა²⁴⁷, ხოლო ავტორთა ნაწილი ექსპერტის დასკვნას მტკიცებულებით ძალას ანიჭებს და არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ „პროცესის მონაწილე მხარეს არ შეუძლია შეაფასოს ექსპერტის დასკვნის მტკიცებულებითი ძალა, რადგან მას არ გააჩნია იმდენი ცოდნა, რომ საექსპერტო დასკვნის ანალიზი მოახდინოს. აქედან გამომდინარე, ექსპერტის დასკვნა სისხლის სამართლის პროცესში განსჯას აღარ უნდა საჭიროებდეს და მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც მტკიცებულება“²⁴⁸.

ზემოთ ხსენებულიდან ირკვევა, რომ ავტორებს სხვადასხვა შეხედულებები აქვთ ექსპერტის დასკვნის მტკიცებულებით ძალასთან მიმართებით, თუმცა საქართველოში კანონმდებლობის თანახმად, კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა, გამომდინარე იქიდან, რომ წინათ მოქმედი საპროცესო კოდექსი ექსპერტად მიიჩნევდა პირს, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფოს მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია, რითაც დასტურდებოდა, რომ კონკრეტული პირი ფლობდა შესაბამის ცოდნას, რომელიც შეიძლებოდა გამოდგომოდა სასამართლოს.

თუმცა ახალი საპროცესო კანონის შესაბამისად, ექსპერტი აღარ საჭიროებს ლიცენზიის ქონას და აქედან გამომდინარე, შეიძლება ნებისმიერი პირი მივიჩნიოთ ექსპერტად, რომელსაც მხარის აზრით, შესაბამისი გამოცდილება აქვს კონკრეტულ სფეროში. ამ შემთხვევაში მოსამართლე წყვეტს მისი კომპეტენტურობის და პროფესიონალიზმის ხარისხს, რაც მას უტოვებს შესაძლებლობას, გადახრა გააკეთოს იმ მხარის სასარგებლოდ, რომელიც უფრო მეტად ესიმპატიურება.

ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოში, ადვოკატისათვის ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მის მიერ ექსპერტის არჩევა, რადგან თუ ექსპერტი არასახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებების თანამშრომელია,

²⁴⁷ Данилова Л.С. (2006) Заключение эксперта – недопустимое доказательство// Следователь. 2006. №3. Стр. 8.

²⁴⁸ Лазарева Л. (2006) Процессуальные проблемы доказывания в деятельности специалиста в уголовном судопроизводстве//Уголовное право. №3. Стр. 74.

მაშინ მოსამართლეებს მათ მიმართ გააჩნიათ წინასწარ შექმნილი, არასაიმედოობის განცდა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო კრიტიკულად უდგება დაცვის მხარის მიერ მოწვეული ექსპერტის ჩვენებას.

პირად საუბრებში მოსამართლეები აცხადებენ, რომ ისინი ფრთხილობენ კერძო ექსპერტებთან მიმართებაში, რადგან მათი აზრით, არასახელმწიფო ექსპერტის დასკვნა არ იქნება ობიექტური, რადგან ისინი სრულდება შეკვეთით და შესაბამისად შემკვეთის სასარგებლოდ.

მსგავს მოსაზრებას, არა მხოლოდ მოსამართლეები, არამედ მეცნიერებაში მოღვაწე იურისტებიც იზიარებენ. ზოგიერთი ავტორის აზრით, „აშკარაა სპეციალისტის ინტერესი საქმის მიმართ, ვინაიდან, თუ იგი მისი დამკვეთისთვის ვერ მოაგროვებს ხელსაყრელ მასალას, იგი, უბრალოდ, ვერ მიიღებს გასამრჯელოს ან ჯილდოს“²⁴⁹.

ამის საპირისპიროდ, თუ ადვოკატი შეარჩევს სპეციალისტს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებიდან, პრობლემა მაინც წარმოიშობა, კერძოდ, ჩნდება ეჭვი, თუ რამდენად ობიექტურია ასეთი დასკვნა. როგორც წესი სოლიდარობის პრინციპიდან გამომდინარე, ექსპერტმა შეიძლება „ვერ დაინახოს“ თავისი კოლეგის შეცდომა. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნიდან ღირებულ შედეგს არ უნდა ველოდეთ.

ამიტომ, თუ საუბარი ეხება ნამდვილ შეჯიბრებითობას სისხლის სამართლის პროცესში, მაშინ ეს უნდა იყოს შეჯიბრებითობა ბრალდების მხარის ექსპერტის და დაცვის მხარის ექსპერტისა, სადაც ექსპერტთა ხარისხი თანაბარ სიბრტყეზე უნდა იქნეს აღქმული.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კანონმდებლობა სრულ თანაბარ მდგომარეობაში აყენებს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებისა და კერძო საექსპერტო ორგანიზაციის მიერ მიღებულ დასკვნებს, თუმცა, აქ საუბარი

²⁴⁹ Зернов С.И. (2004) Заключение специалиста как новый вид судебных доказательств // Криминалистические средства и методы в раскрытии и расследовании преступлений; Материалы 2-й Всероссийской научно-практической конференции по криминалистике и судебной экспертизе. М. стр. 17.

ეხება პრაქტიკულ ასპექტებს, სადაც აშკარა პრიორიტეტი სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას ენიჭება.

დამატებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამართალდამცავი ორგანოები ექსპერტიზას ყოველთვის აწარმოებენ სახელმწიფო საექსპერტო ბიუროში²⁵⁰. სრულებით შესაძლებელია დაცვის მხარე იმავე საექსპერტო დაწესებულებაში დანიშნოს საკუთარი ექსპერტიზა. თუმცა ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში ექსპერტები, რომლებიც არიან კოლეგები და მუშაობენ ერთსა და იმავე შენობაში, ერთ ფაქტზე არ გამოიტანენ ორ სხვადასხვა დასკვნას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მათი შეხედულებები სხვადასხვა იყოს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, აზრს კარგავს იმავე საექსპერტო ბიუროში ექსპერტიზის დანიშვნა (რომ აღარფერი ვთქვათ ფინანსურ მხარეზე), სადაც ექსპერტიზა უკვე დანიშნა, ან დანიშნავს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სისხლის სამართლის საქმეში, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტისათვის ექსპერტის მონაწილეობა და ჩართულობა უდავოდ დიდი მნიშვნელობის მქონეა. მისი მეშვეობით შესაძლებელია მიღებულ იქნას ახალი ცნობები ან მტიცებულებები, რომელიც გაამყარებს დაცვის მხარის პოზიციებს.

ამასთანავე, ჩვენ ვადასტურებთ, რომ კანონმდებლობა მხარეებს ანიჭებს სრულ თანაბარუფლებიანობას ექსპერტების, საექსპერტო ბიუროების არჩევასა და გამოყენებაში, თუმცა, ჩვენ გამოვყავით პრაქტიკის ის მანკიერი სახე, რისი მეშვეობითაც პრაქტიკულად აზრს კარგავს ადვოკატის მიერ ექსპერტის გამოყენება და საქმეში ჩართულობა.

ვიმედოვნებთ, ადვოკატების დაუღალავი მცდელობისა და სახელმწიფოს პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია

²⁵⁰ სამართალწარმოების პრაქტიკა აჩვენებს, რომ სამართალდამცავ ორგანოთა მიერ დანიშნული ექსპერტიზის 85% წარმოებს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“

აღმოფხვრილ იქნას დასმული პრობლემა და სისხლის სამართლის პროცესი პრაქტიკულ ასპექტში კვლავ დაუბრუნდეს წმინდა შეჯიბრებითობის კალაპოტს.

4.3. საადვოკატო გამოძიების პროცესში პირის გამოკითხვის პრობლემატური საკითხები

ადვოკატისათვის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ და პრობლემატურ საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს პირის გამოკითხვა. მოგეხსენებათ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის თანახმად: „ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნეს მხარეთა მიერ“.

ამ ქვეთავში შეგნებულად არ შევჩერდებით იმ საკითხზე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარე აშკარად უპირატეს მდგომარეობაშია დაცვის მხარესთან მიმართებით, სადაც საუბარია ბრალდების მხარის უფლებაზე, გამოსაკითხი პირის უარის შემთხვევაში მიმართოს მოსამართლეს და იძულების წესით დაკითხოს იგი.

მოცემული ჩანაწერის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს პირის სურვილის შემთხვევაში გამოკითხოს იგი და მის მიერ მიღებული ინორმაცია საჭიროებისამებრ გამოიყენოს, წარადგინოს იგი სასამართლოში ან უარი თქვას მის გამოყენებაზე.

ადვოკატი როდესაც შეარჩევს გამოკითხვისათვის საჭირო პირს, იმყოფება ზუსტად იმავე მდგომარეობაში, როგორშიც გამომძიებელი, პროკურორი, რომელიც ანალოგიურად ახორციელებს გამოძიებისათვის

საინტერესო ინფორმაციის მოძიებას. გამოკითხვის დაწყებისას ადვოკატმა წინასწარ არ იცის, თუ რა ინფორმაციას ფლობს გამოსაკითხი პირი და როგორი იქნება მასთან საუბრის შედეგი.

ამასთანავე, ცალსახად გვინდა აღვნიშნოთ, რომ გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები ვერ შეიძენენ მტკიცებულებით ძალას, თუ არ იქნება კანონის მოთხოვნები დაცული.

ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული ნორმა დეტალებში განმარტავს, თუ რა იგულისხმება კანონის მოთხოვნებში და რა წესითა და ფორმით უნდა განხორციელდეს გამოკითხვა, ამიტომ ამ საკითხზე დიდხანს არ შევჩერებით. ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ პრაქტიკულ ასპექტებზე, რომლებიც აქტუალურია ადვოკატის ყოველდღიურ საქმიანობაში.

თავდაპირველად, ვიდრე ადვოკატი დაიწყებს საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებას, იგი მისი დაცვის ქვეშ მყოფისგან ისმენს მომხდარის შესახებ და ამის შემდგომ, ადვოკატი საზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისგანაც შესაძლებელია მიღებულ იქნას საქმისათვის საჭირო მონაცემები.

მას შემდგომ, რაც ადვოკატი შეიტყობს, რომ არსებობს პირი, რომელიც ფლობს გარკვეულ ინფორმაციას მოცემულ საქმეზე, მსგავსად ოპერატიული მუშაკისა, იგი იწყებს ამ პირის ძებნას/მოძიებას.

აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ადვოკატს მოუწევს კარგად დაეუფლოს არა მხოლოდ კრიმინალისტიკაში შემუშავებულ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, არამედ, ამავედროულად, უნდა ფლობდეს ოპერატიული მუშაკისათვის საჭირო უნარ - ჩვევებსაც, რომელიც საჭიროა სამძებრო საქმიანობის განსახორციელებლად.

ჩვენ მიერ პრაქტიკოს ადვოკატებში ჩატარებულმა გამოკითხვამ დაგვარწმუნა, რომ ისინი ხშირად აწყდებიან სიმწელებს მოცემული საგამომიებო მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სიმწელებები მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და

მხოლოდ ადვოკატებისთვის არის რთული, რადგან შესაბამისი უნარების არ ქონის გამო, მათ უჭირთ დაადგინონ შესაბამისი პირები და გამოკითხონ ისინი. ხოლო, რაც შეეხება დამწყებ ოპერატიულ მუშაკს, მათთვის მარტივია, რადგან მათ უკვე გამომუშავებული აქვთ შესაბამისი უნარ - ჩვევები პირის მოსაძებნად და გამოკითხვის განსახორციელებლად.

ავტორთა ნაწილის შეხედულებით, გამოკითხვა არის სპეციალური საუბარი პირთან, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს გარკვეულ ცნობებს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და იგი არსებითად განსხვავდება მოქალაქეთა ჩვეულებრივი საუბრისაგან.²⁵¹

ავტორის განმარტებით: „დაცვის მხარის მიერ გამოკითხვის ჩატარება გულისხმობს - ადვოკატის მიერ საგამომიებო მოქმედების განხორციელებას, რომლის მიზანია ინფორმაციის შეგროვება, რომელიც ხორციელდება გამოსაკითხი პირის მიერ ზეპირი გადმოცემით, რომელიც ფლობს გარკვეულ ინფორმაციას და მიმართულია იგი დაცვის მხარის პოზიციის გასამყარებლად“²⁵².

ქართულ სამართალწარმოებაში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ გამოსაკითხი პირი, როგორც წესი, დაკითხულია მხოლოდ ერთი მხარის მიერ და ის უეჭველად მიიჩნევა პროცესის გამომკითხველი მხარის სასარგებლოდ, თუმცა, პრობლემა ისაა, რომ საადვოკატო გამოძიების თვალსაზრისით, პირველ რიგში, რთულია საჭირო მოწმეების მოძიება და მოძიების შემთხვევაში ისინი არ გამოხატავენ დიდ სურვილს ადვოკატთან საუბრისა, მითუმეტეს, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო პროცესზე და მისცენ ჩვენება მოწმის სახით.

აქედან გამომდინარე, იურისტებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადვოკატმა უნდა აითვისოს და ფლობდეს სხვადასხვა სახის მეთოდებს,

²⁵¹ Brandl, S. (2004) Criminal investigation. Boston: Pearson Education. P.82.

²⁵² Dempsey, J. (2003) Introduction to investigations. Belmont, CA: Wadsworth/Thompson. P.114.

ამგვარი პირების დასაყოლიებლად და ინფორმაციის გასაზიარებლად²⁵³. ავტორები აპელირებას აკეთებენ ოპერატიულ საქმიანობაში დაგროვილ მრავალწლიან გამოცდილებაზე და იმ ხერხების გამოყენებაზე, რომლებიც ყველაზე მარტივად და უმტკივნეულოდ უზრუნველყოფენ დასახული მიზნის მიღწევას²⁵⁴.

ამას გარდა, არსებობს ოპერატიული საქმიანობის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება, რეკომენდაციები შესაბამისი სამეცნიერო დარგის (ფსიქოლოგია, ფსიქიატრია) მხრიდან, რომლებიც სწავლობენ ადამიანთა ქცევებს და გვთავაზობენ რჩევებს მსგავსი წინააღმდეგობრივი ქმედების ეფექტურად გადასალახად.

რუსმა ავტორმა ა. ბურიკამ შეიმუშავა გარკვეული სარეკომენდაციო მეთოდთა პაკეტი, რომელიც ავტორის განსაზღვრებით პრაქტიკაში გამოცდილი და აპრობირებული ხერხია. მისი განმარტებით, აუცილებელია ადვოკატმა 1. მაქსიმალურად გამოიყენოს ფსიქოლოგიური ხერხები მიღებული ცნობების ოპტიმიზაციისათვის და 2. გააკონტროლოს მიღებული ინფორმაციის უტყუარობა და მოახდინოს მათი შეფასება ფსიქოლოგიური ტესტირების ცალკეული მეთოდის გამოყენების გზით²⁵⁵.

რიგი სპეციალისტებისა თვლიან, რომ პირის გამოკითხვის დროს საჭიროა მომზადდეს ე.წ „საკონტროლო ინფორმაცია“, რომელიც უზრუნველყოფს სუბიექტის მიერ მოწოდებული ცნობების უტყუარობის განსაზღვრას, ასევე მათ დეტალიზაციას²⁵⁶.

ნ. ერასტოვის განმარტებით, გამოსაკითხ პირთან კომუნიკაცია შედგება შემდეგი ელემენტებისგან 1. წინასწარი ფსიქოლოგიური კონტაქტის

²⁵³ Dempsey, J. (2003) Introduction to investigations. Belmont, CA: Wadsworth/Thompson. P.114.

²⁵⁴ იქვე, გვ. 114.

²⁵⁵ Бурька, Д. А. (2011) Некоторые психологические аспекты сущности криминальных инсценировок. Юридическая психология. - № 2. – Стр. 3.

²⁵⁶ Гришина, Е. П. (2005) Проблемные вопросы совершенствования правового регулирования производства следственных действий с участием специалиста. Рос. следователь. №8. Стр. 16.

დამყარება. 2. გამოსაკითხი პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის კონტროლი, მისი ქცევის რეაქციების გათვალისწინებით. 3. გამოსაკითხ პირზე ხშირი ზემოქმედების მოხდენა²⁵⁷.

ავტორთა მრავალი ნაშრომი ეძღვნება ადამიანზე ზემოქმედების მოხდენის საკითხს მათი ნების საწინააღმდეგოდ, რომელიც ამორალურ ქმედებად არის შეფასებული. ისინი თვლიან, რომ ნებისმიერი ცოდნა შეიძლება გამოიყენო როგორც საზიანოდ, ისე საკეთილდღეოდ²⁵⁸. ამასთან ერთად, ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ აქ ყველაფერი დამოკიდებულია ინიციატორის მიზნებზე. თუ მისი მიზანია მიიღოს პირადი გამორჩენა სხვის ხარჯზე, მაშინ ეს ქმედება, რა თქმა უნდა, ამორალურია. მნიშვნელოვანია, რომ მართვის ობიექტმა შეინარჩუნოს თავისი ღირსება და ჰქონდეს თავისუფლების განცდა²⁵⁹.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეფექტური საადვოკატო გამოძიების საწარმოებლად, ადვოკატი აუცილებლად უნდა ფლობდეს ოპერატიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ გარკვეულ უნარ - ჩვევებს, რომელიც გაუადვილებს მას მტკიცებულებების მოპოვებას და შესაძლებლობას მისცემს აქტიური ოპონირება გაუწიოს ბრალდების მხარეს, როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლოში.

მითუმეტეს, რომ დღეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა კანონითაა რეგულირებული და საკანონმდებლო დონეზეა გადაწყვეტილი მისი პრაქტიკაში გამოყენების მთელი რიგი ნიუანსები.

მითუმეტეს რომ მოქმედი კანონმდებლობით, მხედველობაში გვაქვს კანონი პროკურატურის შესახებ „პროკურატურაში მუშაობის მსურველი

²⁵⁷ Ерастов, Н. П. (1979) Психология общения. Ярославль. Стр. 211.

²⁵⁸ Дулов, А. В. (1979) Тактические операции при расследовании преступлений. Белорус, гос. ун-т. Минск. Стр. 127.

²⁵⁹ იქვე, გვ. 128.

სავალდებულო წესით აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდებს რომელთა შორის ჩართულია „ოპერატიულ-სამძებრო“ საქმიანობის საფუძვლები.

ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა უფრო დააბალანსებს და ეფექტურს გახდინს საადვოკატო გამოძიებას.

4.4. კერძო დეტექტივის ინსტიტუტი, როგორც მტკიცებულების მოპოვების წყარო საადვოკატო გამოძიების პროცესში

საადვოკატო გამოძიების სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებელია მოკლედ შევეხოთ ისეთ ინსტიტუტს, რომელსაც „კერძო დეტექტივის“ სააგენტო ეწოდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა კერძო დეტექტივის ინსტიტუტის არსებობას, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იგი იმავე კანონით არ რეგულირდებოდა და ამას გარდა, არსად იყო მითითებული, თუ რომელი კანონი არეგულირებდა მის სამართლებრივ ფუნქციონირებას.

ფაქტია, რომ კერძო დეტექტივის ინსტიტუტმა 1998 წლის საპროცესო კანონის შესაბამისად რეალიზაცია ვერ ჰპოვა, ამას გარდა, მისი ინსტიტუციური არსისა და მნიშვნელობის შესახებ არც ქართულ იურიდულ ლიტერატურაშია რაიმე ნათქვამი.

2006 წლიდან, ცნობებმა ახალი საპროცესო კოდექსის მიღების შესახებ იურისტებში გააჩინა იმედი, რომ ახალი კანონი, რომელიც წმინდა შეჯიბრებით პრინციპზე გადადიოდა, უკეთ დაარეგულირებდა კერძო დეტექტივის სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავდა მის მნიშვნელობას და გახდებოდა დაცვის მხარისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და საჭირო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მტკიცებულებების მოპოვება.

თუმცა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 2009 წელს მიღებულ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონში, სიტყვაც აღარ არის ნახსენები კერძო დეტექტივის ინსტიტუტის შესახებ და საერთოდ ამოღებულია იგი კანონიდან.

კერძო დეტექტივის ინსტიტუტის კანონიდან ამოღება ცალსახად უკან გადადგომლ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ შეჯიბრებით პროცესში სჭირდება დაცვის მხარეს იმ ინსტიტუტების გამოყენება, რომელიც დაეხმარება მას სასარგებლო მტკიცებულებების მოპოვებაში.

თუ ჩვენ ვადიარებთ, რომ ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მნიშვნელოვნად გააფართოვა დაცვის მხარის საგამომიებო უფლებამოსილების ფარგლები, მაშინ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გააუქმა ისეთი საჭირო და აუცილებელი სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც მსოფლიოში მტკიცებულების მოპოვების ერთ - ერთ მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევა.

კერძო დეტექტივის სააგენტო, საყოველთაოდ აღიარებული და ფართოდ გამოყენებული ინსტიტუტია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც კერძო დეტექტივს მიმართავს არა მხოლოდ დაცვის მხარე, არამედ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელიც, რომელიც ცდილობს ამ ორგანიზაციის მეშვეობით მოიპოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

მხარეთა თანასწორობა სისხლის სამართალწარმოებაში გულისხმობს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ თანაბარი კანონისმიერი უფლებები, არამედ პრაქტიკული წვდომაც ისეთ ინსტიტუტებზეც, რომლის მეშვეობითაც მათ შეეძლებათ მოიპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

ავტორთა ნაწილი სისხლის სამართლის პროცესში კერძო დეტექტივის ინსტიტუტის არსებობას აუცილებლად მიიჩნევს, რადგან მათი აზრით, თუ სახელმწიფოს გააჩნია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ინსტიტუტი, მაშინ

სამართლიანი იქნება დაცვის მხარეს გააჩნდეს მისი „ანალოგი“ კერძო დეტექტივის სახისთ²⁶⁰.

რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ ხსენებულ ინსტიტუტებს შორის არსებითი ფუნქციური და შინაარსობრივი სხვაობაა, თუმცა მიუხედავად ამისა, ავტორები ასეთი შესაძლებლობის არსებობას, პროცესში მხარეთა ერთგვარ ბალანსად განიხილავენ²⁶¹.

რადგან კვლევაში შევხებით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას და მის ფარულ ხასიათს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143z-ე პრიმა მუხლის თანახმად: „განჩინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული სასამართლოს მოსამართლე“. მოცემული

დეფინიციიდან გამოდინარე, ცალსახაა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, ადვოკატს უფლებაც კი არ აქვს შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების თაობაზე, აღნიშნული უფლებამოსილება მხოლოდ პროკურორის პრეროგატივაა, რამაც შესაძლებელია გააჩინოს აზრი, რომ შეიძლება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, მხარეთა თანასწორობიდან გამომდინარე, ხარვეზი ჰქონდეს დამზებული ან კანონმდებლობა შეგნებულად უშვებს მხარეთა ამგვარ დისბალანსს.

სწორედ ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ ზემოთხსენებულ ავტორებს, გამომდინარე იქიდან, რომ რადგან ოპერატიულ სამძებრო საქმიანობა მიკუთვნებულია მხოლოდ სახელმწიფოს და მისით სარგებლობს მხოლოდ პროცესის ერთი მხარე, შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, ლოგიკური და სამართლიანია დაცვის მხარეს საგამოძიებო

²⁶⁰ Воронов, А. А. (2005) О праве адвоката на соби́рание доказательств. Закон и право. № 1. Стр.16.

²⁶¹ Божьев В.П. (1994) Уголовно-процессуальные правоотношения. Стр. 359.

არსენალში, იყოს ისეთი ინსტიტუტი, რომელსაც შეეძლება მოიპოვოს იმგვარი მტკიცებულებები, რომელსაც თავად ვერ ახერხებს.

როგორც წესი, კერძო დეტექტივის სააგენტოები შედგება ყოფილი ოპერატიული თანამშრომლებისაგან, რომელთაც სამართალდამცავ ორგანოებში დღემდე გააჩნიათ მეგობრული და „კოლეგიალური“ კავშირები და ამ ურთიერთობების მეშვეობით უადვილდებათ გარკვეული ცნობების მოძიება, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ისინი ახდენენ ინფორმაციის „შესყიდვას“²⁶².

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კერძო დეტექტივის ინსტიტუტს, პოზიტიური თვისებების გარდა, შესაძლებელია გააჩნდეს სუსტი მხარეებიც, რაც გამოიხატება იმ უკონტროლო მდგომარეობაში, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება მასიურად შეილახოს ადამიანის უფლებები, რაც საღ აზრს მოკლებული არ არის.

მუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენ მაინც ვემხრობით კერძო დეტექტივის ინსტიტუტის დაბრუნებას საქართველოს კანონმდებლობაში, რადგან, როგორც ზემოთ იქნა გაცხადებული, იგი წარმოადგენს მხარეთა თანასწორობის ერთგვაროვან ბალანსს, თან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კერძო დეტექტივის ინსტიტუტი არსებობს ისეთ ქვეყნებში, სადაც შეჯიბრებითობის პრინციპი იმდენად არ არის გამჭდარი მათ კანონმდებლობაში, რამდენადაც საქართველოში.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებით სისტემაში აუცილებელია კანონმდებლობა ითვალისწინებდეს კერძო დეტექტივის ინსტიტუტის არსებობას. იგი წარმოადგენს ერთგვარი ბალანსის გარანტიას, რითაც შენარჩუნებული იქნება ბრალდებისა და დაცვის მხარის თანასწორობის პრინციპი.

²⁶² Dempsey J. (2003). Introduction to investigations. Belmont, CA: Wadsworth/Thompson.p. 122.

სოციოლოგიური კვლევის შედეგები

სამეცნიერო კვლევისას, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გამოგვეკვლია და შეგვესწავლა საქართველოში მოქმედი პრაქტიკოსი ადვოკატებისაგან, თუ რა მოსაზრებები და შეხედულებები გააჩნიათ მათ კონკრეტულ სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში და ამ გზით მიგველო ინფორმაცია, თუ დღეისათვის რამდენად მზად არის დაცვის მხარე, აწარმოოს ეფექტური საადვოკატო გამოძიება.

დასახული მიზნის მისაღწევად საქართველოს რამდენიმე ქალაქში ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მოქმედი პრაქტიკოსი ადვოკატები.

სოციოლოგიური კვლევის უზრუნველყოფის მიზნით ჩვენს მიერ შეიქმნა ანკეტა, რომელიც შეავსო საქართველოში მოქმედმა 322-მა ადვოკატმა თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ზუგდიდიდან და სენაკიდან.

ანკეტაში დასმულია 7 კითხვა და შესაძლო პასუხის ვარიანტები, რამდენიმე კითხვის ქვეშ დატოვებულია ღია სივრცე, რათა ადვოკატებს შესძლებოდათ დამოუკიდებელი პასუხი გაეცათ კონკრეტული კითხვისათვის და არ ყოფილიყვნენ შეზღუდულნი სავარაუდო პასუხებით.

ანკეტაში პირველ კითხვად დავასახელეთ ის საკვანამო საკითხი, რომელიც მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას შეეხება. კითხვის მთავარი შინაარსი ის იყო, რომ მიგველო ინფორმაცია, ადვოკატებისათვის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის ინსტიტუტი გაგებული იყო მხოლოდ სასამართლო განხილვის ეტაპზე თუ ვრცელდებოდა გამოძიების ეტაპზეც.

ზემოთხსენებულ კითხვაზე პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: გამოკითხული ადვოკატთა 27 %-მა განაცხადა, რომ მხარეთა შეჯიბრებითობა მიმდინარეობს მხოლოდ სასამართლო განხილვის დროს. 65%-მა განაცხადა, რომ მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა გულისხმობს, როგორც

სასამართლო განხილვის ეტაპს, ასევე გამოძიების ეტაპსაც. 3%-მა განაცხადა, რომ საერთოდ არ ეთანხმება არცერთ ზემოთხსენებულ პოზიციას, ხოლო 4%-მა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

რა თქმა უნდა, ჩვენ სრულად ვეთანხმებით ადვოკატების იმ 65%-ს, რომელიც შეჯიბრებითობისა და თანასწორობის ინსტიტუტს განიხილავს გამოძიების ეტაპზეც, თუმცა, შემაშფოთებელია ადვოკატების ის რაოდენობა, რომელიც მხარს უჭერს იმ პოზიციას, სადაც შეჯიბრებითობა მხოლოდ სასამართლო განხილვის ეტაპზეა შესაძლებელი. ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ ადვოკატების საკმაო რაოდენობამ ჯერ კიდევ ვერ მოახდინა ადაპტირება სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსზე და შეძლებისდაგვარად, ნაკლებია შანსი დაცვის მხრიდან, მოახდინონ რაიმე ეფექტური ზეგავლენა სისხლის სამართლის საქმეზე.

მეორე კითხვით, ადვოკატებს მივმართეთ, რათა დაგვედგინა საადვოკატო გამოძიების ფარგლებში სასამართლოსათვის ოდესმე თუ მიუმართავთ შუამდგომლობით ჩხრეკისა და ამოღების მოთხოვნით.

ადვოკატების 69%-მა განაცხადა, რომ არასოდეს არ მიუმართავთ სასამართლოსათვის ჩხრეკისა და ამოღების მოთხოვნით. 22%-მა განაცხადა, რომ მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში აქვს აღნიშნული რამ გაკეთებული, ხოლო 6% აცხადებს, რომ ხშირად მიმართავს სასამართლოს ამგვარი შუამდგომლობით. 1%-მა თავი შეიკავა გაეცა კითხვაზე პასუხი.

ჩვენ მიერ ანკეტაში აღნიშნული კითხვის შეტანის მიზანი იყო დაგვედგინა, პრაქტიკაში რამდენად არის დაწყებული საადვოკატო გამოძიების განხორციელება და წარმოება. თუმცა საქართველოს წამყვანი ქალაქების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ადვოკატების თითქმის 92% არ იყენებს იმ ინსტრუმენტებს, რომელსაც კანონმდებლობა დაცვის მხარეს სთავაზობს, რათა შეძლებისდაგვარად გაუთანაბრდნენ ბრალდების მხარეს და იყენენ პროცესის ძლიერი შეპირისპირებული მხარეები.

ჩვენი შეხედულებით, მოცემული სტატისტიკური მაჩვენებელი საგანგაშოა. საჭიროა ადვოკატთა ასოციაციამ დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა მოხდეს ცნობიერების ამაღლება ადვოკატებში და გაიუმჯობესონ პრაქტიკული გამოცდილება.

მესამე კითხვით, გვანტერესებდა მიგველო პასუხი იმ საკითხებზე, თუ როგორ და რა ფორმით წარმოუდგენიათ ადვოკატებს საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის არსებობა. ადვოკატების 58% აცხადებს, რომ საადვოკატო გამოძიება - ეს არის გამომძიებლის მიერ ჩატარებული გამოძიების მსგავსი. 32% აცხადებს, რომ ეს არის ტრადიციული გამოძიების ფორმისგან აბსოლუტურად განსხვავებული გამოძიება. 5% ფიქრობს, რომ საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი პრაქტიკულად არაფრის მომცემი და უსარგებლო სამართლებრივი ინსტიტუტია, ხოლო 2%-მა თავი შეიკავა პასუხი გაეცა კითხვაზე.

მოცემულ კითხვაზე პასუხების გაცნობის შედეგად, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ადვოკატების დიდ რაოდენობას არ გააჩნიათ საკმაო ინფორმაცია საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის შესახებ. არა აქვთ ინფორმაცია, მის ცნებაზე, მნიშვნელობაზე და სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ასეთი სტატისტიკური მაჩვენებელი, რადგან, გამოკითხულთა 58%-ს სახელმწიფოს მიერ ჩატარებული და ადვოკატის მიერ წარმოებული გამოძიება თანაბარმნიშვნელოვნად წარმოუდგენია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელია მოეწყოს და ჩატარდეს შესაბამისი შეხვედრები, კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები, რათა ადვოკატებმა დროულად მოახდინონ სიახლეების ათვისება და მისი დანერგვა პრაქტიკაში.

ზემოთ ნახსენები სამი კითხვის შემდეგ ჩვენ დავსვით ზოგადი კითხვა, თუ „ადვოკატებს რამდენად ხშირად უწარმოებიათ საადვოკატო გამოძიება“. პასუხად მივიღეთ შემდეგი: 34% აცხადებს, რომ არასოდეს არ უწარმოებია

საადვოკატო გამოძიება, 32%-ის განმარტებით, იშვიათად აწარმოებენ საადვოკატო გამოძიებას, ხოლო 31% აცხადებს, რომ ისინი ხშირად აწარმოებენ საადვოკატო გამოძიებას. 2 %-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემაზე.

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით გვინდა დავაფიქსიროთ ჩვენი მოსაზრება. რთულია დავადგინოთ ამ შემთხვევაში რა კონკრეტულ ქმედებებსა და საქმიანობას მოიაზრებენ გამოკითხულები საადვოკატო გამოძიების წარმოებაში, გამომდინარე იქიდან, რომ გამოკითხულთა უმეტესს საადვოკატო გამოძიება მიაჩნია, როგორც ტრადიციული გამოძიების მსგავსი, ასევე უმეტეს მათგანს არ მიუმართავს ჩხრეკისა და ამოღების შუამდგომლობით სასამართლოსათვის და ასევე 27 % თვლის, რომ შეჯიბრებითობა და თანასწორობა მხოლოდ სასამართლო განხილვის ეტაპზე მიმდინარეობს.

სწორედ აქედან გამომდინარე, მოცემულ კითხვაზე არსებული სტატისტიკური პასუხები, ჩვენი აზრით იდეურად ეწინააღმდეგება წინა სამი კითხვის პასუხს, რაც გვაფიქრებინებს, რომ გამოკითხულთა უმეტესობას საადვოკატო გამოძიების წარმოება წარმოუდგენია აბსოლუტურად სხვადასხვა ფორმით.

ჩვენი შემდგომი კითხვა შეიცავდა, როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე პრაქტიკულ ელემენტებსაც. კითხვის არსი ასეთი იყო: გრძნობდნენ თუ არა ადვოკატები თავს პროკურორის თანასწორუფლებიან მოწინააღმდეგედ? პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 43% თვლის, რომ ამ ორ მხარეს შორის თანასწორობის შესახებ საუბარი უსაფუძვლოა, 37% თვლის რომ ისინი ნამდვილად არიან თანასწორუფლებიანნი, 15% არცერთ ზემოხსენებულ პოზიციას არ ემხრობა, ხოლო 4%-მა უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე.

გვინდა ჩვენი კმაყოფილება დავაფიქსირო მოცემულ სტატისტიკურ მაჩვენებელთან დაკავშირებით, რადგან წინა წლებში ვერანაირ სოციალურ კვლევაში ვერ შევხვდებოდით ისეთ პასუხს, სადაც 37% მიემხრობოდა პოზიციას, რომ ადვოკატურა თანასწორუფლებიანია ბრალდების მხარესთან

და ყოველივე ამას, გაფრთხილება უნდა. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ადვოკატთა გარკვეული რაოდენობა გრძნობს იმ ძალაუფლებას, რასაც ადვოკატურის ინსტიტუტი ეწოდება და საჭიროა აღნიშნული მონდომება გადაეცეს ადვოკატთა კორპუსს სრულად, რათა რეალური კონკურენციის პრიობებში გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების ხარისხი და უმაღლეს დონეზე იქნას დაცული ადამიანის უფლებები.

შემდეგ კითხვად, ანკეტაში შევიყვანეთ საკითხი კერძო დეტექტივის ინსტიტუტის შესახებ და გვანტერესებდა ინფორმაცია, თუ რას ფიქრობენ ადვოკატები ხსენებული ინსტიტუტის შესახებ, რა დადებით მხარეებს და რა საშიშროებებს ხედავენ ამ ინსტიტუტში და საჭიროა თუ არა იგი საქართველოს კანონმდებლობისათვის. გამოკითხულთა 60% აცხადებს, რომ კერძო დეტექტივის ინსტიტუტის არსებობა სისხლის სამართლის პროცესში აუცილებელია, რაც მათი აზრით, ხელს შეუწყობს საქმიანობის უკეთ წარმართვას და სერიოზულ დახმარებას გაუწევს დაცვის მხარეს. ამასთანავე, გამოკითხულთა 33% სასტიკი წინააღმდეგია აღნიშნული ინსტიტუტის კანონმდებლობაში ხილვისა, რადგან მათი განმარტებით, კერძო დეტექტივი პროცესის მონაწილე უნდა გახდეს და ეს უკანასკნელნი, ამ კუთხით საშიშროებას ხედავენ.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვეთანხმებით და ვიზიარებთ იმ 60% ადვოკატების პოზიციას, რომლებიც აცხადებენ, რომ კერძო დეტექტივის ინსტიტუტის არსებობა გამოსადეგი და საჭირო ინსტიტუტია.

რათა შეგვესწავლა ადვოკატების განწყობა დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით, ბოლო და შემაჯამებელი იყო შემდეგი კითხვა: რა მიგაჩნიათ აუცილებლად, რომ დაცვა უფრო კვალიფიციური და ეფექტური იყოს? კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 58% თვლის, რომ არსებითად უნდა შეიცვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, 22% თვლის, რომ კანონმდებლობაში

ცვლილებები საჭირო არაა, მთავარია ადვოკატები იყვნენ უფრო მეტად კვალიფიციურნი, ხოლო 19%-მა კითხვას ან პასუხი არ გასცა, ან პასუხი ბუნდოვანი იყო, და არ გამოხატავდა კონკრეტულ პოზიციას.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ გარკვეული სახის საკანონმდებლო ხარვეზებს, რაც კვლევაში ზედმიწევნით არის ასახული, თუმცა, ასევე ვეთანხმებით გამოკითხული ადვოკატების იმ 22%-ს, რომელიც ფიქრობს, რომ კანონმდებლობის ცვლილება საჭირო არაა და მხოლოდ გამოცდილი, კვალიფიციური და ახალ კანონზე ადაპტირებული ადვოკატები მოახერხებენ გააუმჯობესონ საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკა და გადაიყვანონ იგი განვითარების ახალ ეტაპზე.

სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ადვოკატებს არ გააჩნიათ სრულყოფილი ცოდნა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის შესახებ, ასევე ნათელი გახდა ის ფაქტიც, რომ ადვოკატების მცირე ნაწილი არის ადაპტირებული სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიმართ და აქტიურად იყენებენ იმ ინსტრუმენტებს, რასაც კანონმდებლობა მათ სთავაზობს, ხოლო ადვოკატების უმეტესი ნაწილი ახალი კანონმდებლობის ჯერ კიდევ შეცნობისა და ათვისების პროცესშია.

ამავდროულად, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში წინა წლებში არსებულმა პოლიტიკურმა მიდგომებმა გარკვეული სამართლებრივი ინსტიტუტებისადმი, დალი დაასვა ადვოკატურასაც და ადვოკატებსაც, რადგან ადვოკატთა დიდი ნაწილი თვლის, რომ არათუ თანასწორუფლებიანნი არ არიან ბრალდების მხარესთან მიმართებაში, არამედ ამ საკითხზე საუბარიც კი ზედმეტი და უსაფუძვლოა.

ვიმედოვნებთ, რომ დაუღალავი შრომისა და მუდმივად ინსტიტუციური გაუმჯობესებისაკენ სწრაფვის პირობებში, დაიძლევა ის სირთულეები და გამოწვევები, რომლის წინაშეც ადვოკატურა და ადვოკატები დგანან. დარწმუნებულნი ვართ, მუდმივი მზაობა და ადვოკატების მტკიცე შემართება

დაამკვიდრებს ახალ სასამართლო და საგამომიებო პრაქტიკას, რომელიც მყარი გარანტია იქნება ქვეყანაში კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების ხარისხის განმტკიცებისა.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სისხლის სამართლის პროცესში საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის მნიშვნელობა უდავოდ დიდია. ნაშრომში მოცემული საკითხების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი დასკვნითი დებულებები:

1. სამართლის საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით საადვოკატო გამოძიება - ეს არის ბრალდებულის, მსჯავრდებულის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვის უნივერსალური და ეფექტური გარანტია. იგი შესაძლებლობას აძლევს თითოეულ მათგანს რეალური გავლენა მოახდინოს სისხლის სამართალწარმოებაზე და არ დაუშვას სახელმწიფოს მხრიდან შეგნებული თუ უნებლიე ხელყოფა სამოქალაქო და საპროცესო უფლებებისა.
2. საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი სოციალურ ჭრილში ატარებს საჯარო სამართლებრივ ხასიათს და საადვოკატო გამოძიების პროცესში ადვოკატი მოქმედებს არა პირადი ინტერესების საფუძველზე, არამედ მხოლოდ პროფესული ინტერესების შესაბამისად.
3. საადვოკატო გამოძიება - ეს არის კანონზე დაფუძნებული ინსტიტუტი და სოციალურ ჭრილში იგი ემყარება საჯარო საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს, რომელსაც გამოძიების მიმდინარეობისას ადვოკატი ახორციელებს დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დასაცავად. „საადვოკატო გამოძიების“ მიზანია მოიპოვოს, დაადგინოს და გამოავლინოს იმ მტკიცებულებათა

ერთობლიობა, რომელიც მნიშვნელოვანია ბრალდების უარსაყოფად ან მის შესამსუბუქებლად.

4. საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი არის კანონზე დამყარებული იურიდიული ინსტიტუტი, რომელიც დაცვის მხარეს სრულიად ლეგიტიმურად აძლევს შესაძლებლობას აწარმოოს გამოძიება.
5. შეჯიბრებითობის პრინციპი არის საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის სამართლებრივი საფუძველი, რადგან მხოლოდ შეჯიბრებით პროცესშია შესაძლებელი საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის არსებობა.
6. შეჯიბრებითი პროცესის სამართლის სისტემას, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებით გააჩნია სუსიტი მხარეებიც, რაც დაკავშირებულია მხარეთა მატერიალურ შესაძლებლობებთან. კერძოდ, ბრალდებულის, დაცვის მხარის ფინანსურ მდგომარეობას უპირისპირდება სახელმწიფოს ულვეი რესურსი, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ ფინანსურ ჭრილში აშკარა უპირატესობა სახელმწიფოს აქვს მინიჭებული და თუ ბრალდებულს შესაბამისი მატერიალური სახსრები არ გააჩნია, დიდი ალბათობით, ის დამარცხდება სამართლებრივ დავაში, რაც ჩვენი აზრით, აშკარად მიუთითებს, მხარეთა არათანაბარ მდგომარეობაზე.
7. მოქმედ კანონმდებლობაში ჭეშმარიტების საკითხი აშკარად პრობლემატური, ბუნდოვანი და კანონმდებლობით დაურეგულირებელია. ჩვენი აზრით, კანონის დონეზე უნდა განისაზღვროს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის აუცილებლობა. სახელმწიფო გამოძიება ვალდებულია სისხლის სამართლის ყველა საქმეში ეძიოს ჭეშმარიტების მინიმუმ იურიდიული (შუალედური) ხარისხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია რისკი, გამოტანილ იქნეს არასამართლიანი განაჩენი.

8. საადვოკატო გამოძიების პროცესში, ადვოკატის ინტერესებში არ შედის სისხლის სამართლის ყველა საქმეზე ეპიოს ჭეშმარიტება. აქედან გამომდინარე, ადვოკატი დამოუკიდებელ არჩევანს აკეთებს: იკვლიოს ჭეშმარიტება თუ უბრალოდ თვალი დახუჭოს მასზე.
9. მსოფლიოს ისტორიაში, ანტიკურ სახელმწიფოში არსებობდა „საადვოკატო გამოძიების“ ინსტიტუტის ჩანასახები, სადაც დაცვის მხარე ბრალდების მხარესთან მიმართებაში სრულ, თანაბარ უფლებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დაცვის მხარე გავლენას ახდენდა სისხლის სამართლის საქმეზე და თავისუფლად შეეძლო გაექარწყლებინა ბრალდება.
10. „საადვოკატო გამოძიების“ მსგავსი ინსტიტუტი²⁶³ ძველ საქართველოში არსებობდა და საკმაოდ ეფექტურადაც მოქმედებდა. დაცვის მხარე თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ბრალდების მხარესთან მიმართებაში და მისი ძირითადი მოვალეობა იყო დამოუკიდებლად შეეგროვებინა შესაბამისი მტკიცებულებები და წარედგინა სასამართლოში მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების სასიკეთოდ.
11. საბჭოთა პროცესი, მკაცრ ინკვიზიციურ პრინციპებზე იყო დამყარებული, სადაც დაცვის მხარეს არ შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა სისხლის სამართლის საქმეზე და ჯეროვნად დაეცვა კლიენტის ინტერესები. ჩვენ ვიტყვით, რომ დამცველის ინსტიტუტი ალბათ, უფრო ფორმალობას ატარებდა საბჭოთა პერიოდში, რომლის არსებობაც თითქოს „ადამიანის ინტერესების დასაცავად“ იყო საჭირო, თუმცა პრაქტიკამ და სხვადასხვა იურისტთა შეხედულებებმა აჩვენა, რომ დამცველის ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში ვერ იდგა შესაბამის სიმაღლეზე და

²⁶³ აქ არ იგულისხმება ადვოკატურა ტრადიციული გაგებით, საუბარია ბრალდებულისათვის მინიჭებულ დაცვის უფლებებზე.

იგი მეორეხარისხოვან ინსტიტუტად მიიჩნეოდა. აქედან გამომდინარე, ცალსახად უნდა დავადასტუროთ, რომ საბჭოთა საქართველოში საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი არ არსებობდა.

12. დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონის თანახმად, საქართველოში პირველად, კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი, სადაც დაცვის მხარეს, შეეძლო „კერძო გამოძიების“ მეშვეობით ან „კერძო დეტექტივის“ დახმარებით მიეღო მისთვის საჭირო მონაცემები და განეხორციელებინა ჯეროვანი, სრულყოფილი და ეფექტური დაცვა.
13. კრიმინალისტიკის შესახებ მეცნიერებას უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საადვოკატო გამოძიების პროცესში და ამ ინსტიტუტთან მიმართებაში.
14. ეფექტური საადვოკატო გამოძიების საწარმოებლად ადვოკატი ვალდებულია ფლობდეს კრიმინალისტიკური მეცნიერების შედეგად შემუშავებულ მეთოდებსა და ხერხებს, ახალი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნას, რომელთა სწორი გამოყენება ადვოკატს უდავოდ გაუადვილებს საქმიანობას და მისცემს შესაძლებლობას მისი დაცვის ქვეშ მყოფს გაუწიოს კვალიფიციური იურიდიული დახმარება.
15. ეფექტური საადვოკატო გამოძიების საწარმოებლად, ადვოკატი აუცილებლად უნდა ფლობდეს ოპერატიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ გარკვეულ უნარ - ჩვევებს, რომელიც გაუადვილებს მას მტკიცებულებების მოპოვებას და შესაძლებლობას მისცემს აქტიური ოპონირება გაუწიოს ბრალდების მხარეს, როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლოში.
16. საადვოკატო გამოძიების მიზანს წარმოადგენს საქმესთან დაკავშირებით სრული ინფორმაციის მოკვლევა, რაც გულისხმობს

ცნობებს, არა მხოლოდ საკუთარი სტრატეგიისა და მიზნის შესახებ, არამედ ჰქონდეს ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარის პოზიციებისა და ვერსიების შესახებ. ამას გარდა, დაცვის ტაქტიკა ადვოკატს ეხმარება გამორიცხოს ბრალდების მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილი უკანონო და დაუსაბუთებელი მტკიცებულებები, ანუ ეს არის ტაქტიკა, რომელიც შეაკავებს ბრალდების მხარეს, რათა არ მოხდეს მათ მიერ ცრუ და უკანონო ინფორმაციის საქმეში შეღწევა.

17. სისხლის სამართლის საქმეში, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტისათვის ექსპერტის მონაწილეობა და ჩართულობა უდავოდ დიდი მნიშვნელობის მქონეა. მისი მეშვეობით შესაძლებელია მიღებულ იქნას ახალი ცნობები ან მტკიცებულებები, რომელიც გაამყარებს დაცვის მხარის პოზიციებს.

18. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებით სისტემაში აუცილებელია კანონმდებლობა ითვალსიწინებდეს „კერძო დეტექტივისი“ ინსტიტუტის არსებობას. კერძო დეტექტივის ინსტიტუტი წარმოადგენს ერთგვარი ბალანსის გარანტიას, რითაც შენარჩუნებული იქნება ბრალდებისა და დაცვის მხარის თანასწორობის პრინციპი.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995.
2. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენცია. რომი, 1950.
3. საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“. 1994
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ., 2009
6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ., 1998
7. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. თბ., 1999.
8. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“. თბ., 2001
9. „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის“ კოდექსი. თბ., 2006
10. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. (სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის გამოცემა. თფილისი. 1922.

1. აბაშიძე გ. დამცველი სისხლის სამართლის პროცესში: (წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე). გამ: (შპს "ჩხორია-2009") თბილისი. 2010.
2. ავტ. კოლ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. (სახელმძღვანელო იურისტებისათვის) Criminal procedure Code (Manual For Lawyers). ამერიკის იურისტთა ასოციაციის დაკვეთით. გამ: მერიდიანი. თბილისი.
3. ავტ. კოლ. გოგშელიძე რ., აქუზარდია ი., ფაფიაშვილი ლ. და სხვ. სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი. გამ: „სამართალი“. თბილისი. 2008.
4. ავტ. კოლ. მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., გაბისონია ი. რედ.: მამნიაშვილი მ.[დასხვ.] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. (კერძო ნაწილი) მეორე გამოცემა. გამ: იურისტების სამყარო. თბილისი. 2013.
5. ავტ.კოლ. ფაფიაშვილი შ, მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი: (ზოგადინაწილი) გამ: იურისტების სამყარო. თბილისი. 2013.

6. ავტ. კოლ. ფალიაშვილი ა., თალაკვაძე ლ. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1988.
7. აქუბარდია ი. დაცვის ხელოვნება. გამ: მერიდიანი. თბილისი. 2011.
8. ბენიძე ვენედი. სისხლის სამართლის პროცესი. გამ: მერიდიანი. თბილისი. 2000.
9. ბერიშვილი ო. ადვოკატის დაცვითი სიტყვები; უდანაშაულობის პრეზუმპცია, გამოძიება, სასამართლო, პრესა. გამ: თინათინი. თბილისი. 1995.
10. გაზ. известия, 25/V, №122 (13976). 1962.
11. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა. (2007) დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი. 2007.
12. დავითაშვილი გ. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2004.
13. ერიაშვილი ნ. წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებები: სახელმძღვ. უმაღლესი სასწავლ. სტუდენტებისათვის / რედ.: ბარამიძე ს., სულხანიშვილი მ. - თბ. : სამართლიანი. 2010.
14. ვაჩეიშვილი ალ. სისხლის სამართლის პროცესი. ნაკვეთი I. ნარკვევი სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1955.
15. ზოიძე ო. მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რვეული №1. 1988.
16. თუმანიშვილი გ, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2014
17. კეჩეკიანი ს.ფ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწილი 1. ძველი სამყარო, ნაკვეთი 1, ძველი აღმოსავლეთი და ძველი საბერძნეთი. გამ: თსუ, თბილისი. 1946.
18. ლალიაშვილი თ. ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაცვის სტრატეგია და ბრალდებულის პირადი მითითებები. ნაწყებია გურამ. - 75. საიუბილეო კრებული. თბილისი, გამ: მერიდიანი. 2016.
19. ლეკვეიშვილი მ. სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1962.

20. მაკბრაიდი ჯ. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. 2011.
21. მამნიშვილი მ. ადვოკატის მონაწილეობა საგამომებო მოქმედებებში და მისი სამართლებრივი გარანტიები. ცხოვრება და კანონი. სპეციალური გამოშვება. თბილისი. 2012
22. მეტრეველი ვ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. გამ: მერიდიანი. თბილისი. 2003.
23. მონტესკიე შ.ლ. კანონთა გონი. 1994.
24. ნადარეიშვილი გ. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. გამ: ბონა კაუზა. თბილისი. გვ. 2008.
25. ოჩიაური ალ. მოსახლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, საქაღალდე №108, რვეული №2. გვ. 15-17.
26. სტროგოვიჩი მ.ს. (სისხლის სამართლის პროცესი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1948.
27. ტალიაშვილი ა. ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი. გამ: ბაკმი. თბილისი. 2009.
28. ტარასოვ - როდიონოვი პ.ე. წინასწარი გამოძიება. სახელმძღვანელო გამომძიებლებისათვის. რედ: ჩელცოვ-ბებუთოვი მ.ა. სახელგამი. პოლიტიკურატურის სექტორი. თბილისი. 1948.
29. ტრეჟელი შ, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009
30. ფაფიაშვილი შ. კრიმინალისტიკა. (განსაკუთრებული ნაწილი) დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდისა. სახელმძღვანელო გამ: მერიდიანი. თბილისი. 2013.
31. ფაფიაშვილი შ. კრიმინალისტიკა. ზოგადი ნაწილი. გამ: მერიდიანი. თბილისი. 2013.
32. ფურცხვანიძე ბ. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. სახელმწიფო გამომცემლობა “ცოდნა”. თბილისი. 1963.
33. ქურდაძე მ. გამოძიების დამთავრების ძირითადი საკითხები. გამ: საბჭოთა საქართველო. თბილისი. 1972.
34. შეჯიბრებითობა ქართულ სამართალწარმოებაში და თანმდევი გამოწვევები. ჟურ: სოციალური ეკონომიკა. იანვარ - თებერვალი. 2014.
35. ჩერნილოვსკი ზ.მ. სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია. (საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია) მე-2 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. ტ-1. გამ: თსუ. თბილისი. 1992.
36. ჯავახიშვილი ივ . თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი 7. თბილისი. გვ. 1984.

37. Азаров В. А., Ревенко Н. И., Кузембаев М. М. Функция предварительного расследования в истории, теории и практике уголовного процесса России. Омск, 2006.
38. Баев, М. О. Тактика профессиональной защиты от обвинения в уголовном процессе России: автореф. дис. канд. юрид. наук. Воронеж, 1998.
39. Белкин Р. С. Курс криминалистики. М., 2001.
40. Бертовский, Л. В. Использование дезинформации при выявлении и расследовании преступлений [Текст] / Л. В. Бертовский, В. А. Образцов, С. В. Андреев // Российский следователь. № 8. 2005.
41. Божьев В.П. Уголовно-процессуальные правоотношения. 1994.
42. Божьев В.П. Состязательность на предварительном следствии. // Законность. 2004. № 1. 2004.
43. Бурька, Д. А. Некоторые психологические аспекты сущности криминальных инсценировок. Юридическая психология. № 2. – 2011
44. Быховский И.Е. Процессуальные и тактические вопросы системы следственных действий. 1975.
45. Винавер М.М. еженедельная юридическая газета право. №19. 1899.
46. Васьковский Е.В. Организация адвокатуры // Адвокат в уголовном процессе / Под ред. П.А. Lupинской. М., 1997.
47. Воронов, А. А. О праве адвоката на собирание доказательств. Закониправо. № 1. 2005.
48. Выдря М. М. Расследование уголовного дела - функция уголовного процесса // Советское государство и право. 1980.
49. Вышинский А.Я.. к положению на фронте правовой теории.Издательство: Юрид. изд-во НКЮ СССР Место издания: Москва. 1937.
50. Вяткин И.С. Суд. Философия и право. 2006.
51. Гаврилов А.К., Ефимичев С.П., Михайлов В.А., Туленков П.М. Следственные действия по советскому уголовно-процессуальному праву. 1975..
52. Гирько С. И. кандидатская диссертация на тему: «Особенности расследования по делам о дорожно-транспортных преступлениях. 1992.
53. Гришина, Е. П. Проблемные вопросы совершенствования правового регулирования производства следственных действий с участием специалиста. Рос. следователь. №8. 2005.
54. Гуляев А.П. Следователь в уголовном процессе. М.: Юридическая литература, 1981.
55. Данилова Л.С. Заключение эксперта – недопустимое доказательство// Следователь. №3. 2006. .
56. Дворецкий И.Х., Латинско-русский словарь. М., 1976.

57. Дубинский А.Я. Прекращение уголовного дела в стадии предварительного расследования. Киев. 1975.
58. Дулов, А. В. Тактические операции при расследовании преступлений. Белорус, гос. ун-т. Минск. 1979.
59. Ерастов, Н. П. Психология общения. Ярославль. 1979.
60. Ефимичев П.С. Следственные действия по уголовно-процессуальному праву России. 2007.
61. Жукусанов Т.Ж. Проблемы адвокатского расследования в процессе осуществления защиты по уголовному делу // Адвокатская практика. № 3. 2010.
62. Заседания Верховного Совета СССР 5-го созыва. (1959) вторая сессия (22-25 декабря 1958 г.) : стенографический отчет. 1959.
63. Зернов С.И. Заключение специалиста как новый вид судебных доказательств // Криминалистические средства и методы в раскрытии и расследовании преступлений; Материалы 2-й Всероссийской научно-практической конференции по криминалистике и судебной экспертизе. М. 2004.
64. Игнатов С.Д. Авторское видение проблемы адвокатского расследования // Научные труды РАЮН, в 3 томах. № 9, Том 3. 2009.
65. Калиновский К.Б. Проблемы реализации принципа состязательности в Уголовно-процессуальном кодексе Российской Федерации. // Проблемы совершенствования и применения законодательства о борьбе с преступностью: Материалы Всероссийской научно-практической конференции, посвященной 95-летию Башкирского государственного университета. Часть. 1. Уфа: РИО БашГУ. 2004.
66. Карякин. Е. Взгляд на состязательное уголовное судопроизводство сквозь призму процессуальной формы // Уголов. право. №4. 2005.
67. Колоколов Н.А. Параллельное адвокатское расследование: цена результатов // Уголовный процесс. № 12. 2005.
68. Конин В.В. Тактика профессиональной защиты подсудимого в суде первой инстанции: Автореф. дисс. к.ю.н. – Калининград,. 2003.
69. Конин, В. В. Тактика противодействия обвинению и ее субъекты / В. В. Конин // Адвокатура и адвокатская деятельность в свете современного конституционного права (к 10-летию принята Конституции России) : материалы междунар. науч.-практ. конф., Екатеринбург, 29–30 дек. 2003 г. – Екатеринбург. 2004.
70. Краснова Н.В. Тактические особенности производства следственных действий с участием защитника: Дис.канд. юрид. наук. Владивосток,. 2002.

71. Лазарева Л. Процессуальные проблемы доказывания в деятельности специалиста в уголовном судопроизводстве//Уголовное право. №3. 2006.
72. Ларин А.М. Расследование по уголовному делу: процессуальные функции. М.: Юрид. лит., 1986.
73. Макарова З. В. Уголовно-процессуальная функция следователя в российском уголовном судопроизводстве. Тюмень, 2006.
74. Малышкин, П. В. Понятие, сущность и виды преступных инсценировок, их логико-психологическая природа [Текст] / П. В. Малышкин // Следователь.- № 12. – 2008.
75. Мартынчик Е.Г. Адвокатское расследование: понятие, природа, особенности и сущность (к разработке модели). // Адвокатская практика. 2004. №1. 2004.
76. Мартынчик Е.Г. "Адвокатское расследование в уголовном процессе. Теоретико-методологические основы доктрины адвокатского расследования". Издат-во Юристъ. Тула. 2009.
77. Мартынчик, Е. Г. Правовые основы адвокатского расследования: состояние и перспективы. (к разработке концепции и модели) / Е. Г. Мартынчик // Адвокат, практика. - № 6. 2003.
78. Маслов И. Адвокатское расследование. Изд. Законность. N10 .2004.
79. Матвиенко, Е.А. Судебная речь. Минск. 1972.
80. Мельник В.В. Искусство доказывания в состязательном уголовном процессе.- М, .2002
81. Мизулина, Е. Б. Уголовный процесс: Концепция самоограничения государства: дис. Ярославль. 1991.
82. Осьмаков М.А. Адвокатское расследование в современном уголовном процессе : Владимир. 2007.
83. Петрухина И.Л., Михайловской И.Б. Уголовно-процессуальное право Российской Федерации, 3-е издание. Издательство "Проспект". 2013.
84. Пиголкин А.С. Теория государства и права. 2003.
85. Полянский Н. Н. Учение о материальной истине в уголовном процессе. 1947.
86. Помазан С.В. Уголовно-правовые и криминологические аспекты противодействия терроризму: дис...канд. юрид. наук. М., 2001.
87. Протасевич А.А., Степаненко Д.А., Шиканов В.И. Моделирование и реконструкция исследуемого события: очерки теории и практики следственной работы. Иркутск, 1997.
88. ред. Томин В.Т. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу РСФСР/Научи, М. 1996.
89. Ривлин А.Л. Пересмотр приговоров СССР. М., 1958.

90. Родионов К.Д. Защита в военном суде (организация и функция защиты). СПб. 1902.
91. Российская юстиция (Журнал) №1 – 2017 Т.Ю. Вилкова, Принципы уголовного судопроизводства и общие условия судебного разбирательства
92. Розин, Н. Н. Уголовное судопроизводство [Электронный ресурс] / Н. Н. Розин. - Москва : Лань. 2013.
93. Садовский В.Н., Юдин Э.Г. Исследования по общей теории систем. 1969.
94. Тушев.А. Роль прокурора в реализации принципа состязательности в уголовном процессе "Российская юстиция", №4, апрель. 2003.
95. Фалилеев В. Пределы полномочий защитника по собиранию доказательств :Взгляд с позиции стороны обвинения. 2003.
96. Фойницкий И.Я. (1996) Курс уголовного судопроизводства. Т. 1. СПб.: Альфа, 1996.
97. Халиулин А.Г. Осуществление функции уголовного преследования прокуратурой России. Кемерово: Кузбассвузиздат. 1997.
98. Чельцов М.А. Уголовный процесс. М.: Юрид. изд-во МЮ СССР, 1948.
99. Шаталов А.С. Предварительное расследование. Учеб.-метод. пособие. М.: Изд. ГУ ВШЭ. 2006.
100. Элькинд П. Расследование и судебное рассмотрение дел о невменяемых. 1959.
101. Якимов И.Н. Практическое руководство к расследованию преступлений», 1924.
102. Якубович Н.А. Теоретические основы предварительного следствия. М., 1971.
103. Andrews, J.A. ed. Human Rights in Criminal Procedure: A Comparative Study (The Hague; Boston: M. Nijhoff; Kluwer) 1982.
104. Babbie E. The practice of social research (10th ed.). Belmont, CA: Wadsworth/Thompson. 2004.
105. Barabanshchikov v. Russia, (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი # 36220/02, პუნქტი 54.
106. Barefoot J. K. Undercover investigation. Newton, MA: Butterworth-Heinemann. 1995.
107. Becker, R. Criminal investigation (2nd ed.). Boston: Jones&Bartlett. 2005.
108. Bennett, W. W., & Hess, K. M. Criminal investigation (7th ed.). Belmont, CA: Wadsworth/Thompson.2004.
109. Brandl, S. Criminal investigation. Boston: Pearson Education. 2004.

110. Chang, D. & Fagin, J. Introduction to criminal justice: Theory and application (2nd ed.). Geneva, IL: Farley Court of Publishers. 1985.
111. Charlton T. Lewis, Ph.D. and. Charles Short, LL.D. A Latin Dictionary. Founded on Andrews' edition of Freund's Latin dictionary. Oxford. ClarendonPress. 1879.
112. Craig. M.Bradley The Failure of The Criminal Procedure Revolution Greenwood Press. №2. 1987.
113. Dammer, Harry R. & Fairchild, Erika. Comparative Criminal Justice Systems (3d ed., Belmont, CA: Wadsworth/Thomson Learning) 2006.
114. Dempsey J. Introduction to investigations. Belmont, CA: Wadsworth/Thompson. 2003.
115. Esmein A. A History of Continental Criminal Procedure: With Special Reference to France. New Jersey. 2000.
116. *Frank, J., Courts on Trial: myth and reality in American justice.* Princeton, Hart and Wechsler, New York. 1937.
117. Gilbert, J. Criminal investigation. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice Hall. 2004.
118. (Muller.J., Rechtsstaat und Straverfahren. 1980.
119. Ogle, R. Crime scene investigation and reconstruction. Upper Saddle River, NJ: Prentice-Hall. 2004.
120. Sanders A. From Suspect to Trial// The Oxford handbook of Criminology. Oxford. 1994.
121. Steven L.Manuel. Comments Of Criminal Procedure. Oct 1.2007.
122. Swanson C. R., Chamelin, N. C., & Territo, L. Criminal investigation. New York: McGraw-Hill. 2003.
123. Wingaert Cristine Van Den and Gane C., Kuhne H.H., Mcauely F. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. Butterworths. London, Brussels, Dublin, Edinburgh. ქართული თარგმანი. რედ: ნინო გვენეტაძე. 1993.

ინტერნეტ რესურსები

1. www.fed-soc.org
2. www.freebookcentre.net
3. www.korunb.nlr.ru
4. www.Law.edu.ru
5. www.advokatum.ru
6. www.twirpx.com
7. www.studme.org
8. www.iuaj.net
9. www.hg.org